საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№29 (358)
3 – 9 აგვისტო, 2016

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



ფრანგი გენერალი ნატოს დაშლასა და რუსეთთან თანამშრომლობაზე ალაპარაკდა 3

6

«ალასანია «ნაციონალურ მოძრაობას» არც მაშინ განიხილავდა მტრად, როცა ეს უამრავი დანაშაულის ჩამდენი რეჟიმი ადამიანებს ცოცხლებით აუპატიურებდა და ბიზნესმენებს ატერორებდა, როცა ანგრევდა განათლების სისტემას და კულტურას, სოფლის მეურნეობასა და სპორტს, როცა დაკარგა ტერიტორიები, როცა ებრძოდა საქართველოს პატრიარქს, მართლმადი-დებლობას და, საერთოდ, ყველაფერს, რაც ქართულ ტრადიციულ ღირებულებებთან არის დაკავშირებული...»



## ჯაზში მხოლოდ ალასანია არ არის

«გაუჭირდება თუ არა იმ ადამიანებს, რომლებმაც «მოდელირებული ქრონიკა» შექმნეს, «მოდელირებული ზეწოლის» დამზადება და ეთერში გაშვება?» 4



## ზეწოლით გათანგულნი



«სანამ არ მოვიშლით, რომ აშშ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, ხოლო ევროკავშირი ისტორიული არჩევანი, არაფერი გვეშველება!» 9



5 ბაბაჯანას ქოშები და გადაწყვეტილ-გადაუწყვეტელი ამომრჩეველი

«ცისფერი ფალოსი», ანუ დაუჯერებელი ამბავი – არქიტექტურული უტიფრობის კიდევ ერთი ნიმუში 10

«ყოველთვის ეჭვს იწვევს, ერთი კაცი რომ ქაჩავს მთელ პარტიას» 12

«თუ თურქები არ ისწავლიან სხვა ერების პატივისცემასა და სიყვარულს, უარეს მდგომარეობაში ჩავარდება ქვეყანა» 13

13 «იმის ლოდინი, რომ რუსეთი განადგურდება და იბერია გაბრწყინდება, აბსურდია»

14 ფრანგული ენის განმარტებით ლექსიკონში ცნება «ქორწინება» შეცვალეს

ლიტვაში უარი თქვეს სიტყვებზე «დედა» და «მამა» 15

ნორმალური ოჯახის შვილები პედერასტების წყვილს გადასცეს აღსაზრდელად 15

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## აშშ კვლავ დეფოლტის ზღვარზეა



**წლის ბოლომდე აშშ-ის სახელმწიფო ვალი კიდევ უფრო მოიმატებს და ქვეყანა კვლავ აღმოჩნდება დეფოლტის წინაშე, რომელიც 2011-12 წლებში საგანგებო ზომების მიღებით აიცილა.** აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, 2016 წლის მეორე ნახევარში ქვეყნის სახელმწიფო ვალი 383 მილიარდით მოიმატებს. ვალის მომატებას ფინანსთა სამინისტრო შემოსავლების შემცირებით ხსნის. აღსანიშნავია ისიც, რომ მიმდინარე წლის II კვარტალში აშშ-ის მთლიანი შიგა პროდუქტის რეალურმა მატებამ მხოლოდ 1,2% შეადგინა. აშშ-ის კრედიტორებს შორის პირველ ადგილზეა იაპონია, მეორეზე — ჩინეთი.



## ცესკომ ქორწინების დეფინიციის შესახებ რეფერენდუმის ჩატარების საკითხზე პრეზიდენტს მიმართა

**ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ქორწინების ზუსტად განსასაზღვრად რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნა, საკუთარ დასკვნასთან ერთად, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს გაუგზავნა.**

პრეზიდენტს 30-დღიანი ვადა აქვს, მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება რეფერენდუმის დანიშვნის ან მოტივირებული უარის თქმის შესახებ. პრეზიდენტის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მის ბრძანებულებას პრემიერმინისტრის კონტრასიგნაცია სჭირდება. რეფერენდუმის ჩატარება კონსტიტუციაში ქორწინების შესახებ ჩანაწერის განსაზღვრის მიზნით სურს ალექსანდრე ბრეგაძის, სოსო მანჯავიძისა და ზვიად ტომარაძის შემადგენლობით შექმნილ საინიციატივო ჯგუფს.

**რეფერენდუმი შემდეგ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა ჩატარდეს: „თანახმა ხართ თუ არა, რომ სამოქალაქო ქორწინება განისაზღვროს, როგორც ოჯახის შექმნის მიზნით კავშირი მამაკაცსა და ქალს შორის?".**



### ტრისტან წითელაშვილი:

## საიდუმლო ობიექტებზე არ ვყოფილვარ

**პოლკოვნიკ ტრისტან წითელაშვილის განცხადებით, ის საიდუმლო ობიექტებზე არ ყოფილა. შესაბამისად, საიდუმლო ობიექტებზე გადაღება არ უწარმოებია.**

„საიდუმლო ობიექტებზე არ ვყოფილვარ და, შესაბამისად, არც გადაღება და არც ჩაწერა არ მიწარმოებია. მე ვიყავი თელეთის მთაზე, სადაც გენერალური შტაბის უფროსობის დროს გიგი კალანდაძეს გადაყვანილი ჰყავდა მოპარული ტექნიკა. მზად ვარ, ვითანამშრომლო პროკურატურასთან და მივაწოდო ის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მოპარულ თანხასთან, რომელიც მოიპარა სააკაშვილმა, კეზერაშვილმა, ახალაიამ, კალანდაძემ და ა.შ." — განაცხადა წითელაშვილმა.

„რუსთავი 2"-ის გადაცემა „პოსტსკრიპტუმის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალი გიგი კალანდაძე ამტკიცებს, რომ აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე აშენებული საიდუმლო სამხედრო ობიექტების კოორდინატები და ინფორმაცია მინდია ჯანელიძის მინისტრობის პერიოდში სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ხელში აღმოჩნდა. პოლკოვნიკი ტრისტან წითელაშვილი საცეცხლე წერტილებზე მინდია ჯანელიძის მინისტრობისას დანიშნულმა გენინსპექციის თანამშრომელმა გოდერძი ორმოცაძემ შეიყვანა სამსახურებრივი საშვით, წითელაშვილმა კი საიდუმლო ობიექტები ფირზე გადაიღო.



## «ოცნება», ნაცები, ბურჭულაძე — ასე გადაუწყვეტიათ საქართველოს ფარგლებს გარეთ!

**მოძრაობა „ეროვნულების" ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ სოციალურ ქსელში განცხადება გამოაქვეყნა.**

„ზუსტად ვიცი, რომ „ოცნება", ნაცები, ბურჭულაძე — ასე გადაუწყვეტიათ საქართველოს ფარგლებს გარეთ; დანარჩენი ყველა — ჩასარეცხი, მოსაშორებელი. გილოცავთ მონობის ახალ 4 წელს. ჩვენი ხმები არაფერია.

მე ბრძოლას ვიწყებ. ბრძოლას ვიწყებ არა რომელიმე კონკრეტული პარტიის წინააღმდეგ, არამედ მათ წინააღმდეგ, ვინც ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარედან ცდილობს, ის შედეგი დაგვიდოს, რომელიც სურთ. საქართველოს ბედს საქართველოს მოსახლეობა გადაწყვეტს!

დინების საწინააღმდეგოდ? — დიახ, დინების საწინააღმდეგოდ წავალთ. ერთხელ გითხრეს თქვენ, რომ დინებას ლეშები მიჰყვებიან!

ქართველი ერი კი არაა ლეში, ის თავისუფლებისთვის გაჩენილი ერია!" — წერს ბრეგაძე.






### ოთარ სიჭინავა:

## გიორგი პაპუაშვილისთვის არც ერთ მოსამართლეს ზემოქმედების ფაქტი არ დაუდასტურებია

**„საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილის განცხადება მოსამართლეების ზეწოლაზე ჩვენთან შეთანხმებული არ ყოფილა, აღნიშნულიდან გამომდინარე, ბევრი კითხვის ნიშანი გაგვიჩნდა", — განუცხადა 2030.news-ს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლემ ოთარ სიჭინავამ.**

მისი თქმით, პლენუმზე გიორგი პაპუაშვილმა მოსამართლეებს მიმართა, ხომ არ ხორციელდებოდა რომელიმე მათგანზე ზემოქმედება. ეს არავის დაუდასტურებია.

## «პაპუაშვილი ცდილობს, წასვლის წინ სამსახური გაუწიოს უსამართლობას და სააკაშვილს»

**თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილის მიერ მოქალაქე როლანდ ბლადაძისთვის ჩამორთმეული სადავო ქონების საკითხზე „ახალგაზრდა ადვოკატების" ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილი მთავრობასა და საზოგადოებას რამდენიმე დღით ადრე მიმართავს.**



„მიმაჩნია, რომ ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების აბუჩად აგდებას ბოლო უნდა მოეღოს. როგორც ამ ქვეყნის ბევრ მოქალაქეს, როლანდ ბლადაძესაც 2012 წელს გაუჩნდა იმედი, რომ უკანონოდ ჩამორთმეული ქონება დაუბრუნდებოდა. იგი, რამდენიმე წელია, იბრძვის სამართლიანობის აღსადგენად, მაგრამ უშედეგოდ. მეც, როგორც მის ადვოკატს, და მასაც გვესმის, რომ უსამართლობასთან სამართლიანობის აღდგენის დევიზით შეუძლებელია უკანონოდ და იმავე მეთოდებით ბრძოლა, რომლებსაც ,,ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლება მიმართავდა... დაუშვებელია, რომ კანონისა და კონსტიტუციის აღსრულების გარანტის ინსტიტუციის სათავეში იდგეს ადამიანი, რომელიც უკანონოდ წართმეული ქონების მფლობელია და სხვის კუთვნილ სახლში ცხოვრობს. რომელ კონსტიტუციასა და სამართალზეა საუბარი? ჩვენ ხომ ბრიუსელიდან ჩამოსული გულუბრყვილო ბიუროკრატები არ ვართ, რომლებსაც ვერ წარმოუდგენიათ, რა მზაკვრობებზე არის წამსვლელი ოდესის გუბერნატორის მარიონეტი და მოძალადე ,,ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტი, რომელსაც თანამდებობა თავგასულმა და კანონზე მაღლა მდგომმა ნერონებმა ხონჩით მიართვეს?!

არადა, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ქვეყანაში ავტორიტეტული პროფესიონალი იურისტი უნდა იყოს, გამოცდილი და მაღალი ზნეობრივი სტანდარტებით ხელმძღვანელობდეს. არც ერთი ეს პარამეტრი ბატონ პაპუაშვილს არ ახასიათებს. მან შეთავაზებული მანტია ისე მოისხა, არც უფიქრია, მისი პროფესიული უნარ-ჩვევებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, ეკუთვნოდა თუ არა მას ეს თანამდებობა. მეტიც, სააკაშვილისა და მისი რეჟიმის მიერ კონსტიტუციისა და სამართლიანობის ფეხქვეშ გამთელავი ხელისუფლების პირობებში ერთხელაც კი არ ამოუღია ხმა და დამოუკიდებელი, მართალი და ობიექტური გადაწყვეტილება არ გამოუტანია; არ დაუცავს შეურაცხყოფილი და სააკაშვილის მიერ საკუთარ თავზე მორგებული კონსტიტუციის პრინციპები, თვალს ხუჭავდა მართლმსაჯულების ძალადობაზე მოქალაქეების მიმართ. ბატონი პაპუაშვილი თითქოს მიეწება თავის სკამს, ცდილობს, წასვლის წინ მაქსიმალური სამსახური გაუწიოს უსამართლობას და სააკაშვილს. უფრო მეტიც, ის არასგზით არ გამოდის მის მიერ ზნეობრივი პრინციპების ყოველგვარი დარღვევით სიმბოლურ 1000 ლარად მიტაცებული საცხოვრებელი ფართიდან და ეს ქონება რომ შეინარჩუნოს, იაფფასიან სპექტაკლებს აწყობს და სკანდალური განცხადებებით მანიპულირებს. პაპუაშვილის ქმედებები გასაგებია, მაგრამ საზოგადოებისთვის არ არის საცნაური დღევანდელი ხელისუფლების გარკვეული უმოქმედობა, რომელიც ვერასგზით ვერ ახერხებს ნაციონალების აქტივისტის ალაგმვას", — ნათქვამია არჩილ კაიკაციშვილის განცხადებაში.

„ტერორისტების შეტევების გათვალისწინებით, სირიაში რეჟიმის შეცვლა და ქვეყნის სათავეში ისეთი ხელისუფლების მოყვანა, რომელიც მოსაწონი იქნებოდა აშშ-ის, ევროპის, საუდის არაბეთისა და ყატარისთვის, უკანა პლანზე გადადის, რადგან დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ შექმნილი სახალიფო ემუქრება სტაბილურობას ახლო აღმოსავლეთში და ხელს უწყობს ნაციონალისტური ძალების გავლენის ზრდას ევროპაში. და ამ მხრივ რუსეთის ჩარევა სირიის კონფლიქტში სრულიად განსხვავებულია აშშ-ის ორმაგი თამაშისა და ყოყმანისგან“.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფრანგი გენერალი ნატოს დაშლასა და რუსეთთან თანამშრომლობაზე ალაპარაკდა

**„ნატოს არსებობა ამჟამინდელი სახით ხელს აძლევს მხოლოდ აშშ-სა და მასზე დამოკიდებულ ევროპელ ლიდერებს, — დარწმუნებულია ფრანგი გენერალი და პოლიტოლოგი ჟან-ბერნარ პინატელი. გაზეთ La Figaro-სთვის მიცემულ ინტერვიუში მან განმარტა: „ამ სიტუაციაში რუსეთისა და თურქეთის კავშირი ევროპას ისლამისტების საფრთხესთან გამკლავებაში დაეხმარება. ეს კი ხელს არ აძლევს აშშ-ს, რადგან მის ლიდერობას დააკანონებს“.**



„ნატოს შენარჩუნება და გაფართოება — ეს არის აშშ-ის სურვილი, შეინარჩუნოს უფსკრული რუსეთსა და ევროპას შორის, რადგან ბრიუსელსა და მოსკოვს ერთობლივი ძალისხმევით შეუძლიათ, ლიდერობაში შეეცილონ ვაშინგტონს“, — განუცხადა ფრანგმა გენერალმა ჟან-ბერნარ პინატელმა „ფიგაროს“, მაგრამ ახლა, მისი აზრით, სიტუაცია შეიცვალა ისლამისტების მუქარის გამო.

ტერორისტების შეტევების გათვალისწინებით, სირიაში რეჟიმის შეცვლა და ქვეყნის სათავეში ისეთი ხელისუფლების მოყვანა, რომელიც მოსაწონი იქნებოდა აშშ-ის, ევროპის, საუდის არაბეთისა და ყატარისთვის, უკანა პლანზე გადადის, რადგან დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ შექმნილი სახალიფო ემუქრება სტაბილურობას ახლო აღმოსავლეთში და ხელს უწყობს ნაციონალისტური ძალების გავლენის ზრდას ევროპაში. „ამ მხრივ, — აღნიშნავს გენერალი და გეოპოლიტიკის საკითხების ექსპერტი პინატელი, — რუსეთის ჩარევა სირიის კონფლიქტში სრულიად განსხვავებულია აშშ-ის ორმაგი თამაშისა და ყოყმანისგან“. **ამერიკელთა მოქმედების უეფექტობა აშფოთებს მოკავშირეებს და აიძულებს, რუსეთს მიმართონ.** ამასთანავე, რუსეთისა და თურქეთის კავშირები და ეკონომიკური ინტერესები კვლავ ძლიერია, მიუხედავად ამ ქვეყნებს შორის არსებული გეოპოლიტიკური დაპირისპირებისა.

„ამასთანავე, რუსეთისა და საფრანგეთის ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესები სრულიად ემთხვევა, ამ ორ ქვეყანას თანამშრომლობის დიდი ხნის ისტორია აქვს. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში კი ნორმანდიაში მოკავშირეების ჯარების გადასხმა მხოლოდ იმიტომ შეიქნა შესაძლებელი, რომ გერმანელთა არმია რუსეთთან სამწლიანი ომის შემდეგ დასუსტებული იყო. ამიტომ „ამერიკის შეერთებული შტატების სურვილი, ევროპაში დააბრუნოს ცივი ომის ატმოსფერო, რომელიც ამჟამად ნატოს გარშემო შეიქმნა, ემსახურება მხოლოდ აშშ-ის ინტერესებს, აგრეთვე, ინტერესებს იმ ევროპელი ლიდერებისა, რომლებიც ან კორუფციაში არიან ჩაფლულნი, ან ქმედუუნარონი არიან“, — განუცხადა გენერალმა ჟან-ბერნარ პინატელმა „ფიგაროს“.

**ამერიკის შეერთებული შტატების სურვილი, ევროპაში დააბრუნოს ცივი ომის ატმოსფერო, რომელიც ამჟამად ნატოს გარშემო შეიქმნა, ემსახურება მხოლოდ აშშ-ის ინტერესებს, აგრეთვე, ინტერესებს იმ ევროპელი ლიდერებისა, რომლებიც ან კორუფციაში არიან ჩაფლულნი, ან ქმედუუნარონი არიან**




# შვეიცარიამ ევროკავშირს ზურგში დანა ჩასცა

**ევროკავშირს მოულოდნელად ზურგში დანა ჩაარტყეს — კიდევ ერთ ქვეყანას არ სურს ევროკავშირის წევრობა.**

შვეიცარიის საკანონმდებლო ორგანომ ხმათა უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება, ევროკავშირში შესვლაზე განაცხადის გამოწვევის შესახებ.

ეს განაცხადი შვეიცარიამ 1992 წელს გაუგზავნა ბრიუსელს, ახლა კი შვეიცარიის საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **დიდიე ბურკჰალტერმა** პირადად აცნობა ბრიუსელს შვეიცარიის პარლამენტის გადაწყვეტილების შესახებ.

ევროკავშირში შესვლა-არშესვლის საკითხის განხილვა ორ ეტაპად მიმდინარეობდა. 2016 წლის გაზაფხულზე ევროკავშირში შესვლის განაცხადის გამოწვევას მხარი დაუჭირა ეროვნულმა საბჭომ, ივნისში კანტონების საბჭომ მოიწონა ეს იდეა. ორიოდე დღის წინათ კი გადაწყვეტილება ბრიუსელს ოფიციალურად აცნობეს.







# ბელგიაში მიგრანტმა მღვდელმსახური დაჭრა

**31 ივლისს ბელგიის ქალაქ ლანაკენში (პროვინცია ლომბერგი) ადგილობრივ მღვდელმსახურს თავს ლტოლვილი დაესხა.**

ახლო აღმოსავლეთიდან ლტოლვილმა მამაკაცმა პასტორ **ჟო ვანდერლეს** სახლის კარზე დაუკაკუნა და განუცხადა, რომ ნიდერლანდებიდან თავშესაფრის მიცემის თაობაზე თანხმობას ელოდებოდა და, რადგან უსახლკარო იყო, შხაპის მიღება სთხოვა. მღვდელმსახურმაც უფლება მისცა, სააბაზანოთი ესარგებლა.

შემდეგ ლტოლვილმა პასტორს ფული მოსთხოვა, მაგრამ მღვდელმსახურმა უარი განუცხადა.

უარის გამო გაბრაზებულმა ლტოლვილმა დანა აიღო და ბელგიელ პასტორს რამდენჯერმე დაარტყა. დაჭრილი მღვდელმსახური საავადმყოფოში გადაიყვანეს.



## დონალდ ტრამპი:
# უკრაინისთვის ყირიმის დაბრუნების მცდელობა მესამე მსოფლიო ომს გამოიწვევს

**„რუსეთისთვის ყირიმის წართმევის მცდელობამ შეიძლება მესამე მსოფლიო ომი გამოიწვიოს“, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა დონალდ ტრამპმა თავის ამომრჩევლებთან შეხვედრისას ოჰაიოს შტატში.**

აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა რესპუბლიკური პარტიიდან ხაზი გაუსვა, რომ ამჟამად უკრაინაში არეულობაა და ეს ხდება ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში.

უფრო ადრე დონალდ ტრამპმა არ გამორიცხა, რომ, თუ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვებს, ყირიმს რუსეთის ტერიტორიად აღიარებს.



# «მერკელი უნდა წავიდეს!»

**30 ივლისს გერმანიაში ათასობით გერმანელი გამოვიდა ქუჩაში მიგრანტების მიმართ კანცლერ ანგელა მერკელის პოლიტიკის გასაპროტესტებლად.**

18 და 24 ივლისს გერმანიაში უცხოელებმა დანაშაულები ჩაიდინეს: თავს დაესხნენ ვიურცბურგში მიმავალი მატარებლის მგზავრებს, მიუნხენში დახვრიტეს 9 ადამიანი, აფეთქება მოაწყვეს ქალაქ ანსბახში.

აქციის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ ანგელა მერკელი ვერ ასრულებს თავის მოვალეობას გერმანელი ხალხის მიმართ.



# ერევანში რამდენიმე ოპოზიციონერი დააკავეს

**სომხეთის დედაქალაქ ერევანში რამდენიმე ოპოზიციონერი დააკავეს. როგორც ბი-ბი-სი იუწყება, ისინი მასობრივი არეულობის ორგანიზებაში არიან ბრალდებულნი.**

საუბარია 29 ივლისის მოვლენებზე, როდესაც ერევნის პოლიციის განყოფილების შენობასთან, სადაც შეიარაღებული ჯგუფი იყო გამაგრებული, რამდენიმე ათასი დემონსტრანტი შეიკრიბა. მოგვიანებით მომხდარი არეულობის შედეგად 30 აქტივისტი დაშავდა, ცეცხლსასროლი ჭრილობა მიიღო ერთ-ერთმა სამართალდამცველმა.

**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მმართველი პარტიის ავტორიტეტის დაკნინების ფონზე, „ოცნების“ ოცნებები შეიძლება სახიფათო ილუზიებად მოგვეჩვენოს, თუმცა მან მართლაც შეიძლება მიაღწიოს სრულ დომინირებას პარლამენტში, უპირველესად, მაჟორიტარული ოლქების ხარჯზე (ახალი წესის თანახმად, გამარჯვებულმა კანდიდატმა ხმათა 50% უნდა მიიღოს. ამასთანავე, აშკარაა, რომ მეორე ტურში ოპოზიცია ერთიანი კანდიდატების გარშემო გაერთიანებას ვერ შეძლებს).**

# ზეწოლით გათანგულნი

**გასულ კვირას პოლიტიკოსები საგრძნობლად გააქტიურდნენ, მოსახლეობაში კი პირიქით — გამოიკვეთა პროცესებისგან დისტანცირებისა და დასვენების სურვილი. ეს სეზონური თავისებურება 2012-შიც, იმჟამინდელი არჩევნების ზეპრინციპული ხასიათის მიუხედავად, მაინც აღინიშნა. პარტიები საინფორმაციო „ბომბებს“ სექტემბრისთვის ინახავენ და ცდილობენ, მათი გამოყენებისთვის ნიადაგი მოამზადონ.**



**სექტემბრის ბოლოს პაპუაშვილს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე ყოფნის ვადა ეწურება, ამიტომ დარჩენილ დროში ის შეიძლება შეეცადოს, ხელისუფლების იმიჯი მაქსიმალურად დააზიანოს და პოლიტიკაში გადასაბარგებლად შესაბამისი ფონი შექმნას**

ამ კონტექსტში, ალბათ, საინტერესო იქნება **გიორგი პაპუაშვილის** განცხადების განხილვა. ის ირწმუნება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებზე „ზეწოლა“ ხორციელდება. საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება, რომ პაპუაშვილი სააკაშვილის დაკვეთებს ასრულებს და ეს იძულებულს გვხდის, მისი აქტიურობა სწორედ წინასაარჩევნო ბრძოლის კონტექსტში განვიხილოთ.

ზეწოლა მოსამართლეებზე საკმაოდ მძიმე დანაშაულია და, თუ დადასტურდება, როგორც ფაქტი და ხელისუფლების კავშირი მასთან, მმართველ ძალას სერიოზული პრობლემები შეექმნება. თუმცა აქ არის ერთი ნიუანსი — აღშფოთდებიან, უპირველესად, უცხოელები; **საქართველოში კი, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ იტანს სააკაშვილს და დარწმუნებულია მის კავშირში პაპუაშვილთან, რეზონანსი, სავარაუდოდ, შედარებით მოკრძალებული იქნება.** უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ორი გარემოება — **სექტემბრის ბოლოს პაპუაშვილს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე ყოფნის ვადა ეწურება, ამიტომ დარჩენილ დროში ის შეიძლება შეეცადოს, ხელისუფლების იმიჯი მაქსიმალურად დააზიანოს და პოლიტიკაში გადასაბარგებლად შესაბამისი ფონი შექმნას.** ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლო ბოლო პერიოდში ხშირად განიხილება, როგორც „ნაციონალების“ უკანასკნელი ბერკეტი, რომლის გამოყენებამ შეიძლება **ქიბარ ხალვაშისთვის** „რუსთავი 2“-ის გადაცემის პროცესის დაბლოკოს. თუ ეს ვერ მოხერხდება, პაპუაშვილის განცხადება, თანმდევ მოვლენებთან ერთად, შექმნის ნიადაგს იმის სათქმელად, რომ ეს ხელისუფლების ზეწოლის გამო მოხდა. შესაბამისად, „ნაციონალებს“ მიეცემათ შესაძლებლობა, თქვან იგივე ყველა სხვა ინსტანციის გადაწყვეტილებაზე „რუსთავი 2“-ის საქმის მიმართ და „უსამართლო ტირანიისგან თავისუფალი სიტყვის დასაცავად“ ქუჩის აქციები დაიწყონ ან ატეხონ საშინელი ხმაური საზღვარგარეთ.

**ტაქტიკური პრობლემის არსი, რომელიც ნაციონალებს ბოლო ხანს შეექმნა, არის ის, რომ „რუსთავი 2“-ის გარშემო განვითარებული მოვლენების დრამატული ფინალი და სავარაუდო პოსტსაარჩევნო კრიზისი ერთმანეთს არ ემთხვევა.** ბიძინა ივანიშვილმა ნათლად მიუთითა, რომ წინააღმდეგია, არჩევნების პერიოდში ტელეკომპანიის მენეჯმენტში ცვლილებები მოხდეს, თუნდაც სააპელაციო ინსტანციების ვერდიქტი ამის შესაძლებლობას იძლეოდეს. მარტივად რომ ვთქვათ, **არსებობს ორი საბაბი „მაიდნის“ ასაგორებლად („რუსთავი 2“-ის დაცვა“ და „არჩევნების გაყალბება“), მაგრამ შესაბამისი პროცესების სავარაუდო კულმინაცია დროის ხაზზე ერთმანეთისგან დაშორებულია. არადა, სწორედ მათი დამთხვევა მისცემდა ნაციონალებს შესაძლებლობას, სხვა პარტიებთან თუ „ენჯეოებთან“ ტაქტიკური ალიანსი შეექმნათ.** პაპუაშვილის გააქტიურება, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთგვარი კატალიზატორიც „რუსთავი 2“-თან დაკავშირებული პროცესების რადიკალიზაციისა და დაჩქარებისთვის.

**ყოველივე ამის პოლიტიკური შედეგი უმნიშვნელო იქნება, თუ არ „დაიდება“ მოსამართლეებზე ზეწოლის კონკრეტული ფაქტები.** პაპუაშვილი სამართალდამცავებს ხელისუფლების მორჩილ ინსტრუმენტად წარმოაჩენს და, აქედან გამომდინარე (მისი ლოგიკით), გამოძიება დამნაშავეებს, სავარაუდოდ, არ გამოავლენს. შესაბამისად, ყოველივე დარჩება ცარიელ სიტყვებად, „ჭორაობად“, როგორც მას ზოგიერთი კომენტატორი უწოდებს. მაგრამ არსებობს ერთი აკრძალული ხერხი, რომლის გამოყენებით ნაციონალებმა შეიძლება სერიოზული კრიზისის პროვოცირება მოახდინონ.

**გაუჭირდება თუ არა იმ ადამიანებს, რომლებმაც „მოდელირებული ქრონიკა“ შექმნეს, „მოდელირებული ზეწოლის“ დამზადება და ეთერში გაშვება?** აუდიო ან, სულაც, ვიდეოჩანაწერის შექმნა, რომელიც ასახავს „ზეწოლას“ ყოფილი ხელისუფლების ერთგულ მოსამართლეებზე, განსაკუთრებულ ტექნიკურ პრობლემას არ წარმოადგენს, **მთავარია, მსახიობებმა ტექსტი დამაჯერებლად წარმოთქვან. პარალელურად, ინტერნეტში შეიძლება „ჩააგდონ“ რეალური მაკომპრომენტირებელი, ჯერ კიდევ მერაბიშვილის ხელქვეითების მიერ მოპოვებული ჩანაწერი, რათა ამ გზით შანტაჟის მსხვერპლის დასჯის იმიტაცია მოახდინონ. ალბათ, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ხელისუფლებაში მართლაც მოიძებნა იდიოტი, რომელიც მოსამართლეებზე ზეწოლას ახდენდა. თუმცა ასეც რომ არ იყოს — არც სინდისი, არც ნამუსი, არც რაიმე სხვა შემაფერხებელი ფაქტორი, სავარაუდოდ, ვერ შეუშლის ხელს სააკაშვილის მიმდევრებს იმაში, რომ ყალბი მტკიცებულებები დაამზადონ, ყოველ შემთხვევაში, აქამდე ეს პრობლემა ნამდვილად არ ჰქონიათ.**

საქმე ისაა, რომ პაპუაშვილის ბენეფისი დაკარგავს ყოველგვარ აზრს, დრამატურგიული თვალსაზრისით უაზრო გახდება, თუ დამაჯერებელი ფინალი არ ექნება. ნუთუ ავანსცენაზე იმისთვის გამოვიდა (თუ გამოიყვანეს), რომ „ცარიელი სიტყვებით“ შემოფარგლულიყო?! რა მოხდება მეორე აქტში?”

**ყოფილი ხელისუფლების ბევრი მოწინააღმდეგე გააღიზიანა იმ ყურადღებამ, რომელიც პრეზიდენტმა და პრემიერმინისტრმა პაპუაშვილის მიმართ გამოავლინეს.** გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში მათ პატივი სცეს არა პიროვნებას, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს, მაგრამ მას შემდეგ, რაც პაპუაშვილმა უარი თქვა მისვლაზე აჭარის პროკურატურაში და პირობების წამოყენება დაიწყო, ეს ხაზგასმული მოწიწება ერთობ უადგილო შეიქნა. თუმცა მალე პაპუაშვილმა დარტყმა მალე მიიღო სხვა მხრიდან, რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა ნაწილის მიმართვა, რომელშიც ნათქვამია, რომ **პაპუაშვილი სასამართლოს დღის წესრიგის „ერთპიროვნულად, სასამართლოს სხვა წევრების აზრის გათვალისწინების გარეშე“ განსაზღვრავს და რიგი საქმეების (მათ შორის „რუსთავი 2“-ის) დაჩქარებული წესით განხილვას უზრუნველყოფს (როგორც ცნობილია, ეს ნაციონალებს ჰაერივით სჭირდებათ), აგრეთვე, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა ბინა, რომელშიც ის ცხოვრობს;** ძველი მფლობელი სასამართლოში აპროტესტებს მის ჩამორთმევას და შემდგომ გადაცემას პაპუაშვილისთვის, რომლისთვისაც ეს ისტორია შეიძლება ფრიად უსიამოვნო შედეგით დასრულდეს. ალბათ, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ მოგვიანებით ამასაც ზეწოლას უწოდებს. ყოველივე კი პროკურატურის განცხადებამ დააგვირგვინა, რომლმაც პაპუაშვილის მიერ აგორებულ სკანდალს აბსურდის ელემენტები შესძინა: **„გამოკითხულია საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა მოსამართლე, თავმჯდომარის გარდა. გამოკითხულთაგან ყველა უარყოფს მათ მიმართ ვინმეს მხრიდან რაიმე სახის ზეწოლის ან სამართალწარმოების განხორციელებაზე ზეგავლენის მიზნით სასამართლოს საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით ჩარევას“.**

პრეზიდენტ **მარგველაშვილის** პოზიცია კი განსაკუთრებულ დაკვირვებას საჭიროებს. პაპუაშვილთან შეხვედრის შემდეგ მან ასეთი კომენტარი გააკეთა: „მინდა მოგახსენოთ, რომ ამ (ზეწოლის) ფაქტებმა არ გამაოცა. საზოგადოებას მინდა ვუთხრა, რომ ეს ტენდენცია, სამწუხაროდ, ახალი არ არის. დაახლოებით ერთი თვის წინათ ჩემი ოჯახის წევრზეც იყო გარკვეული ზეწოლის მცდელობა სამართალდამცავების ჩართვით“. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს ცოტა სხვა ტიპის ინციდენტი იყო, ვიდრე ის, რომელზეც პაპუაშვილი საუბრობდა, თუმცა პრეზიდენტის ამ რეპლიკამ გარკვეულწილად გაამყარა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებები.

საინტერესოა, რომ **19 ივლისს**, როდესაც მარგველაშვილი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „არჩევანში“ მონაწილეობდა, მისმა წამყვანმა **გიორგი გაბუნიამ** თქვა: „მოდით, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებზეც ვისაუბროთ, რომლებზეც, აგრეთვე, არანორმალური ზეწოლა მიმდინარეობს. ჩვენი ინფორმაციით, მათ შორის არის 7 მოსამართლე, რომლებიც სამთავრობო აგენტებად არ მოიაზრებიან, ამიტომ მათზეა უმძიმესი ზეწოლა, მათ ემუქრებიან, სთავაზობენ სხვადასხვა გარიგებებს…“. მაშინ პრეზიდენტს აზრადაც არ მოსვლია საუბრის დაწყება ზეწოლის მცდელობაზე მისი ოჯახის წევრების მიმართ. არც ამ ინტერვიუმდე უთქვამს არაფერი, არც მოგვიანებით — ის სწორედ მაშინ ალაპარაკდა, როდესაც ეს ყველაზე მეტად აძლევდა ხელს „ნაცმოძრაობას“, ანუ პაპუაშვილის განცხადების შემდეგ. ზოგმა შეიძლება ჩათვალოს, რომ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან **მარგველაშვილი ბოლო ხანს გადაიქცა კომიკურ ფიგურად, რომელიც არავის აინტერესებს. ქვეყნის შიგნით ეს შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ უცხოეთში, მათ შორის, ავტორიტეტულ უფლებადაცვით ორგანიზაციებში, პრეზიდენტის განცხადებას, მისი სტატუსიდან გამომდინარე, ყურადღებას აუცილებლად მიაქცევენ და ამ ეპიზოდმა მმართველ პარტიას შეიძლება საგრძნობი ზიანი მიაყენოს.**

მარგველაშვილის განცხადებაზე საუბრისას პარლამენტის ვიცესპიკერმა **მანანა კობახიძემ** თქვა: „ გამიჩნდა განცდა, რომ ცოტა მეტი დოზა ჰქონდა ალკოჰოლის მიღებული“. აქ ბუნებრივად შეიძლება გაჩნდეს კითხვა: **რა ჰქონდათ მიღებული „ოცნების“ ხელმძღვანელებს, როდესაც მხარი დაუჭირეს მარგველაშვილის პრეზიდენტად არჩევას — კოკაინი თუ ჰეორინი?** ჯერ სად არიან... **თავდავიწყება ოქტომბერში, სავარაუდო პოსტსაარჩევნო კრიზისის დროს დაიწყება, თუ მარგველაშვილი შეეცდება, მის ხელთ არსებული მცირე, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი ბერკეტები არადანიშნულებისამებრ გამოიყენოს.**

გიორგი პაპუაშვილი „უკანასკნელი მოჰიკანია“, რომელიც ზედა ეშელონებში ძველ რეჟიმს წარმოადგენს. **დრო, როდესაც „ქართულ ოცნებას“ შეეძლო საკუთარი წარუმატებლობა სააკაშვილის კადრების საბოტაჟთან დაეკავშირებინა, დასასრულს უახლოვდება.** „ჩვენი პროგრამა-მინიმუმია ამ არჩევნებში აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვება. ეს ნიშნავს 50%-ზე მეტს ხმებისას, რაც ნიშნავს იმას, რომ, მინიმუმ, 40 კაცს გავიყვანთ პროპორციული სიით. ეს არის ის პროგრამა-მინიმუმი“, — განაცხადა „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა **ირაკლი კობახიძემ** (ტელეკომპანია „პირველი“). იმის გათვალისწინებით, რომ მაჟორიტარულ ოლქებში მმართველ პარტიას ტრიუმფალური გამარჯვების იმედი აქვს, მისი ხელმძღვანელობა, სავარაუდოდ, 100-105 მანდატის აღებას გეგმავს. როგორც ჩანს, ივანიშვილის პროგნოზის შემდეგ (მან ორი თვის წინათ თქვა, რომ „ოცნება“ დაახლოებით 95 ადგილს მოიპოვებს) პარტიაში ჩათვალეს, რომ გეგმა გადაჭარბებით უნდა შესრულდეს.

მმართველი პარტიის ავტორიტეტის დაკნინების ფონზე, „ოცნების“ ოცნებები შეიძლება სახიფათო ილუზიებად მოგვეჩვენოს, თუმცა მან მართლაც შეიძლება მიაღწიოს სრულ დომინირებას პარლამენტში, უპირველესად, მაჟორიტარული ოლქების ხარჯზე (ახალი წესის თანახმად, გამარჯვებულმა კანდიდატმა ხმათა 50% უნდა მიიღოს. ამასთანავე, აშკარაა, რომ მეორე ტურში ოპოზიცია ერთიანი კანდიდატების გარშემო გაერთიანებას ვერ შეძლებს).

ასეთი შედეგი ნიშნავს იმას, რომ მთელი პასუხისმგებლობა ქვეყანაში განვითარებულ პროცესებზე დაეკისრება მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ და მას აღარ ექნება შესაძლებლობა, მიუთითოს **უგულავას, ქადაგიძისა** თუ **პაპუაშვილის** საბოტაჟზე, „ნაცმოძრაობის“ მსხვილი ფრაქციის დესტრუქციულ ქმედებებზე ან კოალიციური პარტნიორების ამბიციებზე, როგორც გარემოებაზე, რომელიც მის უუნარობას ამართლებს. ის მალევე აღმოაჩენს, რომ კრიტიკის მთავარ სამიზნედ იქცა და მისი „გადამისამართება“ არ შეუძლია. ეს ერთგვარი პარადოქსია — რაც უფრო დამაჯერებელ გამარჯვებას მოიპოვებს „ქართული ოცნება“, მით უფრო სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდება.

თქვე ჩვენო 57-იანელებო, გამოიღვიძეთ და იმათკენ გაიხედეთ, ვისაც ენ-დი-აის კვლევაში საერთოდ არ გაჩვენებენ, თორემ ისე გადაგიწყვეტენ მომავალს (და წარსულსაც!), როგორც კვლევის ჩამტარებლების პატრონს უნდა. მოისროლეთ მაგათ კვლევებში დასახელებული ბაბაჯანას ქოშები და ბედსაც ეწევით, თორემ ამ „გადაუწყვეტელ“ უბედურებას ერთხელ გადაწყვეტილი ბედი რომ სჯობს, 2012-ში მაგათაც დაინახეს და ჩვენც კიდევ ბევრჯერ ვნახავთ!

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბაბაჯანას ქოშები და გადაწყვეტილ-გადაუწყვეტელი ამომრჩეველი

**ამ წინასაარჩევნოდ ენ-დი-აიმ გადაწყვიტა, რომ მის ნდობადაკარგულ კვლევებში მთავარი პრობლემა გამოკითხულთა რაოდენობა იყო და, თუ მათი საყვარელი სააკაშვილის პერიოდში, 2012 წლის ნოემბერში, 2 ათას კაცსაც არ ეკითხებოდა აზრს, 2013 წლის მარტში 3 ათას 103 რესპონდენტი გამოკითხა, ბოლო კვლევით კი, 4 ათას 113-ის აზრი „გაარკვია“.**



**57%-მა ჯერაც რომ ვერ გადაწყვიტა, სად წავიდეს და ვის მისცეს ხმა, კარგს არაფერს უქადის «ქართულ ოცნებას». ეს ხომ ის ამომრჩეველია, რომელმაც 2012 წელს სამუდამოდ ხელისუფლებაში დარჩენის მოიმედე სააკაშვილი პოლიტიკური მოუსავლეთის გზას გაუყენა. უფრო სწორად, მან კი გაუყენა, მაგრამ «მეოცნებე» პოლიტიკოსებმა ჩალაგებული ჩემოდნები უკანვე ამოალაგებინეს და რეანიმაციის ყველა ხერხს მიმართეს ნაციონალების სახით «ქართული დემოკრატიის გადასარჩენად»**

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა 4,4-დან 3,7 მილიონამდე შემცირდა, გამოდის, რომ ამ ყბადაღებული ორგანიზაციის კვლევა ამჯერად გაცილებით „სანდოა“, მაგრამ “ენ-დი-აიმ,” ბაბაჯანასი არ იყოს, კვლევების გამყალბებლის სახელი ვერა და ვერ მოიშორა.

იმდენად ვერ მოიშორა, რომ კორექტულობით ცნობილმა პრემიერმინისტრმა **კვირიკაშვილმაც** კი პირდაპირ განაცხადა: „სამწუხაროდ, არ გავცნობივარ ენ-დი-აის კვლევის შედეგებს, თუმცა კვლევებთან დაკავშირებით მაქვს საკმაოდ საფუძვლიანი სკეპტიკური დამოკიდებულება, ვინაიდან წარსულში ხშირად ყოფილა, რომ ეს კვლევები არ ასახავს შემდგომ მიღებულ რეალობას. ჩვენთვის მთავარია, მოთმინებით დაველოდოთ არჩევნებს, მშვიდობიანად ჩავატაროთ წინასაარჩევნო პერიოდი და შემდგომ საქართველოს მოსახლეობა გადაწყვეტს, რა არის მათთვის პრიორიტეტი, რომელი ჯგუფია უფრო მისაღები, რომელი გუნდია უფრო მისაღები. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი გუნდი უალტერნატივოდ გაიმარჯვებს დიდი უპირატესობით“.

როგორც ირკვევა, **ინტერვიუები ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ჩატარებულა. ქართულად გამოკითხულები ხომ ისეთ სურათს იძლეოდნენ, ვერავინ რომ ვერ უგებდა თავსა და ბოლოს, ახლა „ბეშ-ბეშს“ მიჩვეული აზერბაიჯანელები რასაც უპასუხებდნენ, გასაგებია. თბილისელ სომხებს კი ქართული არ ეშლებათ და იცინიან, კვდებიან სიცილით!**

გაეცინებათ, აბა, რა იქნება, როცა „ტაბულა ბიცოლას“ სათაურად აქვს გამოტანილი, რომ **„ამომრჩეველზე გავლენას ახდენს მღვდლის პოლიტიკური შეხედულებები“.** არადა, თვითონ ენ-დი-აის ასე უწერია: „გადაწყვეტილ ამომრჩეველზე გავლენას ახდენს ახლობლების პოლიტიკური შეხედულებები — 45%, მრევლისა და მღვდლის პოლიტიკური შეხედულებები — 35%, პოპულარული ადამიანების შეხედულებები – 25%, დამსაქმებლისა და თანამშრომლების პოლიტიკური შეხედულებები — 21%“.

ახლა გამოიცანით, **„ტაბულა ბიცოლას“ დასაქმებულები განიცდიან თუ არა მის გავლენას და ვის მისცემენ ხმას?** — სავარაუდოდ, იმ პარტიას, რომელიც მისი „ახალი სახის“ — **ოთო კახიძის** სახით აცხადებს: ენ-დი-აის კვლევამ გამოკვეთა, რომ ქვეყანაში ძალიან მძიმე სურათია. იზრდება უმუშევრობა, არის სიღარიბე, უიმედობის განცდა და ხელისუფლება ამ პრობლემებს ვერ პასუხობს. ეს კვლევაში ცალსახად დადასტურებულია. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლების ერთადერთი ალტერნატივაა, რომელსაც გეგმა, ხედვა და შესაბამისი კომპეტენცია აქვს, თუ როგორ გამოიყვანოს ქვეყანა შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან, როგორ შეამციროს უმუშევრობა, გაზარდოს პენსია და იაროს წინ“.

ერთადერთი, ალტერნატივის როლი არ ეთმობათ და პირდაპირ აუქციონი აქვთ გამოცხადებული სოციალურ დაპირებებზე ნაცებსაც და მათ სატელიტებსაც. კვლევის თანახმად, **ამომრჩეველთა 41%-ისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პარტიების ეკონომიკური პოლიტიკა იქნება, ტერიტორიული მთლიანობის ქვედა ადგილებზე გადატანა კი კვლავ საფირმო ნიშნად რჩება. კიდევ როგორ უნდა ახსნან, რომ ნატოსკენ მიმავალ გზაზე აფხაზეთი და სამაჩაბლო მხოლოდ ხელშემშლელი ფაქტორია?**

ოთო კახიძის პარტიას თამაშს ერთგვარად უფუჭებს ის, რომ საარჩევნო გადაწყვეტილებაზე გავლენას შემდეგი ფაქტორები ახდენს: მხოლოდ გადაწყვეტილ ამომრჩეველთა 38%-ის პასუხით, ეს არის **ნდობა** პარტიების კონკრეტული წარმომადგენლის მიმართ — 78%, პარტიის წარსული **საქმიანობა** — 73%, პარტიის **საარჩევნო პროგრამა და დაპირებები** — 70%, პარტიის მიერ არჩევნებში გამარჯვების მაღალი შანსი — 46%.

**წარსული საქმიანობა**, როგორც ჩანს, ჯერაც მძლავრი ფაქტორია, რაკი ამომრჩეველი სულ უფრო ხშირად ხვდება ნაცმოს ცოცხებით, რაც, ძირითადად, პარტიის მდედრობითი სქესის კანდიდატებში ისტერიკას იწვევს. არადა, ამომრჩევლის ლანძღვას ის ურჩევნიათ, შეხვედრებზე აქანდაზი წაიღონ, თუმცა არავინ იცის, შესაძლოა, იმ აქანდაზზეც შემოსვას ამომრჩეველმა და იქ მიუჩინოს ადგილი, სადაც „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეძლო და ნამდვილად იმსახურებენ!

ახლა ყურადღებით:

„გადაუწყვეტელ ამომრჩევლებზე (57%) გავლენას პატრიის წარსული საქმიანობა ახდენს (62%), ასევე ნდობა პოლიტიკური პარტიების კონკრეტული წარმომადგენლების მიმართ — 59%, პარტიის საარჩევნო პროგრამა და დაპირებები — 54%, მრევლის (მღვდლის) პოლიტიკური შეხედულებები — 29% და სხვ.

კითხვაზე, რომელ პარტიას არ მისცემდით ხმას არასდროს, 21%-მა არ იცის პასუხი; ასევე, 21% ასახელებს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, 19% — „ქართულ ოცნებას“, არ არსებობს ასეთი პარტიაო, მიიჩნევს 15%, უარს ამბობს პასუხზე 8%.

სხვა პარტიებს ასახელებს 6%“.

**უალტერნატივო ლიდერი უარყოფით განწყობებში კვლავ „ნაციონალური მოძრაობაა“, მაგრამ გააჩნია, როგორ შეფუთავ ამას და თანაც, ეს დედისგან დაწყევლილი პარტია რაღაცაში მაინც ხომ უნდა იყოს ლიდერი?! „ქართული ოცნება“ ამ ნეგატიურ რეიტინგში მეორე ადგილზეა და მადლობები იხადოს, რომ მესამეზე არ ჩააჩოჩეს პაატა ბურჭულაძის სცენაზე გამომხტარი პარტიის შემდეგ.**

ისე, 57%-მა ჯერაც რომ ვერ გადაწყვიტა, სად წავიდეს და ვის მისცეს ხმა, კარგს არაფერს უქადის „ქართულ ოცნებას“. ეს ხომ ის ამომრჩეველია, რომელმაც 2012 წელს სამუდამოდ ხელისუფლებაში დარჩენის მოიმედე სააკაშვილი პოლიტიკური მოუსავლეთის გზას გაუყენა. უფრო სწორად, მან კი გაუყენა, მაგრამ „მეოცნებე“ პოლიტიკოსებმა ჩალაგებული ჩემოდნები უკანვე ამოალაგებინეს და რეანიმაციის ყველა ხერხს მიმართეს ნაციონალების სახით „ქართული დემოკრატიის გადასარჩენად.“

გადაარჩინეს და კოალიციიდანაც ნაწილ-ნაწილ გაიპარნენ, თუ დავაზუსტებთ, გააპარეს და მედასავლეთეების მთელი კოლონა შექმნეს; ისინი ერთმანეთს კი წაართმევენ ხმებს, მაგრამ „ოცნება“, ერთი კაცის ვარაუდით, მაინც „ჭარბ ნდობას“ მოიპოვებს.

ენ-დი-აის რეალობა კი ასეთია: კითხვაზე — ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, თქვენი აზრით, რომელი პარტია გაიმარჯვებდა, 39% პასუხობს, რომ „არ იცის“, „ქართულ ოცნებას“ 36% ვარაუდობს გამარჯვებულად, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ — 11%, პაატა ბურჭულაძის პარტიას — 3%, სხვას — 5%“.

შეგახსენებთ, **2015 წლის აგვისტოს კვლევაში 20% ფიქრობდა, რომ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებდა, სინამდვილეში კი ეს მაჩვენებელი გასამმაგდა და „ოცნება-ნაციონალებმა“ სამოცი ორმოცზე გაიყვეს მანდატები. „ოცნებიდან“ გაპარულები იმასაც ამბობენ, რომ ერთი ელჩის მეცადინეობით, პირიქით, შედეგზე ვაჭრობდნენ, მაგრამ საბოლოოდ, ქუდზე გამოსულმა ხალხმა გადაწონა და ნაციონალები ოპოზიციაში აღმოჩნდნენ.**

„ენ-დი-აის“ კვლევით, „გადაუწყვეტელი“ მოსახლეობის 31% ფიქრობს, ხვალ რომ არჩევნები იყოს, „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებდა არჩევნებში; 6%-ის აზრით, — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; რაც შეეხება გადაწყვეტილს, 47%-ის აზრით, „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებდა, 19%-ის აზრით, — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

**ენ-დი-აის თამაში ნათელი და მარტივია: ძირითადმა პოლიტიკურმა ძალებმა კარგად უნდა იცოდნენ, მათ კიდურებზე გამობმული ძაფები ვის უჭირავს ხელში და მათი გალეგიტიმურებაც იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ როგორ მოიქცევა, რამდენად ხალისიანად დათმობს ეროვნულ ინტერესებს „სტრატეგიული პარტნიორის“ სასარგებლოდ.**

გადაუწყვეტელი ამომრჩეველი ჭარბობს ახალგაზრდა ასაკობრივ კატეგორიაში 18-დან 35 წლამდე. ეს ის კატეგორიაა, რომელზეც იმედებს სააკაშვილი და ოთო კახიძე ამყარებენ.

მაინც რა არის ეს 57%?

**მეშვიდე დღის ადვენტისტები ვიცოდით, 50-იანელებიც ვიცოდით, 60-იანელები ხომ ვიცოდით და ვიცოდით – ხრუშჩოვისაც და მეცხრამეტე საუკუნისაც, მაგრამ ეს 57-იანელები ვინღა არიან? სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა ბატონ ბიძინას, ეს მაინც ხომ მოგვიტანა – 57% აზრზე არ არის, რა ქნას და ვის მისცეს ხმა.**

**ნავაროს** ადგილმონაცვლე **ლორა თორნტონი** კი ამასობაში ნათელ მესიჯებს გვიგზავნის: „უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვა, რომ ამ ხელისუფლებაშიც არიან პირები, რომლებიც ენდობიან და ეყრდნობიან ჩვენს კვლევას. რა თქმა უნდა, არის ხალხი, რომელიც არ გვენდობა, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ მათთან კომუნიკაციის დამყარებას და ახსნას, რომ ჩვენი კვლევის უმთავრესი მიზანი მათი დახმარებაა; დახმარება იმაში, რომ აწარმოონ უფრო პასუხისმგებლიანი პოლიტიკა და უკეთ გაიგონ საზოგადოების აზრი საქართველოში, რადგან არ არსებობს სხვა ბევრი ისეთი ნეიტრალური მონაცემი, რომელიც მათ ამის საშუალებას მისცემს“.

**„პასუხისმგებლიანი“ ლორა ეხმარება ორ ძალას, რომლებსაც მორიგეობით ხელისუფლებაში ყოფნას სთავაზობს, ხოლო პოლიტიკურ ველზე სხვა ორიენტაციის ძალები რომ არ შეეპაროთ, კვლევებში ხან ბურჭულაძეს შემოაგდებენ, ხან — ალასანიას და ხანაც — ნათელაშვილს!**

აკი კვლევაში ხაზგასმულია: „კითხვას — მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი, რომ საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი, გამოკითხულთა 72%-მა დადებითად უპასუხა. ეს მაჩვენებელი, 2016 წლის მარტის კვლევასთან შედარებით, 5 პუნქტითაა შემცირებული“.

16%-ისთვის მიუღებელია ევროკავშირის წევრობა, წინა კვლევაში ეს მაჩვენებელი 14% იყო.

ასევე, **2016 წლის მარტის კვლევასთან შედარებით, 8 პუნქტითაა შემცირებული და 64%-ს შეადგენს მათი რაოდენობა, ვინც ფიქრობს, რომ „ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა სარგებელს მოუტანს თქვენნაირ ხალხს“. ევროგაერთიანებისგან სარგებელს უფრო მეტად ახალგაზრდები ელიან.**

გარდა ამისა, წინა კვლევასთან შედარებით, 4 ერთეულითაა შემცირებული მათი რაოდენობა (64%), ვისაც ნატოს წევრობა სურს და გაზრდილია მათი რიცხვი, ვისთვისაც მიუღებელია ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. ამასთანავე, უმცირესობათა დასახლებებში ნაკლებია ნატოს მხარდაჭერა, რადგან უმეტესობა „არ ვიცის“ პასუხობს.

**ერთი სიტყვით, საგანგაშოა დასავლური ოპტიმიზმის 2-8 %-ით შემცირებაც კი. კონკურსი ცხადდება იმაზე, ვინ უფრო თავგამოდებით იყვირებს, რომ ნატოსა და ევროკავშირში უნდა შევიდეთ. ვინც არ იყვირებს, ნატოში კი არა, კვლევაშიც ვერ აღმოჩნდება.**

თქვე ჩვენო 57-იანელებო, გამოიღვიძეთ და იმათკენ გაიხედეთ, ვისაც ენ-დი-აის კვლევაში საერთოდ არ გაჩვენებენ, თორემ ისე გადაგიწყვეტენ მომავალს (და წარსულსაც!), როგორც კვლევის ჩამტარებლების პატრონს უნდა. მოისროლეთ მაგათ კვლევებში დასახელებული ბაბაჯანას ქოშები და ბედსაც ეწევით, თორემ ამ „გადაუწყვეტელ“ უბედურებას ერთხელ გადაწყვეტილი ბედი რომ სჯობს, 2012-ში მაგათაც დაინახეს და ჩვენც კიდევ ბევრჯერ ვნახავთ!

**თამარ დავითულიანი**

უახლესი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ირაკლი ალასანია: „მე თამამად შემიძლია გავიმეორო, რაც რასმუსენთან (ნატოს გენმდივანი იმხანად — გ. გ.) ერთად ვუთხარი ჩვენი შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს — პრაქტიკულად ჩვენი ჯარი უკვე ნატოშია. რატომ? იმიტომ, რომ მათ ისე ენდობიან ამერიკელები, ბრიტანელები და ჩვენი მოკავშირეები, როგორც საკუთარ ორგანიზაციას, ნატოს წევრებს და ურჩევნიათ კიდეც, რომ მათთან ერთად იყვნენ ბრძოლაში. აი, ეს არის დიდი მიღწევა ჩვენი ჯარის“.**

# ჯაზში მხოლოდ ალასანია არ არის

**საპარლამენტო არჩევნებამდე თითქმის 2-თვე-ნახევრით ადრე, 16 ივლისს, გაიმართა პარტია „ირაკლი ალასანია — თავისუფალი დემოკრატების“ ყრილობა, რომელზეც ამ ორგანიზაციის საარჩევნო სიის ოცეული დაასახელეს და ამომრჩევლებს „უკეთეს ეკონომიკას“, „უკეთეს ცხოვრებას“, „250-ლარიან საარსებო მინიმუმს“, „300-ლარიან პენსიასა“ და „მინიმალურ ხელფასს — 500 ლარს“ დაჰპირდნენ. არის თუ არა ეს დაპირებები დემაგოგია, ცალკე განსახილველი თემაა, მაგრამ ფაქტია: ალასანიას პარტია, რომელსაც ზოგიერთი მისი წევრი „გამოცდილი დიპლომატების“ გუნდს უწოდებს და, რომელიც ისევე, როგორც 2%-იანი რეიტინგის მქონე რესპუბლიკური პარტია, ბიძინა ივანიშვილი რომ არ მოვლენოდა მაშველ რგოლად, 5%-იან ბარიერს ვერ გადალახავდა, დღეს არჩევნებში თავისი „ისტორიული სიტყვის“ სათქმელად ემზადება.**

თუ „თავისუფალი დემოკრატების“ საარჩევნო სიის პირველ ოცეულს გადავხედავთ, საკმაოდ რთული წარმოსადგენია, ამ ამბიციურმა ადამიანებმა, რომელთა უმრავლესობა შევარდნაძისა და სააკაშვილის მმართველობის პერიოდში დაფრთიანდნენ და რომლებსაც იმ პერიოდიდან „გენეტიკურად“ მოსდგამთ მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაცვაზე ზრუნვა, როგორ უნდა მიაღწიონ „უკეთეს ეკონომიკას“ და „საუკეთესო ცხოვრებას“ (ისიც საკითხავია, რომელ პერიოდთან შედარებით უკეთესზე და ვის უკეთეს ცხოვრებაზე ლაპარაკობენ „თავისუფალი დემოკრატები“).

„ირაკლი ალასანია — თავისუფალი დემოკრატების“ სიაში **მეორე ნომერია** დეპუტატი, საგარეო ურთიერთობების საპარლამენტო კომიტეტის წევრი **ვიქტორ დოლიძე,** რომელმაც აქტიური მოღვაწეობა შევარდნაძის პერიოდში დაიწყო — 1996-2004 წლებში, საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი იყო, 2004-2005 წლებში კი, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოში მუშაობდა.

დამთავრებული აქვს შვედეთის ეროვნული თავდაცვისა და ნატოს თავდაცვის კოლეჯები.

სიაში **მეოთხეა ზურაბ აბაშიძე,** რომელიც, ვიქტორ დოლიძის მსგავსად, პოლიტიკურ ასპარეზზე ედუარდ შევარდნაძემ გამოიყვანა: 1996-1998 წლებში საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში მუშაობდა, 2000-2004 წლებში კი — საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოში სააკაშვილის მმართველობის პერიოდში კი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი იყო (2004-2005 წწ.); შემდეგ, 2010-2012 წლებში, — თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე.

სწავლობდა მანჩესტერის (დიდი ბრიტანეთი) კოლეჯში.

**მე-5** ნომერია **ირაკლი ჩიქოვანი**, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის პირობებში დაფრთიანდა: 2001-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში; 2004-2005 წლებში — საქართველოს ეროვნული უშიშროების აპარატში; 2005-2009 წლებში — საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

2005 წელს დაამთავრა ნატოს თავდაცვის კოლეჯი რომში.

**მე-6** ნომერი, **შალვა შავგულიძე,** 1992-1994 წლებში პროკურორად მუშაობდა.

სიაში **მე-7** ნომერია **ალექსი პეტრიაშვილი** — ყოფილი სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში (2012-2014 წწ.).

2002-2004 წლებში იყო აშშ-ში, მექსიკასა და კანადაში საქართველოს საელჩოს მთავარი მრჩეველი. 1998-2009 წლებში მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. მანაც მოღვაწეობა შევარდნაძის მმართველობის პერიოდში დაიწყო და სააკაშვილის პერიოდშიც განაგრძო.

სიაში **მეცხრეა მაია ფანჯიკიძე,** 1994-1997 წლებში (შევარდნაძის მმართველობის პერიოდში) გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს ელჩის მრჩეველი; 2002-2004 წლებში საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში; სააკაშვილის მმართველობის პერიოდში კი ამავე ქვეყანაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იყო (2004-2007 წლებში); შემდეგ — ნიდერლანდების სამეფოში (2010-2011 წწ.), სანამ ბიძინა ივანიშვილი თავის პრესსპიკერად დანიშნავდა.

**გიორგი ცაგარეიშვილი**, რომელიც „ირაკლი ალასანია — თავისუფალი დემოკრატების“ საარჩევნო სიაში **მეათეა,** 1995-2003 წლებში შსს-ს ავტოინსპექციაში მუშაობდა. იყო სამი მოწვევის (მე-6, მე-7, მე-8, ანუ 2004-2016 წლებში) პარლამენტის წევრი.

**დავით ონოფრიშვილი** კი, რომელიც „თავისუფალი დემოკრატების“ სიაში მე-12 პოზიციაზეა, 1993 წელს შევარდნაძის სახელმწიფო კანცელარიაში ეკონომიკური განყოფილების წამყვანი სახელმწიფო მრჩეველი იყო (საინტერესოა, რას ურჩევდა ხოლმე), 1998-2000 წლებში კი იმავე შევარდნაძის მთავრობაში — საქართველოს ფინანსთა მინისტრი; ხელისუფლებაში სააკაშვილის მოსვლის შემდეგ, 2004-2005 წლებში — შპს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე; 2009 წლიდან კი პარტია თავისუფლების წევრია; არის მე-4 და მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი. დამთავრებული აქვს კოლუმბიის უნივერსიტეტის (აშშ) მაგისტრატურა ეკონომიკური პოლიტიკის მართვის სპეციალობით.



**ამ ე.წ. გამოცდილ დიპლომატებს საერთაშორისო ურთიერთობების არენაზე თავი არაფრით გამოუჩენიათ. მათ ქართველ საზოგადოებას თავი მხოლოდ იმით დაამახსოვრეს, რომ, «მოქალაქეთა კავშირისა» და «ნაცმოძრაობის» წევრების მსგავსად, გამუდმებით იმეორებდნენ და ახლაც იმეორებენ ბოლო 25 წლის განმავლობაში გატკეპნილ, უკვე ძალიან მომაბეზრებელ და, როგორც ნათლად გამოჩნდა, აბსურდულ ფრაზებს: «მალე მივიღებთ მაპს», «მალე შევალთ ნატოში», «მალე გავერთიანდებით ევროკავშირში», «ჩვენი წინაპრების არჩევანი ყოველთვის იყო ევროპა» და ა.შ.**

„თავისუფალი დემოკრატების“ ზემოაღნიშნული წევრებისთვის, რა თქმა უნდა, ირაკლი ალასანიასთან ერთად, ორი რამ არის დამახასიათებელი:

**1. ყველა ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში დაფრთიანდა, როგორც პოლიტიკოსი, და შემდეგ სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს ემსახურებოდა;**

**2. უმრავლესობას, ისევე, როგორც მიხეილ სააკაშვილს, რამდენიმეთვიანი კურსები აქვს გავლილი დასავლეთის ქვეყნებში, უფრო — ამერიკის შეერთებულ შტატებში და ე.წ. დასავლური, უფრო ზუსტად, პროამერიკული ორიენტაციის პოლიტიკოსებად ითვლებიან, ანუ ამერიკელთა ინტერესების გამტარებლებად.**

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ყველაზე დიდი ჩავარდნა საგარეო-პოლიტიკური მიმართულებით აქვს, ამ ე.წ. გამოცდილ დიპლომატებს საერთაშორისო ურთიერთობების არენაზე თავი არაფრით გამოუჩენიათ. მათ ქართველ საზოგადოებას თავი მხოლოდ იმით დაამახსოვრეს, რომ, „მოქალაქეთა კავშირისა“ და „ნაცმოძრაობის“ წევრების მსგავსად (როგორც თავის დროზე განაცხადა ზურაბ ჟვანიამ: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“), გამუდმებით იმეორებდნენ და ახლაც იმეორებენ ბოლო 25 წლის განმავლობაში გატკეპნილ, უკვე ძალიან მომაბეზრებელ და, როგორც ნათლად გამოჩნდა, აბსურდულ ფრაზებს: **„მალე მივიღებთ მაპს“, „მალე შევალთ ნატოში“, „მალე გავერთიანდებით ევროკავშირში“, „ჩვენი წინაპრების არჩევანი ყოველთვის იყო ევროპა“** და ა.შ. ამ ფრაზების გარდა, რომლებიც სიტყვებით ჟონგლირებით ქართველი ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრისა და პროდასავლურობის დამტკიცების მცდელობის მეტი არაფერია, „თავისუფალი დემოკრატების“ მხოლოდ ორმა წევრმა დაამახსოვრა თავი ქართველ საზოგადოებას: მათგან ერთმა — გამოცდილმა დიპლომატმა **ალექსი პეტრიაშვილმა** პირადი ცხოვრების საკითხები დიპლომატიური მეთოდებით ვერ მოაგვარა და საქმე იქამდე მიიყვანა, რომ 5 ტყვია დაახალეს.

„თავისუფალი დემოკრატების“ მეორე „პოპულარული“ პიროვნებაა ირაკლი ალასანიას ცოლისდა, პედაგოგი და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი **მაია ფანჯიკიძე**, რომელმაც საზოგადოებას თავი არა მხოლოდ იმით დაამახსოვრა, რომ 2013 წელს ვილნიუსში ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებას „შალახოს“ ჰანგების თანხლებით მოაწერა ხელი... მის გარშემო ატეხილი მეორე სკანდალის შემდეგ არავის ეგონა, ქალბატონი მაია ფანჯიკიძე არათუ პოლიტიკაში, არამედ სახლის სადარბაზოში თუ გამოჩნდებოდა, მაგრამ პოლიტიკა მაგნიტივით იზიდავს ადამიანებს.

რაც შეეხება „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე **ირაკლი ალასანიას,** ის 30 წლისაც არ იყო, როცა საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილედ დანიშნეს (2002 წ.). 2004-2006 წლებში გახლდათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის მრჩეველი კონფლიქტის მოგვარების საკითხებში. 2006 წელს სააკაშვილმა ის გაეროში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად დანიშნა. 2008 წელს კი ეს პოსტი დატოვა, მიზეზად სააკაშვილსა და მას შორის საქართველოს განვითარების საკითხებზე „განსხვავებული ხედვები“ დაასახელა.

2009 წელს ირაკლი ალასანიამ დააარსა პარტია „ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატები“, რომელიც რესპუბლიკურ პარტიასა და „ახალ მემარჯვენეებთან“ ერთად გაერთიანდა ალიანსში „ალიანსი საქართველოსთვის“.

2009 წლის გაზაფხულზე ალასანია პარტიასთან ერთად მონაწილეობდა საპროტესტო აქციებში მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით. ალიანსმა თბილისის მერის არჩევნებში ირაკლი ალასანიას კანდიდატურა წარადგინა, მაგრამ ხმების მხოლოდ 19% მოაგროვა.

2011 წელს კი ალასანიას პარტია კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მიეკედლა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ დაინიშნა თავდაცვის მინისტრად, მაგრამ 2014 წელს საქართველოს იმჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** პოსტიდან გადააყენა. საბაბი იყო თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან 4 მლნ ლარის გაფლანგვა (ე.წ. კაბელების საქმე), თუმცა, ბევრი ექსპერტის აზრით, განხეთქილება ალასანიასა და „ქართული ოცნე- ▶

# ირაკლი ალასანია: „მიხეილ სააკაშვილმა ძალისხმევა არ დაიშურა პროგრესის მისაღწევად და უამრავი ახალი ინიციატივა განახორციელა საქართველოს მოდერნიზაციისა და ინტეგრაციისთვის. ჩვენ უნდა ვაღიაროთ და დავაფასოთ ეს ყველაფერი და წინა მთავრობის მიერ აგებულ მყარ ნიადაგზე სვლა განვაგრძოთ“.

ახალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ბის“ ლიდერებს შორის უფრო ადრე დაიწყო და მას სხვა საფუძველი ჰქონდა.

ასეთია ირაკლი ალასანიას მოკლე დოსიე, მაგრამ ამ ამბიციური და მხოლოდ თავის ინტერესების გატარებაზე მზრუნველი პოლიტიკოსის სახელთან ბევრი სკანდალური საქმე თუ განცხადებაა დაკავშირებული.

აი რა განაცხადა ირაკლი ალასანიამ 2013 წელს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში (№25, 2013 წლის 10-16 ივნისი):

**„პოლიტიკას მე სულ ვადარებ ჯაზს, რომელიც მუდმივ იმპროვიზაციებს მოითხოვს და ქართული პოლიტიკა ძალიან მრავალფეროვანი და მოულოდნელობებით აღსავსეა“.**

ამ მართლაც სკანდალური ინტერვიუდან, რომელშიც ალასანია ბევრ ისეთ რამეს ამბობს, რომ აშკარაა მისი სიმპათია სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის მიმართ, ეს ფრაზა იმითაა საყურადღებო, რომ ალასანია თავის დამოკიდებულებას გამოხატავს პოლიტიკის მიმართ. მისი აზრით, პოლიტიკა, ისევე, როგორც ჯაზი, იმპროვიზაციას მოითხოვს, პრინციპების დაცვა კი საჭირო არ არის და კონიუნქტურის შესაბამისად უნდა მოიქცე, ანუ ქართული ანდაზის მანასესავით: ხან — ისე და ხან — ასე. ამას ადასტურებს ალასანიას კიდევ ერთი ფრაზა ზემოაღნიშნული ინტერვიუდან:

**„მე არ ვთვლი „ნაციონალურ მოძრაობას“ მტრად. მათი დამარცხება და განადგურება არ მიმაჩნია ჩემს მთავარ ამოცანად. რაც შეეხება იმ შედარებას, რომ ბრძოლაში დამარცხებული ბოლომდე უნდა გაანადგურო, ჯერ ერთი, საქართველო პატარა ქვეყანაა და ჩვენ იმის ფუფუნება არ გვაქვს, რომ ერთმანეთს ასე გავუსწორდეთ; მეორე — ვინც არის დამნაშავე, იმან კანონის წინაშე უნდა აგოს პასუხი...“**

ამ განცხადებით ირაკლი ალასანიამ არა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“, არამედ მისი და ნაცების პატრონების მისწრაფებები გამოხატა. თუმცა **ალასანია სააკაშვილის რეჟიმს მტრად არც მაშინ განიხილავდა, როცა გავეშებული ნაციონალები ადამიანებს ქუჩაში ხოცავდნენ, მიტინგებს არბევდნენ, დახოცილი ადამიანების გვამებს მდინარის სანაპიროზე აწყობდნენ და იქიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით საზეიმო აღლუმს მართავდნენ; ალასანია „ნაციონალურ მოძრაობას“ არც მაშინ განიხილავდა მტრად, როცა ეს უამრავი დანაშაულის ჩამდენი რეჟიმი ადამიანებს ციხეებით აუპატიურებდა და ბიზნესმენებს ატერორებდა, როცა ანგრევდა განათლების სისტემას და კულტურას, სოფლის მეურნეობასა და სპორტს, როცა დაკარგა ტერიტორიების 20%, როცა ებრძოდა საქართველოს პატრიარქს, მართლმადიდებლობას და, საერთოდ, ყველაფერს, რაც ქართულ ტრადიციულ ღირებულებებთან არის დაკავშირებული.**

სხვათა შორის, **არც „ნაციონალური მოძრაობა“ აღიქვამდა ირაკლი ალასანიას მტრად, მის მიმართ არასოდეს გამოსულან მწვავე განცხადებებით და არც მისი გარემოცვის რამდენიმე წევრი დაუპატიმრებიათ უსაფუძვლო ბრალდებით, როცა სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ციხეები სავსე იყო ასეთი პატიმრებით.**

## ალასანია «ნაციონალურ მოძრაობას» არც მაშინ განიხილავდა მტრად, როცა ეს უამრავი დანაშაულის ჩამდენი რეჟიმი ადამიანებს ციხეებით აუპატიურებდა და ბიზნესმენებს ატერორებდა, როცა ანგრევდა განათლების სისტემას და კულტურას, სოფლის მეურნეობასა და სპორტს, როცა დაკარგა ტერიტორიების 20%, როცა ებრძოდა საქართველოს პატრიარქს, მართლმადიდებლობას და, საერთოდ, ყველაფერს, რაც ქართულ ტრადიციულ ღირებულებებთან არის დაკავშირებული



ირაკლი ალასანიას განსაკუთრებით არ მოსწონს, როდესაც მას 1990 წლებში „კულინარიელთა საძმოს“ წევრობას ახსენებენ და ამას კატეგორიულად უარყოფს. მაგრამ პრესაში ხშირად იწერებოდა, რომ ის „კულინარიელთა საძმოს“ წევრი იყო და ამის ბევრი მოწმე არსებობს, თანაც, ამ დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი **ირაკლი ჩლაიძე**, რომელსაც არაერთი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი წარსულში, ირაკლი ალასანიას მეჯვარე გახლდათ. თვითონ ალასანიას კი 1995 წლის 4 მარტს თბილისში ორი ახალგაზრდის — **კუსა თოხმაიძისა** და **ბექა რეხვიაშვილის** უგზო-უკვლოდ გაუჩინარებაში ადანაშაულებენ ამ ახალგაზრდების დედები — **თამარ გარსევანიშვილი** და **მანანა რეხვიაშვილი.** ამ საქმეზე ალასანია სამჯერ დაჰკითხეს, მაგრამ საქმე დღესაც არ არის გამოძიებული.

საზოგადოებას, ალბათ, ახსოვს, რომ ირაკლი ალასანია ოპოზიციურ ძალებს ყოველთვის მოუწოდებდა „კონსტრუქციული“ დიალოგისკენ. სწორედ მის მიერ ჩამოყალიბებულმა კოალიციებმა — ჯერ „სამეულმა“, შემდეგ „რვიანმა“ და „ექვსიანმა“ გაუხანგრძლივეს სიცოცხლე სააკაშვილის ხელისუფლებას და, რომ არა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნები, სააკაშვილის რეჟიმი კიდევ დიდხანს იპარპაშებდა ქვეყანაში. 2010 წელს, როდესაც ცხადი შეიქნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები არა მხოლოდ თბილისში, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით გააყალბა „ნაცმოძრაობამ“, ოპოზიცია ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების დაწყებას აპირებდა, მაგრამ ალასანიამ ყველას ცივი წყალი გადაასხა — მან **გიგი უგულავას** არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე მიულოცა „ღირსეული გამარჯვება“ და ამით ოპოზიციას საპროტესტო მოძრაობის დაწყების საფუძველი გამოაცალა. ამბობენ, რომ ეს „ნაცმოძრაობასა“ და ალასანიას შორის გარიგება იყო. როგორც ჩანს, თავის დროზე გაოპოზიციონერებული ალასანია წარმატებით მართავდა რამდენიმე ოპოზიციურ ძალას და მისი განცხადებები „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ გასაკვირი არ უნდა იყოს. სწორედ ამიტომ უწოდეს ქართულ პრესაში ალასანიას „ქართულ ოცნებაში“ ჩანერგილი **„ტროას ცხენი“.**

ამასთანავე, იმავე „2010 წელს, როცა ალასანია თბილისის მერობის კანდიდატად იყრიდა კენჭს, საქართველოს პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას ვაჟმა — **ცოტნე გამსახურდიამ** ციხიდან მიმართვა გაავრცელა და თბილისელებს მოუწოდა, რომ ალასანიასთვის მხარი არ დაეჭირათ და ამის ერთ-ერთ მიზეზად ნარკოტრეფიკში ალასანიას მონაწილეობა დაასახელა“ (გაზეთი „კვირის ქრონიკა“, 2014 წლის ნოემბერი).

**„პოლიტიკას მე სულ ვადარებ ჯაზს, რომელიც მუდმივ იმპროვიზაციებს მოითხოვს“,** — ამბობს ირაკლი ალასანია და ისეთ იმპროვიზაციას ავლენს 2013 წლის ივლისში „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში, რომ თვით ჯაზის ვირტუოზებს — **დიუკ ელინგტონს, ლუი არმსტრონგსა** და **ჯონ კოლტრეინსაც** კი შეშურდებოდათ:

**„მე თამამად შემიძლია გავიმეორო, რაც რასმუსენთან** (ნატოს გენმდივანი იმხანად — გ. გ.) **ერთად ვუთხარი ჩვენი შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს — პრაქტიკულად ჩვენი ჯარი უკვე ნატოშია. რატომ? იმიტომ, რომ მათ ისე ენდობიან ამერიკელები, ბრიტანელები და ჩვენი მოკავშირეები, როგორც საკუთარ ორგანიზაციას, ნატოს წევრებს და ურჩევნიათ კიდეც, რომ მათთან ერთად იყვნენ ბრძოლაში. აი, ეს არის დიდი მიღწევა ჩვენი ჯარის“.**

აი ასე: „ჩვენი ჯარი უკვე ნატოშია, რადგან მას ენდობიან ამერიკელები“. აბა, როგორ — ავღანეთში, ერაყში თუ მსოფლიოს სხვა საომარ კონფლიქტებში საქართველოს მისიები, ქართველი სამხედროების კონტინგენტები, რაოდენობით მოწინავე პოზიციებზე ხომ უნდა იყვნენ, რათა, რაც შეიძლება მეტი ქართველი გამოიყენონ საზარბაზნე ხორცად?!

იმ მომენტში, როცა ალასანია ამ ფრაზას ამბობდა, ანუ 2013 წლის ივლისში, მხოლოდ ავღანეთში 29 ქართველი სამხედრო მოსამსახურე იყო დაღუპული.

მაგრამ მთავარი ხომ ის არის, რომ ამერიკელების ინტერესები იყოს დაცული და ვის ანაღვლებს, რამდენი ქართველი დაიღუპება უცხო მიწაზე უცხო ქვეყნის ინტერესების დასაცავად.

ისიც აღსანიშნავია, რომ სწორედ ბატონ ალასანიას ადანაშაულებს კოდორის ხეობის დაკარგვაში ამ ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული **ემზარ კვიციანი.**

ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ემზარ კვიციანი ამბობს, — თავის დროზე ირაკლი ალასანიამ მითხრა, ხეობაში ჯარი უნდა შემოვიყვანოთ და ხეობა ეკონომიკურად გავაძლიეროთო. **„ირაკლის ვუთხარი, ჯერ 1994 წლის ხელშეკრულება გააუქმეთ და მერე იფიქრეთ ჯარის შემოყვანაზე-მეთქი. კითხვა დავუსვი — თუ ხეობას ჩააბარებთ, პასუხისმგებელი ვინ იქნება-მეთქი? მე ვიქნები, ირაკლი ალასანიაო. იცოდე, ირაკლი, მე შენ მოგკითხავ ამის შესახებ-მეთქი. კიდევ ერთხელ ვეკითხები ირაკლი ალასანიას და ბევრჯერ შევეკითხები, სანამ სული მიდგას — რატომ ჩააბარე ხეობა? ჩემთვის სულერთია, გაეროში იყავი თუ სად იყავი, შენ მე პირობა მომეცი, რომ ხეობას დაიცავდი. რატომ არ დაიცავდი?!“** — განაცხადა ემზარ კვიციანმა გაზეთ „პრაიმტაიმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

**„გაეროში იყო კაცი ირაკლი ალასანიას სახით, რომელმაც კოდორი ჩასაბარებლად მოამზადა.** ამის შემდეგ კი 400 მლნ ორ წელიწადში ჩამოწერეს. სააკაშვილის მთავრობას ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე რუსებისთვის პირობა ჰქონდა მიცემული, რომ კოდორს ჩააბარებდა და შეასრულა კიდეც“, —ესეც ემზარ კვიციანის ნათქვამია, ოღონდ უკვე 2014 წელს სხვა გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში.

**ირაკლი ალასანიას ჯაზური იმპროვიზაციის კიდევ ერთი მარგალიტია გამოცემა EURASIANET-ში გამოქვეყნებული ფრაზა:**

**„საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ქვეყანას დამოუკიდებლობა მოუტანა; ედუარდ შევარდნაძე პირველი ლიდერი იყო, რომელმაც ნატოსა და ევროკავშირზე დაიწყო საუბარი; მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კი ძალისხმევა არ დაიშურა პროგრესის მისაღწევად და უამრავი ახალი ინიციატივა განახორციელა საქართველოს მოდერნიზაციისა და ინტეგრაციისთვის. ჩვენ უნდა ვაღიაროთ და დავაფასოთ ეს ყველაფერი და წინა მთავრობის მიერ აგებულ მყარ ნიადაგზე სვლა განვაგრძოთ“.**

ალასანიას, ეტყობა, დაავიწყდა სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულები და შეფარვით მიანიშნებს ნაციონალებისთვის ხელშეუხებლობის გარანტიების მიცემაზე. და ამ გარანტიებს აძლევს, რა თქმა უნდა, ძია სემის დავალებით, დამნაშავე პოლიტიკურ ძალას, რომლის ავანტიურას ქვეყნის ტერიტორიების 20% და ასობით ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო ათასობით ოჯახი საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილად იქცა; ძალას, რომელიც მშვიდობიან მოქალაქეებს ქუჩაში ხვრეტდა და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ფიზიკურად უსწორდებოდა...

 აი ასეთია ირაკლი ალასანიას „ჯაზური იმპროვიზაციები“ ქართულ პოლიტიკაში, ალასანიასი, რომელიც საქართველოს მოსახლეობას „უკეთეს ცხოვრებას“ ჰპირდება, მაგრამ საკითხავია, მოისმენს კი ხალხი მის ჯაზურ ინტერპრეტაციებს და ირწმუნებს მისი დაპირების რეალურობას?..

**გიორგი გაჩეჩილაძე**

**P.S.** მინდოდა, გამოჩენილი ამერიკელი რეჟისორის — ბილი უაილდერის შესანიშნავი ფილმის „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილებია“ მსგავსად ამ წერილის სათაურად გამომეტანა „ჯაზში მხოლოდ ალასანიაა“, მაგრამ ქართულ პოლიტიკურ ჯაზში „იმპროვიზატორი“ მხოლოდ ირაკლი ალასანია არ არის, ქართული პოლიტიკური ჯაზი, სამწუხაროდ, სავსეა ალასანიებით.

## დანაშაულები შეფარვით მიანიშნებს ნაციონალებისთვის ხელშეუხებლობის გარანტიების მიცემაზე. ამ გარანტიებს აძლევს, რა თქმა უნდა, ძია სემის დავალებით დამნაშავე პოლიტიკურ ძალას, რომლის ავანტიურას ქვეყნის ტერიტორიების 20% და ასობით ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო ათასობით ოჯახი საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილად იქცა; ძალას, რომელიც მშვიდობიან მოქალაქეებს ქუჩაში ხვრეტდა და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ფიზიკურად უსწორდებოდა...

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვინმეს სჯერა, რომ ზუგდიდში კვირიკაშვილის ვიზიტის წინა ღამეს ჩხოროწყუში სტალინის ძეგლის დამსხვრევა ადგილობრივი პოლიციის თვითშემოქმედება იყო და არა თბილისის ბრძანება, რომლითაც აშშ-ს კიდევ ერთხელ აამეს მონებმა?..**



## თურქეთის გენშტაბის ყოფილმა ხელმძღვანელმა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ამბოხების ორგანიზებაში დაადანაშაულა

**„თურქეთში სამხედრო გადატრიალების მცდელობა ორგანიზებული იყო აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მხარდაჭერით, რომელიც ამ მიზნის განსახორციელებლად ოპოზიციონერ მქადაგებელს — ფეთჰულაჰ გიულენს იყენებდა“, — განაცხადა თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყოფილმა უფროსმა ილქერ ბაშბუგმა.**

„ამ ამბოხებას უცხოეთიდან უჭერდნენ მხარს. საკვირველი იქნებოდა, ასე რომ არ ყოფილიყო. სად ცხოვრობს გიულენი? — აშშ-ში. ვინ აძლევს მას ასეთ შესაძლებლობას? — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო. ფიქრობთ, რომ გიულენს ასე იოლად მისცეს თავშესაფარი აშშ-ში და მას დაზვერვა არაფერში იყენებს?“ — განაცხადა ბაშბუგმა ტელეარხ CNN TURK-ის ეთერში. მისი თქმით, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო გიულენის ორგანიზაციას თურქეთის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ იყენებდა.

## უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი: რუსეთის თავდასხმა ნატოს წევრ რომელიმე ქვეყანაზე არარეალურია

**უნგრეთის საგარეო საქმეთა და ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრი პიტერ სიიარტო მიიჩნევს, რომ რუსეთის თავდასხმა ნატოს რომელიმე ქვეყანაზე არარეალურია. ეს მან ინტერნეტპორტალ Index.hu-ს განუცხადა.**

„ვფიქრობ, მოსაზრება, თითქოს რუსეთი შეიძლება ნატოს წევრ რომელიმე ქვეყანას თავს დაესხას, ამ ეტაპისთვის არარეალურია. ნატოს წევრი თითოეული სახელმწიფო თავისებურად აღიქვამს რუსეთისგან მომავალ საფრთხეს. ჩვენ ასე არ ვუდგებით რუსეთს. ჩვენ არ გვგონია, რომ რუსეთი ჩვენთვის რაიმე საფრთხეს წარმოადგენს“, — განაცხადა სიიარტომ.

# ჩასვრილი ქოცები, გათავხედებული ნაცები და იოსებ სტალინი

**სწორედ იმ დღეს, როდესაც „ქართული ოცნება“ ზუგდიდის „გრანდიოზული“ პრეზენტაციისთვის ემზადებოდა (როგორი „გრანდიოზულიც“ იყო, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ), მარტვილი-სენაკი-ხობი-წალენჯიხა-ჩხოროწყუს „კრუიზში“ გავემართე.**

ჩავუქროლე ჩემს დედულეთს, ულამაზეს სოფელ „დიდი ჭყონს“, შევუყევი კამკამა ტეხურის ხეობას და პირველი ელდა ჩხოროწყუში მეცა — ვიღაცის ბოროტ ხელს ჩხოროწყუს ცენტრალურ სკვერში დღემდე სასწაულით შემორჩენილი სტალინის ბიუსტი გაუქრია! თუმცა, ქოცების ჩასვრის არ იყოს, „გაუქრიაც“ რბილადაა ნათქვამი — თვითმხილველი, თვალცრემლიანი მოხუცი გლეხის თქმით, ადგილობრივ პოლიციას შუაღამისას ჩამოუგდია სტალინის ბიუსტი კვარცხლბეკიდან და, სიმძიმის გამო რომ ვერ წაუღიათ პოლიციისფორმიან ვანდალებს, უროთი დაუმსხვრევიათ და ასე ნაწილ-ნაწილ გაუტანიათ. სად წაიღეს? — ვკითხე მოხუცს, ფოტოს გადავუღებ ვანდალების ნამოქმედარს-მეთქი. — რა ვიცი, შვილო, სადღაც გადამალესო, — მითხრა მოხუცმა. ისღა დამრჩენოდა, სურათი გადამეღო ცარიელი კვარცხლბეკისთვის, რომელზეც ეწერა „იოსებ სტალინი“. ჯერ კიდევ როდის ვწერდი და ახლაც გავიმეორებ — **კოაბიტაციის ეშხში შესულმა ნაც-ქოცებმა პოლიტიკურად ერთნაირსქესიანთა ქორწინება გააფორმეს, ხელისმომკიდე კი აშშ-ის ელჩი ბრძანდებოდა.** შემდეგ კი ისე დაემსგავსნენ ერთმანეთს ცოლი და ქმარი, ისე უცბად აითვისეს ქოცებმა ნაცების ილეთები, რომ... ქოცებიც წარმატებით განაგრძობენ ნაცების მანკიერ პრაქტიკას — უზარმაზარი პრემიების აღებით დაწყებული, ძეგლებთან ბრძოლით დამთავრებული. **ვინმეს სჯერა, რომ ზუგდიდში კვირიკაშვილის ვიზიტის წინა ღამეს ჩხოროწყუში სტალინის ძეგლის დამსხვრევა ადგილობრივი პოლიციის თვითშემოქმედება იყო და არა თბილისის ბრძანება, რომლითაც აშშ-ს კიდევ ერთხელ აამეს მონებმა?..**



ადგილობრივ მუნიციპალიტეტშიც ვერავინ ვნახე, ვინც კომენტარს გააკეთებდა სტალინის ბიუსტის აღება-დალეწვაზე. ანდა, ვის ვნახავდი?! ტრასაზე ზუგდიდისკენ მიმავალი 30-40 „მარშრუტკისგან“ შემდგარი კოლონა დავინახე — ქოცებს დედაწულიანად მიჰყავდათ „ბიუჯეტნიკები“ ზუგდიდში. უილაჯობისგან გამწარებულმა, ხელი ჩავიქნიე და გზა განვაგრძე ზუგდიდისკენ. ქალაქს მაშინ მივუახლოვდი, როდესაც „ოცნების“ „გრანდიოზული“ წინასაარჩევნო შოუ ახალი დამთავრებული იყო, ამიტომ, მინიმუმ, საათ-ნახევარი მოვუნდი გზის გავლას მოზღვავებული „მარშრუტკების“ გამო. როგორც ზუგდიდელებმა მითხრეს, ღონისძიებაში ადგილობრივები, პრაქტიკულად, არ მონაწილეობდნენ და შოუს „გრანდიოზულობა“ საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან იძულებით ჩაყვანილი ადამიანებით „გააიმასქნა“ „ქართულმა ოცნებამ“, — მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომლები კი არა, მათი ბავშვებიც წამოიყვანეს ზუგდიდშიო. ეს უკვე აღარ არის პოლიტიკურად ერთნაირსქესიანთა ქორწინება, ეს უკვე ნაცებ-ქოცების სიამის ტყუპობას ჰგავს(!). მეორე დღეს შემთხვევით ხობში მოვხვდი სწორედ იმ მომენტში, როდესაც **კვირიკაშვილი, კალაძე და ბესელია** წინა დღის „გრანდიოზულობას“ ხობში განაგრძობდნენ. ამბობენ, რომ ხობის გამგებლისთვის თუ გუბერნატორისთვის ლამის შაყი უკრიათ, რადგან **გოდერძი (გელა) ბუკიას** ხობის მაჟორიტარად „გრანდიოზულ“ წარდგენას, დიდი-დიდი, 100 „გულშემატკივარი“ თუ ესწრებოდა. **ჩემი ყურით მოვისმინე კვირიკაშვილ-კალაძის ნათქვამი: პირველმა — 20 წელიწადია, ბუკიას ვიცნობ და სულ ჩემ გვერდით იყოო; მეორემ — ჩვენ ყველანი ვუჭერდით მხარს ნაცებს და მხოლოდ მაშინ გავემიჯნეთ, როდესაც აურიესო.** არადა, ეს ის ბუკიაა, რომელიც ციხის კადრების შემდეგ ნაცების მაჟორიტარად იყრიდა კენჭს და გაიმარჯვა კიდეც — დღეს მოქმედი მაჟორიტარი დეპუტატია და მინდა, **კახა კალაძეს** ვკითხო: როდის გაემიჯნა ამხანაგი ბუკია ნაცებს — 2012 წელს, გააფთრებით რომ ებრძოდა „ქართულ ოცნებას“, მაშინ? ანდა, კვირიკაშვილმა რომ განაცხადა, 20 წელიწადია, ვიცნობ ბუკიას და სულ ჩემ გვერდით იყოო, როგორ გავიგოთ ეს, ბატონო პრემიერო? ჯერ კიდევ „გუშინ“ არავინ იყავით, ბოლო ოციოდე წელიწადია, ხელისბიჭობაზე წინ ვერ წახვედით და არ არის ბუკია ის კაცი, ჯორბენაძის ან გამყრელის ნახელისბიჭარს ამოგდგომოდათ მხარში... პირიქით ხომ არ იყო — კვირიკაშვილი ხომ არ იდგა ბუკიას გვერდით? **თუმცა რა გასაკვირია, ასეც რომ ყოფილიყო, ბატონი პრემიერი ხომ თავის დროზე „ახალი მემარჯვენეც“ იყო, ხოლო ახლები და ნაცები ვინ და როდის გაყო ერთმანეთისგან?!**

ეკა ბესელიას მოსასმენად ნერვები აღარ მეყო... ერთი სიტყვით, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ ნაცები და ქოცები სიამის ტყუპები არიან და **ენ-დი-აის** ბოლო გამოკითხვის შედეგებიც მათ ძმობას ემსახურება: **პირველზე — ქოცები, მეორეზე — ნაცები, მესამეზე — მსოფლიო ბანის პარტია და მხოლოდ 7% გაიმეტეს ჩვენმა ამერიკელმა „მეგობრებმა“ პატრიოტთა ალიანსისთვის.** მათი ე. წ. კვლევის შედეგების მიხედვით, სხვა პარტიები — ნინო ბურჯანაძის, გოგი თოფაძის, პარლამენტში ვერ ხვდებიან და, **თუ ოქტომბერში ეს სურათი დაგვიდეს აშშ-ის საელჩოდან, საზოგადოებას ვაფრთხილებ, რომ სისხლი დაიღვრება, რადგან ქართველების მოთმინებას საზღვარი აქვს და ეს სისხლი ჩასვრილი „ქართული ოცნების“ კისერზე იქნება,** რადგან ქართველების ოცნება არ არის გზა ნაც-ქოცების ერთნაირსქესიანი ქორწინებიდან მათ სიამის ტყუპობამდე.

ენ-დი-აის „რასკლადი“ ნეოლიბერალური უმრავლესობის პარლამენტს ნიშნავს, ეს კი — საქართველოს დაღუპვა-გადაგვარებას.

**კოაბიტაციის ეშხში შესულმა ნაც-ქოცებმა პოლიტიკურად ერთნაირსქესიანთა ქორწინება გააფორმეს, ხელისმომკიდე კი აშშ-ის ელჩი ბრძანდებოდა**

**თუ ოქტომბერში ეს სურათი დაგვიდეს აშშ-ის საელჩოდან, საზოგადოებას ვაფრთხილებ, რომ სისხლი დაიღვრება, რადგან ქართველების მოთმინებას საზღვარი აქვს და ეს სისხლი ჩასვრილი «ქართული ოცნების» კისერზე იქნება**

**დავით მხეიძე**

## სოზარ სუბარი: დავით უსუფაშვილისა და თინა ხიდაშელის გაღიზიანება ხიდაშელის მიერ თანამდებობის დაკარგვამ გამოიწვია



**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი მიიჩნევს, რომ დავით უსუფაშვილისა და თინა ხიდაშელის გაღიზიანება ხიდაშელის მიერ თანამდებობის დაკარგვამ გამოიწვია.**

„დიდ პატივს ვცემ ორივე ამ ადამიანს. ძალიან მჭიდრო და კარგი თანამშრომლობა გვქონდა 4 წლის განმავლობაში. ნამდვილად არ მინდა ვიფიქრო, რომ გაღიზიანება თანამდებობის დაკარგვამ გამოიწვია. მაგრამ სხვა ახსნას ვერ ვპოულობ, თუმცა ძნელად წარმომიდგენია ასე იყოს“, — განაცხადა სუბარმა. რაც შეეხება ლევან იზორიას დანიშვნას თავდაცვის მინისტრის პოსტზე, სუბარის თქმით, იზორია არის ძალიან კარგი უფლებადამცველი.

**„თუკი ამერიკელების სურვილი ასრულდება და 8 ოქტომბერს ის ციფრები დაიწერება, რომლებსაც ენ-დი-აის კვლევებით წინდაწინვე გვაჩვევენ, მივიღებთ პარლამენტს, რომელიც ლოგიკურად დაასრულებს უსუფაშვილის პარლამენტის მიერ დაწყებულ ყველა ანტიქართულ, ანტიეროვნულ საქმეს. მათი ამოცანაა, წერტილი დაესვას ქართულ მენტალიტეტს, ქართულ აზროვნებას, ოჯახსა და მართლმადიდებლობას, ამიტომ ყველაფერს იკადრებენ და, რა მითითებაც უნდა მიიღონ იქიდან, „თეთრ სახლს“ ვგულისხმობ, უსიტყვოდ შეასრულებენ“.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ელიზბარ ჯაველიძე: სანამ არ მოვიშლით, რომ აშშ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, ხოლო ევროკავშირი ისტორიული არჩევანი, არაფერი გვეშველება!

**არჩევნებამდე ორი თვით ადრე ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები გამოაქვეყნა და იმ სამომავლო პოლიტიკური კონფიგურაციის ერთგვარი პრეზენტაცია მოახდინა, რომელსაც 8 ოქტომბრის შემდეგ, დიდი ალბათობით, ვიხილავთ. ამ კვლევის თანახმად, ხვალ რომ არჩევები ტარდებოდეს, მოსახლეობის 17 პროცენტი „ქართულ ოცნებას“ მისცემდა ხმას, 13 პროცენტი — „ნაციონალურ მოძრაობას“, 4 პროცენტი — პაატა ბურჭულაძის პარტიას და ასევე 4 პროცენტი — „პატრიოტთა ალიანსს“. გამოკითხულთა 57 პროცენტს არ აქვს საბოლოოდ ჩამოყალიბებული პოციზია, რომელ პოლიტიკურ სუბიექტს დაუჭერდა მხარს, ხოლო შეკითხვაზე: „რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს“, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: 19 პროცენტი — „ქართული ოცნება“, 15 პროცენტი — „ნაციონალური მოძრაობა“, 5 პროცენტი — „სახელმწიფო ხალხისთვის“, 5 პროცენტი — „პატრიოტთა ალიანსი“, და 4 პროცენტი — „თავისუფალი დემოკრატები“. რეალურია ზემოაღნიშნული ციფრები, აქვს თუ არა „ნაცმოძრაობას“ მოსახლეობის 13 პროცენტის მხარდაჭერა და რას უნდა ველოდოთ მომავალი არჩევნებისგან — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება პუბლიცისტი და მეცნიერი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე.**

**— ბატონო ელიზბარ, როგორ ფიქრობთ, სანდოა ენ-დი-აის მიერ წინა კვირას გამოქვეყნებული კვლევის შედეგები?**

— ენ-დი-აი რაც არის, ყველამ ვიცით — ეს არის დასავლური ფსევდოლიბერალური სექტა, რომლიც, რასაც დაუკვეთავენ, უსიტყვოდ ასრულებს.

რაც შეეხება წინა კვირას გამოქვეყნებულ ციფრებს, ამით **ამერიკა ცდილობს, ხალხს დაანახვოს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არის მეორე ძალა, რომ მას აქვს ყველაზე მეტი მხარდაჭერა ოპოზიციურ სპექტრში და ამიტომ პატივი უნდა ვცეთ.** მრჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი, **ამერიკელები, თავიანთ პოლიტიკურ ჰეგემონიას საქართველოში თვითონვე უთხრიან სამარეს, ანუ მათ ან ყურადღების მიღმა რჩებათ, ან არ სურთ, გაიგონ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც პარტია, დიდი ხანია, მკვდარია, დიდი ხანია, გასტუმრებულია პოლიტიკურ სანაგვეზე** და, რაც უფრო შეეცდებიან მის გაცოცხლებას, მით უფრო გაამძაფრებენ მისდამი საზოგადოების სიძულვილს.

**— თქვენი აზრით, ის 13 პროცენტი გაბერილი მონაცემია და სინამდვილეში ნაცებს ამდენი ადამიანის მხარდაჭერა არ აქვთ?**

— სოციოლოგიურ კვლევას აქვს უამრავი ნიუანსი, რომელიც გარკვეული მანიპულაციების საშუალებას იძლევა. მაგალითად, გამოკითხვა სრულიად შეგნებულად შეიძლება ისე ჩაატარო, რომ იგი გაყალბებული არ იყოს და მიიღო არარეალური ციფრები. „ენ-დი-აი“ ზუსტად ამას აკეთებს, ისინი გამოკითხვას ისეთ სეგმენტში ატარებენ, შედეგები წინასწარვე იციან. იქ ასევე არის სხვა ეშმაკობაც და საბოლოო ჯამში ვიღებთ ასეთ სურათს — რამე კონკრეტულ არგუმენტებზე დაყრდნობით ვერავინ იტყვის, რომ გამოკითხვა გაყალბებულია, მაგრამ აქვეყნებენ მათთვის სასურველ ციფრებს, რომლებსაც რეალობასთან საერთო არაფერი აქვს.

**— ამ ორგანიზაციის მიმართ საზოგადოება სკეპტიკურადაა განწყობილი და ყველამ იცის, რომ მისი ნებისმიერი კვლევა რეალობისგან შორსაა. როგორ ფიქრობთ, რა აზრი აქვს ასეთი მარგინალური ორგანიზაციის მიერ ციფრების გამოქვეყნებას, როცა ის საზოგადოებრივ აზრზე გავლენას ვერ ახდენს?**

— ქალბატონი, რომელიც ამ კვლევებს ატარებს, გამოკვეთილი ნაცია. ასე რომ, საზოგადოების რეალური აზრი მისთვის ჩვენზე უკეთაა ცნობილი. მათ იციან, რომ ვერანაირი ციფრებითა და რეიტინგებით სააკაშვილის ხროვას ვერ გააცოცხლებენ, მაგრამ მთავარი ეს არ არის. **ამ და სხვა მსგავსი კვლევების უპირველესი ამოცანაა ამერიკელებისთვის ხელსაყრელი პოლიტიკური კონფიგურაციისთვის გარკვეული წინაპირობების შექმნა და ეს არის ერთგვარი პოლიტიკური პრელუდია იმისთვის, რაც განზრახული აქვთ მომავალი არჩევნებისთვის. მარტივად რომ ვთქვათ, ეს კვლევა არის ამერიკის სურვილების გაცხადება, მისი დირექტივა და მითითება, რომელსაც ხელისუფლებამ არ უნდა გადაუხვიოს.**

რაც შეეხება „ოცნებას“, მისი რეიტინგი რომ მკვეთრად დაეცა, ფაქტია და ამას განსაკუთრებით შეუწყო ხელი კვირიკაშვილის მიერ წარდგენილმა ახალმა „ნეოლიბერასტმა“ კანდიდატებმა. შეიძლება ითქვას, **ეს იყო ბოლო წვეთი, რომელმაც ხალხში ჩაკლა ყოველგვარი იმედი და მოლოდინი, რომ ეს არჩევნები მაინც გაწმენდდა პოლიტიკურ ასპარეზს გარედან მართული ანტიეროვნული ძალებისგან.**

**— როგორ ფიქრობთ, რის საფუძველზე გაუჩნდა საზოგადოებას ეს მოლოდინი?**

— როცა ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა გარკვეული კრიტიკული მინიშნებები რესპუბლიკელების მისამართით, როცა გამწვავდა ურთიერთობა მასა და მარგველაშვილს შორის, როცა კოალიცია ერთიმეორის მიყოლებით დატოვეს ფსევდოლიბერალურმა სუბიექტებმა და შემდეგ ხელაღებით დაიწყეს მათი პოლიტიკური მამა-მარჩენლის — ბიძინა ივანიშვილის კრიტიკა, ბევრმა ჩათვალა, რომ მათ ადგილს ამ გაერთიანებაში ნორმალურად მოაზროვნე ხალხი დაიკავებდა. ამის ნაცვლად მოხდა რა — **15 ახალი სახე წარადგინა პრემიერმა კვირიკაშვილმა და თხუთმეტივე პირწავარდნილი „ლიბერასტი“. რეალურად რა მივიღეთ: ერთი გაგდებული რესპუბლიკელის ნაცვლად პარტიაში 15 ხიდაშელი და უსუფაშვილი შევიდა.**

**— ამერიკამ და ევროპამ ბოლო პერიოდში დემოკრატიის სახელით ბევრი მიუღებელი რამ მოგვახვია თავს, მათ შორის ყბადაღებული კოაბიტაცია და ა.შ. როგორ ფიქრობთ, საზოგადოება უფრო პრინციპული ხომ არ უნდა ყოფილიყო?**

— ცხადია. არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ **სააკაშვილის გადამრჩენელ ამერიკას აშინებს და აფრთხობს მხოლოდ ხალხის სიმრავლე. ამიტომ ცდილობენ ისინი საზოგადოების დაქუცმაცებას და ისეთ მდგომარეობამდე მიყვანას, რომ ერთ ადამიანს, მოქალაქეს მეორის გასაჭირი ღობის ჩხირად მიაჩნდეს.** დარწმუნებული ვარ, რომ, თუ საზოგადოება ხმას არ ამოიღებს, თუ ხალხი არ გამოვა ქუჩაში და არ დაირაზმება, ესენი ქვეყანას თავზე დაგვამხობენ.

## «თუ ხალხი არ გამოვა ქუჩაში და არ დაირაზმება, ესენი ქვეყანას თავზე დაგვამხობენ»

რაც შეხება არჩევნებს, **თუკი ამერიკელების სურვილი ასრულდება და 8 ოქტომბერს ის ციფრები დაიწერება, რომლებსაც ენ-დი-აი-ს კვლევებით წინდაწინვე გვაჩვევენ, მივიღებთ პარლამენტს, რომელიც, ლოგიკურად დაასრულებს უსუფაშვილის პარლამენტის მიერ დაწყებულ ყველა ანტიქართულ, ანტიეროვნულ საქმეს. მათი ამოცანაა, წერტილი დაესვას ქართულ მენტალიტეტს, ქართულ აზროვნებას, ოჯახსა და მართლმადიდებლობას, ამიტომ ყველაფერს იკადრებენ და, რა მითითებაც უნდა მიიღონ იქიდან, „თეთრ სახლს“ ვგულისხმობ, უსიტყვოდ შეასრულებენ...**

**— დღეს საზოგადოებაში პოლიტიკური ნიჰილიზმი სუფევს, მოსახლეობის დიდ ნაწილს ვერ გადაუწყვეტია, რომელ ძალას მიემხროს და, საერთოდ, აქვს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას აზრი. როგორ ფიქრობთ, ეს ნიჰილიზმი როგორ აისახება საბოლოო შედეგებზე?**

— სიმართლე გითხრათ, მეც ნიჰილისტურად განწყობილ ნაწილს მივეკუთვნები, მაგრამ ერთი რამ ყველასთვის ცხადი უნდა იყოს: **არავითარ შემთხვევაში ბრმად არ უნდა დავუჭიროთ მხარი არც ერთ პარტიას და განსაკუთრებით მათ, ვინც ამერიკელებს კუდით ჰყავთ დაჭერილი. საქართველომ თავი უნდა დააღწიოს ამერიკის მონობას, ეს არის და ეს.** სხვანაირად ჩვენ ვერ გამოვალთ ამ ჩიხიდან. ახლა ვიცი, ამის გამო ვიღაცები აკაკანდებიან და პუტინის აგენტობას დამაბრალებენ, მაგრამ **ნეტავ პუტინისნაირი პრეზიდენტი გვყავდეს ქართველებს.** მას თავისი სამშობლო უყვარს და ყველაფერი გააკეთა მის გადასარჩენად, ყველანაირ ზეწოლას გაუძლო. ჩვენ ვინ გვყავს? — ოც წელზე მეტია, თაღლითები თავზე გვასხედან და გვატყუებენ. მერე ერთმანეთს ენაცვლებიან ამ მატყუარობაში. ქვეყანა საძოვარი ჰგონიათ...

**— რაც შეხება „ქართული ოცნების“ 15 ახალ კანდიდატს, რომლებიც კვირიკაშვილმა საგურამოში წარადგინა, თქვით, რომ მათ კიდევ უფრო ძირს დასცეს მმართველი გუნდის რეიტინგი, კონკრეტულად რა არის ამ კანდიდატებში მიუღებელი საზოგადოებისთვის?**

— ისინი არიან ადამიანები, რომლებსაც ბიოგრაფია არ აქვთ, საკუთარი თვალსაზრისი არ გააჩნიათ. ბიოგრაფია აქვს კაცს, რომელმაც შექმნა რაღაც ღირებული ხალხისთვის, ქვეყნისთვის, რომელმაც რაღაც სარგებელი მოუტანა ერს და საზოგადოებას... ესენი, არ ვიცი, სად გამოიჩეკნენ, სად გაიზარდნენ და ჩამოყალიბდნენ, მაგრამ ყველას ერთი სახე აქვს, ზოგჯერ მიჭირს მათი გარჩევაც. **დააკვირდით თუნდაც მათ ლაპარაკს, ყველა ერთი ტერმინოლოგიითა და ლექსიკით ლაპარაკობს. გეგონება, დაზეპირებულს იმეორებენ. ეს, ალბათ, არცაა გასაკვირი, მათ, ყველას, გავლილი აქვთ ერთი მომზადება და ყველას ერთი პროგრამა უდევს თავში. ესენი არიან ე.წ. ნეოლიბერალური იდეოლოგიის ზომბები, რომლებიც მეტასტაზებივით ედებიან ქვეყანას და წამლავენ ყველაფერს, რასაც ეხებიან...**

**— როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ პოლიტიკური სპექტრი მონოპოლიზებული არ ჰქონდეთ მსგავს ძალებს და ხელისუფლების სათავისკენ მიმავალი გზა პირდაპირ სოროსის გრანტით ნასაზრდოებ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებზე არ გადიოდეს?**

— **სანამ ამერიკას მონურ მორჩილებაში ვეყოლებით და არ მოვიშლით იმ უაზრო, ყალბ და არაფრისმომცემ რიტორიკას, რომ თურმე ეს ქვეყანა ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორია, ხოლო ევროკავშირი — ისტორიული არჩევანი, არაფერი გვეშველება.** რაც უნდა გავაკეთოთ, რა დემოკრატიული არჩევნებიც უნდა ჩავატაროთ, შედეგი მაინც ერთი იქნება — სათავეში მოვლენ დასავლეთში „განათლებამიღებული“, დატრენინგებული „ნეოლიბერასტი“ ზომბები, რომლებსაც არც სამშობლო აქვთ და არც ეროვნება...

**— არიან დღეს რეალურად საქართველოში ძირეული პოლიტიკური ცვლილებების განმახორციელებელი ძალები?**

— არის რამდენიმე სუბიექტი, რომელსაც მეტ-ნაკლებად ვენდობი და, რაც მთავარია, არიან ინდივიდები. მათგან ზოგიერთი დღეს საქართველოში არ არის, მაგრამ ვფიქრობ, რომ, თუ ეს ძალები გაერთიანდებიან, სერიოზული პოლიტიკური ბირთვი გამოვა. ყოველ შემთხვევაში, „ნეოლიბერალ“ ზომბებს მონოპოლია არ ექნებათ და რაღაც ალტერნატივა გაჩნდება. სხვა თუ არაფერი, არჩევნებზე წასვლას მაინც ექნება აზრი და ყველაფერი წინასწარ არ იქნება გადაწყვეტილი, როგორც დღესაა.

**«15 ახალი სახე წარადგინა პრემიერმა კვირიკაშვილმა და თხუთმეტივე პირწავარდნილი «ლიბერასტი». რეალურად რა მივიღეთ: ერთი გაგდებული რესპუბლიკელის ნაცვლად პარტიაში 15 ხიდაშელი და უსუფაშვილი შევიდა... დააკვირდით თუნდაც მათ ლაპარაკს, ყველა ერთი ტერმინოლოგიითა და ლექსიკით ლაპარაკობს. გეგონება, დაზეპირებულს იმეორებენ. ეს, ალბათ, არცაა გასაკვირი, მათ, ყველას, გავლილი აქვთ ერთი მომზადება და ყველას ერთი პროგრამა უდევს თავში. ესენი არიან ე.წ. ნეოლიბერალური იდეოლოგიის ზომბები, რომლებიც მეტასტაზებივით ედებიან ქვეყანას და წამლავენ ყველაფერს, რასაც ეხებიან»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ბაკურ სუანიძის
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ᲗᲣ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲬᲝᲜᲡ „ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲤᲐᲚᲝᲡᲘ", ᲔᲡ ᲘᲛᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲒᲬᲝᲜᲡ „ᲮᲠᲣᲨᲙᲝᲕᲙᲔᲑᲘ"! ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲬᲝᲜᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲛᲔᲝᲠᲔ, ᲔᲡ ᲐᲛ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔ „ᲑᲔᲚᲐᲓᲝᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ", ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲐ. ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲐ, ᲐᲠ ᲛᲝᲒᲬᲝᲜᲓᲔᲡ ᲐᲠᲪ ᲛᲘᲨᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ! ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲮᲝᲛ „ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲙᲔᲑᲘᲪ" ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲜᲐᲢᲘᲤᲘ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲕᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲜᲘᲙᲘᲢᲐ ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲘᲨᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲐᲜ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲘᲜᲐ...**

# «ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲤᲐᲚᲝᲡᲘ», ᲐᲜᲣ ᲓᲐᲣᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ —

## ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲣᲢᲘᲤᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲘ

**„გაგვაგებინე, ერთი, სოსო, რა ხდება ჩვენ ზევით და ჩვენ ქვევით", — ასე მიმართავს ცნობილი გენიალური ქართული ფილმის — „ცისფერი მთების" პერსონაჟი ვაჟა ზაზაევიჩი ორსათაურიანი ნაწარმოების ავტორ სოსოს. დაახლოებით იგივე კითხვა გვიჩნდება ჩვენც, ოღონდ ის, რაც ჩვენ გვაწუხებს, „ზევით და ქვევით" კი არა, აქვე, ჩვენ გვერდით რაც ხდება. აქედან გამომდინარე, არც „მიწისქვეშა მივლინების ტიპური ფურცელი" გვჭირდება და არც მისი არარსებობის გამო გამოწერილი „სამთომივლინება".**

საკმარისია მხოლოდ ერთი გასეირნება ჩვენს დედაქალაქში და იმ წამს მოგვეძალება ვაჟა ზაზაევიჩისეული წუხილი — „გაგვაგებინეთ, ერთი, რა ხდება ჩვენს გარშემო"?

ამ თემაზე საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა. არც მედიით გაშუქება აკლია ზოგიერთ, ვითომ თბილისზე გულმტკივან თაღლითს, სხვადასხვა მშენებარე ობიექტთან რომ მივარდება ხოლმე და აქციას მართავს მშენებლობის შეჩერების მოთხოვნით, სინამდვილეში კი მხოლოდ გარკვეულ ქულებს იწერს ამომრჩევლის თვალში (ან, იქნებ, ობიექტის მეპატრონესთან კადრსმიღმა სარფიანი მოლაპარაკების შემდეგ გაიტრუნება ხოლმე), ხოლო სიმახინჯეები თბილისში მრავლდება და მრავლდება. შეგნებულად გვერდს ვუვლი ბანალურ მეტაფორას ნაწვიმარზე ამოსული სოკოების შესახებ, არა მისი ბანალურობის გამო, არამედ იმიტომ, რომ ამ მძიმე არქიტექტურული სიმახინჯეების გვერდით კოხტა სოკოების ხსენება მათი შეურაცხყოფაა.

თუმცა ახალი ტენდენცია მაინც მკვიდრდება. ეს არის არქიტექტურული სიმახინჯეების შემქმნელთა უტიფრობა. კერძოდ, **ᲗᲣ ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐᲡ ᲐᲛᲐ ᲗᲣ ᲘᲛ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲛᲔᲡᲕᲔᲣᲠᲗᲐᲒᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲔᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ, ᲒᲐᲔᲠᲙᲕᲘᲐ, ᲠᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ, ᲐᲮᲚᲐ ᲦᲠᲛᲐᲓ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲰᲙᲘᲓᲘᲐ ᲤᲔᲮᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲗᲐᲕᲮᲔᲓᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲔᲠᲔᲙᲔᲑᲘᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲡ.**

ადრე, თუ ვინმეს ცოტათი მაინც შერცხვებოდა, თუკი მის მიერ აშენებული ნაგებობა საზოგადოების მხრიდან საყოველთაო დაცინვის საგანი გახდებოდა, ახლა იხტიბარსაც არ იტეხენ და ამ საყოველთაო ყბისმოქცევისა და სასტიკი დაცინვის საგანს უსირცხვილოდ წარმოგვიჩენენ რაღაც საოცრებად, არქიტექტურის შედევრად და, თქვენ წარმოიდგინეთ, დიდი ზარზეიმითაც კი ხსნიან.

**„31 ივლისს თბილისში, რუსთაველის გამზირზე ბილტმორ-თბილისი იხსნება! გახსნის ცერემონიაზე კონცერტს გამართავენ ქართველი და უცხოელი შემსრულებლები. ამ ახალაშენებულ სასტუმროს სულ 214 ნომერი აქვს. მისი არქიტექტურა და დიზაინი კი, ქართული ტრადიციული და თანამედროვე ელემენტების შერწყმითაა შექმნილი. ბილტმორი ლუქსკლასის სასტუმროების ბრენდია. იგი ბილტმორ-თბილისის სახით საქართველოში თავის პირველ წარმომადგენლობას ხსნის. ბილტმორ-თბილისის საზეიმო გახსნას საქართველოს პრემიერმინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და არაბთა გაერთიანებული საემიროების შეიხი ნაიან ბინ მუბარაქ ალ ნაიანი დაესწრებიან. რუსთაველის გამზირზე სპეციალურად ამ დღისთვის გრანდიოზული სცენა დააპროექტეს".**

აი ასეთი სიამაყით აღვსილი და თავდაჯერებული პრესრელიზი გაავრცელეს თბილისის ცენტრში უადგილოდ წამოყუდებული იმ უკიდეგანო სიმახინჯის მესვეურებმა, რომელსაც თბილისელებმა „მოფერებით" უკვე შეარქვეს **„ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲤᲐᲚᲝᲡᲘ"**.

დიახ, ისე რომ წამეკითხა ზემოთ შემოთავაზებული ტექსტი, რომ მასზე დართული ფოტო არ მენახა, აშკარად მეგონებოდა, რაიმე ულამაზესზე, ავ თვალს რომ არ ენახვება, ისეთ არქიტექტურის შედევრზეა საუბარი-მეთქი.

დავხედე ფოტოს და ხელში შემრჩა ის „ლეგენდარული" შენობა, რომელსაც, უკვე 10 წელიწადია, აშენებენ და რომლის გინებაში ატარებს დღეებს მთელი საქართველო ყოველ გავლა-გამოვლაზე.

აი, სწორედ ამას ჰქვია არქიტექტურული უტიფრობა!

აკი, უკვე მიჩვეული ვართ უტიფრობებს თითქმის ყველა სფეროში.

ადრე პოლიტიკოსს თუ დაპირებების შეუსრულებლობას წამოაძახებდნენ, ცოტას მაინც დაიმორცხვებდა, ბოდიშს მოიხდიდა და იმ დაპირებების შეუსრულებლობის მიზეზებს უწყებდა ძებნას. თუკი მომღერალი ცუდად იმღერებდა და ხალხი დაუსტვენდა, ის მომღერალი მეორედ სცენაზე გამოსვლას ვეღარ ბედავდა და სხვა საქმეს ჰკიდებდა ხელს. თუკი ვინმე რამე სიმახინჯეს ააშენებდა და ხალხი დასცინებდა, ის მეორედ რაიმეს აშენებას ვეღარ გაბედავდა...

დღეს?

*** ᲓᲦᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲪ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲨᲔᲣᲪᲕᲚᲔᲚᲐᲓ ᲛᲘᲰᲧᲕᲔᲑᲐ ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲢᲘᲤᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲡ. ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ, ᲓᲐᲒᲕᲞᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲐᲗᲐᲡᲒᲕᲐᲠ ᲡᲘᲙᲔᲗᲔᲡ ᲓᲐ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲔᲐᲡᲔᲓᲡᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲓᲐᲒᲕᲞᲘᲠᲓᲐ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲗᲐᲕᲮᲔᲓᲣᲠᲐᲓ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ — ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘᲪ ᲙᲘ ᲕᲥᲔᲜᲘᲝ!**

*გამოვა ვიღაც ყოვლად უნიჭო მომღერალი რომელიღაც „დამიმესიჯეთ" ტიპის კონკურსზე, ყოველი მესამე რომ ღიღინებს სუფრაზე, ისეთ დონეზეც კი ვერ ასრულებს სიმღერას და, რამე რომ უთხრა, აქეთ დაგიძახებს დაბოღმილს, შურიანს და უსინდისოს.


ტმორ თბილისი 31 ივლისს გაიხსნება

4,004 | 11 | 743

31 ივლისს, ბილტმორ თბილისი რუსთაველის გამზირზე გაიხსნება. ორგანიზატორები აცხადებენ, რომ გახსნის ცერემონიაზე ქართველი და უცხოელი შემსრულებლები კონცერტს გამართავენ.

მათივე განცხადებით, რუსთაველის გამზირზე მდებარე ახლადაშენებულ სასტუმროს მთლიანობაში 214 ნომერი აქვს. მისი არქიტექტურა და დიზაინი კი ქართული ტრადიციული და თანამედროვე ელემენტების შერწყმითაა შექმნილი.

**ᲔᲡ ᲘᲓᲘᲝᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲕ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ ᲜᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕ ᲤᲠᲐᲖᲐᲡ — «ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲔᲗ ᲒᲠᲔᲜᲚᲐᲜᲓᲘᲐ»-Ს ᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲡ, ᲗᲣᲠᲛᲔ ᲜᲣ ᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲓᲐ «ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲗ» ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲜᲐᲨᲔᲜᲔᲑᲘ**

*** ᲐᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲘᲓᲘᲝᲢᲝᲑᲐᲡ, ᲐᲠᲪ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲮᲔᲓᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲯᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲓᲐᲚᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲡᲘᲥᲘᲙᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐᲨᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲗᲣ ᲮᲛᲐᲡ ᲐᲛᲝᲘᲦᲔᲑ, ᲘᲡᲔᲕ ᲨᲔᲜ ᲮᲐᲠ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ, ᲣᲒᲔᲛᲝᲕᲜᲝ, ᲨᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔ.**

წელან ნაცები ვახსენე და იქნებ ვინმემ ისიც იკითხოს — მახინჯი შენობების აშენებასთან პოლიტიკა რაღა შუაშია?

არადა, სამწუხაროდ, შუაშია. ისევე, როგორც სხვა ყველა სფეროსა და მიმართულებაში, ჩვენი საზოგადოება ამ მიმართულებითაც, რატომღაც, „ბელადების" მიხედვით არის დაყოფილი.

არიან ადამიანები, რომლებსაც მოსწონთ ყველაფერი, რაც მიშას დროს აშენდა, და არ მოსწონთ არაფერი, რაც ბიძინას დროს შენდება და პირიქით.

შესაბამისად, მათი ერთი ნაწილი ლანძღავს ყველაფერს, რაც ბიძინას დროს აშენდა, და ეთაყვანება ყველაფერს, რაც მიშას დროს აშენდა და პირიქით.

მაგალითად, მიშას საწინააღმდეგო ცნობილი არგუმენტი: „გადააშუშა მთელი საქართველო — ხიდებიც, პოლიციის შენონებიც, იუსტიციის სახლებიც და ყველაფერი შუშისაა, რა არის, რა ავადმყოფობაა?" — უმალ დაივიწყეს და უარყვეს, რაც სათავეში ბიძინას გუნდი მოვიდა და გაირკვა, რომ შუშის კონსტრუქციები და მთელი ქალაქის „გაშუშიანება" სააკაშვილზე ნაკლებად არც ივანიშვილს მოსწონს.

ამიტომ, **ᲘᲛ ᲮᲐᲚᲮᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲨᲐᲡ „ᲛᲔᲨᲣᲨᲔ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲡ" ᲔᲫᲐᲮᲓᲐ, ᲣᲪᲔᲑ ᲨᲔᲔᲪᲕᲐᲚᲐ ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲣᲨᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲔᲑᲘ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲣᲑᲐᲓᲚᲝ ᲜᲘᲛᲣᲨᲔᲑᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ.**

მოკლედ, ასეთ ადამიანებს მოსწონთ ის, რაც მოსწონს მათ ბელადს, და არ მოსწონთ ის, რაც არ მოსწონს მათ ბელადს.

სწორედ აქ „იჭედებიან" ამ ახალი შუშის „ცისფერი ფალოსის" შესახებ აზრის გამოთქმისას ფანატიკოსი ნაცებიც და ფანატიკოსი ქოცებიც. **ᲐᲙᲘ, ᲐᲛ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲓ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲐᲮᲘᲜᲯᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲘᲨᲐᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲒᲐᲡᲪᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲣᲙᲕᲔ ᲑᲘᲫᲘᲜᲐᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲓᲐᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ.**

ასე რომ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვერც მიშისტები და ვერც ბიძინისტები ვერ ბედავენ, ხელაღებით ლანძღონ იგი. რიტორიკა კი კვლავ გასაოცარია — **„ხრუშჩოვკებში გაზრდილი საბჭოთა თაობები ვერ ეგუებიან სიახლეს დედაქალაქში და თავიანთი გოიმური გემოვნებით დასცინიან ბილტმორ-თბილისის შენობას. ოე, ყანა! თანამედროვე თვალით შეხედეთ ცხოვრებას!"** — ცხარობს ერთ-ერთი იმ უიშვიათესთაგანი ინტერნეტმომხმარებელი, რომელიც ამ მძიმე უგემოვნობის დამცველად გამოდის. ვერ გეტყვით, ეს „არაყანა" რომელი ასფალტიდან პოსტავს, მაგრამ, **სადაც „ყანა"-პარიზელები დღემდე აკრიტიკებენ და აპროტესტებენ ეიფელის კოშკის სიმახინჯეს, ნება გვიბოძეთ, პატივცემულო „პრადვინუტებო", ჩვენცა ვთქვათ ორიოდე სიტყვა თბილისურარაბული „ცისფერი ფალოსის" საოცარი მახინჯობის შესახებ.**

აქვე, აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, რომ ეს „თანამედროვედ" მოაზროვნე ტუტუცები ვერაფრით უვლიან გვერდს სიტყვა „საბჭოთას" და ნებისმიერ კრიტიკულ და საწინააღმდეგო აზრს აუცილებლად ხვევენ „ჩამორჩენილი საბჭოთა აზროვნების" საბურველში.

მათი ლოგიკა ამ შემთხვევაშიც რადიკალურ-სულელურია, ანუ, **ᲗᲣ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲬᲝᲜᲡ „ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲤᲐᲚᲝᲡᲘ", ᲔᲡ ᲘᲛᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲒᲬᲝᲜᲡ „ᲮᲠᲣᲨᲙᲝᲕᲙᲔᲑᲘ"! ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲬᲝᲜᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲛᲔᲝᲠᲔ, ᲔᲡ ᲐᲛ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔ „ᲑᲔᲚᲐᲓᲝᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ", ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲐ.**

**ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲐ, ᲐᲠ ᲛᲝᲒᲬᲝᲜᲓᲔᲡ ᲐᲠᲪ ᲛᲘᲨᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ! ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲮᲝᲛ „ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲙᲔᲑᲘᲪ" ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲜᲐᲢᲘᲤᲘ ᲐᲠ-** ▶

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ადამიანები — ოპტიმისტებიც და სკეპტიკოსებიც, პირველი წლიდანვე სულმოუთქმელად ელოდნენ ამ ყბადაღებულ „მეოთხე წელს“. ერთნი იმიტომ, რომ ძალიან უნდოდათ, მართლაც „ეგრძნოთ საკუთარ ჯიბეზე“, ხოლო მეორენი იმიტომ, რომ ნიშნი მოეგოთ — აგე, ხომ ვერც ვერაფერი იგრძენითო?! საბოლოო ჯამში, მეოთხე წელი, რა თქმა უნდა, მოვიდა, მაგრამ ქვეყანას, ხალხსა და „ჯიბეს“ სასიკეთო არაფერი დატყობია. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების მესვეურნი მაინც ამაყად აცხადებენ, — რაც დაგპირდით, ისიც გავაკეთეთ და იმაზე მეტიცო.

**◀ქიტექტურის შედევრი იქნებოდა, ისინი რომ არა ნიკიტა ხრუშჩოვს, არამედ მიშა სააკაშვილს ან ბიძინა ივანიშვილს აეშენებინა...**

დასასრულ, ტკბილი ლუკმასავით შემოვინახეთ უმთავრესი უტიფრობა, „ცისფერი ფალოსის“ შესახებ გავრეცელებული პრესრელიზიდან. ეს არის ფრაზა — **„ბილტმორთბილისის შენობის არქიტექტურა და დიზაინი კი ქართული ტრადიციული და თანამედროვე ელემენტების შერწყმითაა შექმნილი“.**

ბატონო?! არა, არ მოგელანდათ და არც მოგესმათ!

**ეს იდიოტური შენობა, რომელიც დედაქალაქში მოძრავ ადამიანებს ამ წერილის დასაწყისში ნახსენები ფილმის უკვდავ ფრაზას — „გაიტანეთ გრენლანდია“-ს ახსენებს, თურმე ნუ იტყვით და „ქართული ტრადიციული ელემენტებით“ ყოფილა ნაშენები.**

აი, დახედეთ თანდართულ ფოტოს, მერე გადით თაბუკაშვილზე და, თუკი რომელიმე თქვენგანი ამ „ცისფერ ფალოსზე“ ერთ კვადრატულ მილიმეტრს მაინც აღმოაჩენს, რომელიც რამენაირად მოგვაგონებს ტრადიციულ ქართულ არქიტექტურას, მე პირადად მივუსჯი ჩემს თავს დღეში მთელი ერთი საათი ამ სიმახინჯის თვალმოუშორებლად ცქერას! ეს მართლაც უმკაცრესი სასჯელია ჩემთვის და დამეთანხმეთ, ალბათ, არა მხოლოდ ჩემთვის.

**დიახაც, სწორედ „დაუჯერებელი ამბავი“ შეიძლება დავარქვათ იმ უტიფრობას, რომ ვინმე ტუტუცი „პიარმენეჯერი“ ასე უტიფრად გვიცხადებს, — „ცისფერი ფალოსი“ ტრადიციული ქართული არქიტექტურის ელემენტებით არის შექმნილიო(!).**

იმავე გენიალური კინოფილმიდან კიდევ ერთი ფრაზა გავიხსენოთ: „ეს, ხელოვნების ნიმუში კი არა, ერთი უცნობი მხატვრის დაბალი დონის ნამუშევარია“.

თუმცა... ბატონო ვასო, გინდა, ზევით ადი და გინდა, ქვევით ჩადი... თბილისის არქიტექტურა უკვე გადაიქცა სიმახინჯეებისა და სხვადასხვა ფერის „ფალოსების“ ამაზრზენ გროვად...

და ჩვენ, უბრალო თბილისელებს, არც არავინ არაფერს გვეკითხება, არც არავინ გვაგებინებს, რა ხდება ჩვენ ზემოთ და ჩვენ ქვემოთ... ან თუნდაც აქვე — ჩვენ გვერდით...

არადა, მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი კარგი მარკშეიდერი ხომ უნდა გვყოლოდა?!

**კი, მაგრამ, სოსო სად არის, სოსო?..**



# ბიძინა მართალია — ჯიბეზე ვიგრძენით!



**ნორმალური ადამიანისთვის წარმოუდგენელია, რაც არ გაგიკეთებია, იმის შესახებ ამტკიცო, — ეგეც გავაკეთე და მაგაზე მეტიცო. საუბარია 2012 წლის არჩევნების წინ გაცემულ დაპირებაზე — „მეოთხე წელს ყველანი საკუთარ ჯიბეზე იგრძნობთ“!**

ამ ლეგენდარული დაპირების გარშემო, უკვე კარგა ხანია, ერთ ამბავია ატეხილი. ადამიანები — ოპტიმისტებიც და სკეპტიკოსებიც, პირველი წლიდანვე სულმოუთქმელად ელოდნენ ამ ყბადაღებულ „მეოთხე წელს“; ერთნი იმიტომ, რომ ძალიან უნდოდათ, მართლაც „ეგრძნოთ საკუთარ ჯიბეზე“, ხოლო მეორენი იმიტომ, რომ ნიშნი მოეგოთ — აგე, ხომ ვერც ვერაფერი იგრძენითო(?!).

საბოლოო ჯამში, **მეოთხე წელი, რა თქმა უნდა, მოვიდა, მაგრამ ქვეყანას, ხალხსა და „ჯიბეს“ სასიკეთო არაფერი დატყობია. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების მესვეურნი მაინც ამაყად აცხადებენ, — რაც დაგპირდით, ისიც გავაკეთეთ და იმაზე მეტიცო.**

ჩვენი ძალიან დაკვირვებული კორესპონდენტი, თითქმის ოთხი წელიწადია, აკვირდება ამ ამოუცნობ მოვლენას და, რა თქმა უნდა, არცთუ უშედეგოდ.

კერძოდ, იგი განსაკუთრებით აკვირდებოდა ამ დაპირების უშუალო ავტორსა და „ოცნების“ მთავარ ფიგურას, ბატონ ბიძინა ივანიშვილის, რომელსაც ამ ოთხი წლის განმავლობაში ერთხელაც არ უცვლია ნირი, როდესაც ჟურნალისტები თუ უბრალო მოქალაქეები მას ამ ლეგენდარულ „მეოთხე წელს“ და „ჯიბის გრძნობებს“ შეახსენებდნენ ხოლმე.

არადა, **წარმოუდგენელია, ადამიანმა ამ დონეზე ჩაისვაროს და მაინც ამაყად ყელმოღერებული ჩნდებოდეს ხალხში და ხმამაღლა ამბობდეს, — ყველა დაპირება ზედმიწევნით შევასრულეო.**

აი, სწორედ ამან ჩააფიქრა ჩვენი ჩაფიქრებული კორესპონდენტი, რომ აქ რაღაც საიდუმლო იმალებოდა. მან კატეგორიულად გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, გაერკვია, რატომ იჩემებს ბატონი ივანიშვილი ასე მტკიცედ, რომ მან ყველა დაპირება შეასრულა.

ამ მიზნით ჩვენმა გაბედულმა კორესპონდენტმა გაბედულად გადაიცვა „ჩვეულებრივი ადამიანის“, ანუ „ერთი სტატისტიკური ქართველისთვის“ დამახასიათებელი სამოსი და იმ ბრბოს შეერია, რომელიც ივანიშვილის შუშის სასახლესთან აქციას მართავდა მოთხოვნით „გვაგრძნობინეთ ჯიბეები“!

ჩვენს დაიმედებულ კორესპონდენტს იმედი ჰქონდა, რომ ბიძინა ივანიშვილი, ადრე თუ გვიან, რაიმე საჭიროების გამო გამოვიდოდა შუშის სასახლიდან ან ფანჯრიდან მაინც გამოიხედავდა ჰაერის ჩასასუნთქად.

მომენტი ხელიდან რომ არ გაეშვა, იგი სწრაფი ნაბიჯით შეუჩერებლად უვლიდა გარს სასახლეს და ფანჯრებს თვალს არ აშორებდა. და აი, ერთ-ერთ ფანჯარაში, როგორც იქნა, გამოჩნდა ივანიშვილის თვითკმაყოფილი სახე და ჩვენმა მოურიდებელმა კორესპონდენტმა მოურიდებლად მიახალა: **„ბატონო ბიძინა! ხომ ამბობდით, მეოთხე წელს საკუთარ ჯიბეზე იგრძნობთო? ვერაფერსაც ვერ ვგრძნობთ! პირიქით — დაგვიცარიელდა ჯიბეები“.**

ამ შეძახილზე სხვებმაც მოირბინეს და იგივე გაუმეორეს ბელად-ბიძინას.

თქვენ წარმოიდგინეთ, ბელადი სულაც არ დაბნეულა, სულაც არ მოუხურავს ფანჯარა და სულაც არ შებრუნებულა სასახლეში; პირიქით — საკმაოდ დამაჯერებელი სახე მიიღო და ბრბოსაც სრულიად ნათელი პასუხი გასცა: **„მე მხოლოდ ის ვთქვი მაშინ, რომ იგრძნობთ საკუთარ ჯიბეზე! მე ხომ არ მითქვამს, რომ საკუთარი ჯიბის ავსებას იგრძნობთ?! მე ვთქვი, რომ, უბრალოდ, იგრძნობთ. ჰოდა, დაცარიელებას ხომ გრძნობთ საკუთარ ჯიბეზე? ანუ ესე იგი საკუთარ ჯიბეზე რაღაცას გრძნობთ! რაღა გინდათ? გამოდის, მე შევასრულე ჩემი დაპირება“.**

ამ სიტყვებზე ბოროტმა ბიძინამ გადაიხარხარა და სასახლის ფანჯრები მიხურა...

აჰ, თუმცა ეს ფრაზა ზღაპრიდანაა და ბოროტ გველეშაპს ეხება...

აქ ასე უნდა დაგვემთავრებინა — **ამ სიტყვებზე კეთილმა და ქველმოქმედმა, მეცენატმა და უსათნოესმა ბიძინამ მომხიბლავად გაიცინა, კეთილშობილად მიხურა დარაბები და საკუთარ შუშის სასახლეში შენარნარდა.**

ქატო იქა, ფქვილი იქა, ჯიბე იქა, ლხინიც იქა და ყველაფერი იქა. დასასრული.

**ბეჩა ბაბაია**

# «ოცნების» არაფორმალური მმართველის ვინაობა ცნობილია

**2013 წლის შემდეგ, რაც პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა თანამდებობა დატოვა, მაშინვე დაიწყო საუბრები, რომ ქვეყანას არაფორმალური მმართველი ჰყავდა და ის სწორედ ივანიშვილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების ადრესატი ამას კატეგორიულად უარყოფდა, ოპოზიცია მაინც თავისას არ იშლიდა. და აი, დადგა სკანდალური და სენსაციური მომენტი, როდესაც შოკისმომგვრელ სიმართლეს შეიტყობთ იმის შესახებ, ვინ იდგა „ქართული ოცნების“ არაფორმალური მმართველის სახელის უკან.**

ჩვენი წყარო კვლავაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და ის, რასაც დღეს გიამბობთ, ყველას პირდაღებულს დაგტოვებთ. წყაროს შორეული ნათესავი შუშის სასახლის მზარეულად და დამლაგებლად მუშაობს და პირდაპირი შეხება აქვს ივანიშვილის სამუშაო კაბინეტთან, ასევე, მის საძინებელ ოთახთან. წყარო კარგად ერკვევა კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, ამიტომ არ გასჭირვებია სკანდალური ინფორმაციის მოპოვება.

მის მონაყოლს უცვლელად გთავაზობთ:

„საღამოს 10 საათი იყო. ამ დროს ბატონი ბიძინა ლავანდის აბაზანებს იღებს და დაძინებამდე სამუშაო კაბინეტში იკეტება, საქმეებს ასრულებს და მხოლოდ ამის შემდეგ იძინებს. ოთახში შესვლამდე სამზარეულოში შემოვიდა, ცივი იოგურტი გამოიღო მაცივრიდან, ხალათში იყო გამოწყობილი, ჩუსტები ეცვა, მომიკითხა, გამიღიმა და მითხრა, ტელეფონი დამიტენე, დილით ადრე ვარ გასასვლელიო. თვითონ საბაზანო ოთახში შევიდა. მე მის სამუშაო კაბინეტს მივაშურე, რადგან ტელეფონს მხოლოდ იქ ტენის. შევაერთე ტელეფონი და კომპიუტერის „მაუსზე“ შემთხვევით მომიხვდა ხელი. უცებ მონიტორი აინთო, როგოც ჩანს, კომპიუტერი ლოდინის რეჟიმში იყო და ხელის შეხების შემდეგ, როგორც წესი, ინთება ხოლმე.

ეკრანზე რამდენიმე გახსნილი ინტერნეტფანჯარა დამხვდა, „ოდნოკლასნიკები“ და „მაილ.რუ“.

სწორედ „მაილ.რუ“-ზე იყო დაყენებული და, უნებლიეთ, გამოგზავნილი წერილებისკენ გამექცა თვალი. ამ მომენტში აბაზანის კარის სახელური ჩამოიწია და, რომ არ დავენახე, შიშისგან კომპიუტერის მონიტორი გავთიშე, ტელეფონი შევაერთე და სამზარეულოსკენ გამოვეშურე. ძალიან კი ვინანე, რომ ვერ მოვახერხე წერილების ნახვა, მაგრამ ბედმა გამიღიმა, მოულოდნელად ბერამ დაუძახა თავის სტუდიაში, სთხოვა, ახალ სიმღერაზე ხმის დადებაში დამეხმარეო, და ბატონი ბიძინაც იქ გაეშურა. როგორც ჩანს, არ ახსოვდა, კომპიუტერი ჩართული რომ იყო. ვიხელთე დრო და ფეხაკრეფით შევედი მის სამუშაო კაბინეტში, ფრთხილად ჩავრთე კომპიუტერი და დავიწყე წერილების თვალიერება, დიდი არაფერი იყო და ჩავთვალე, რომ სასკანდალო არც არაფერი ყოფილა, თუმცა მოულოდნელად ახალი შეტყობინება მოვიდა სათაურით „სასწრაფოდ სანახავი“. ყველაზე მეტად შემაშფოთებელი კი მისი ავტორის სახელი იყო, მაგრამ ვიფიქრე, ეს, უბრალოდ, მეტსახელია-მეთქი და მეტი არაფერი, მაგრამ წერილის გახსნის შემდეგ ყველაფერი თავდაყირა დადგა. იქ ეწერა ყველა ის გეგმა, რომლითაც ხელისუფლებას უნდა ემოქმედა.

**წერილის ავტორი ითხოვდა თინა ხიდაშელისა და დავით უსუფაშვილის ჩამოშორებას, აგრეთვე, ძმებ ბერძენიშვილებთან ყველანაირი კონტაქტის გაწყვეტას და მიზეზად მათი მხრიდან შესაძლო საფრთხეს ასახელებდა. წერილი ბოლომდე ჩავიკითხე და შიშმა კიდევ უფრო მეტად ამიტანა. მისი ავტორი, არც მეტი არც ნაკლები, იოსებ ბესარიონის ძე სტალინი იყო და მაშინ მივხვდი, რომ ქვეყანას, ივანიშვილი კი არა, იოსებ ბესარიონის ძე მართავდა.**

წერილის ბოლოში მისი ავთენტურობის ნიშნად სტალინის დასკანერებული თითის ანაბეჭდი იყო, ხოლო საკონტაქტო მისამართი — stalini@hell.hell.

და მე მივხვდი, რა იგულისხმა თანამდებობიდან ახალწასულმა თინა ხიდაშელმა, როდესაც „ქართული ოცნების“ ახალ სახეებს ასე მიმართა: Welcome To Hell, ანუ კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯოჯოხეთშიო.

**გრიგოლ ინგაძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბურჭულაძის გარემოცვაში ძალიან ცოტა ადამიანია ლიდერის მონაცემების მქონე. საერთოდ, საქართველოში კვალიფიციური ინტელექტუალების დეფიციტია... რატომ განიცადა გამსახურდიამ კრახი? — იმიტომ, რომ გარემოცვამ დაღუპა. შევარდნაძეც გარემოცვამ დაღუპა, სააკაშვილიც და ივანიშვილიც“.**



# სოსო ცინცაძე: ყოველთვის ეჭვს იწვევს, ერთი კაცი რომ ქაჩავს მთელ პარტიას

**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში ელენე თევდორაძემ ისაუბრა „გატეხილი ფანჯრის“ თეორიაზე, რომელიც გულისხმობს, რომ მიტოვებული შენობა, შესაძლოა, დიდი ხნის განმავლობაში იყოს ხელუხლებელი, თუ იგი გარედან დაზიანებული არ არის, მაგრამ, ერთი მინა მაინც თუ ჩაიმსხვრა, მეპატრონეებმა სასწრაფოდ უნდა შეცვალონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახლი ნანგრევებად იქცევა. გადავწყვიტეთ, ისევ „გატეხილი ფანჯრის“ თეორიაზე გაგვეგრძელებინა საუბარი მომდევნო რესპონდენტთან.**
**რატომ არავინ სჯის სისხლიანი რეჟიმის შემოქმედთ, იქნებ ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ქაოსი დამნაშავეთა დაუსჯელობის ბრალია? — ამ და სხვა თემებზე გვესაუბრება სოსო ცინცაძე.**

**— ქალბატონმა ელენე თევდორაძემ ჩვენთან საუბრისას განაცხადა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ თითოეული წევრი, რომელიც ციხეში ზის, კრიმინალია. ის თვითონ იყო ამ პარტიის წევრი და კარგად მოეხსენებოდა შიგა სამზარეულო. ქალბატონი ელენეს განცხადების მიუხედავად, ევროსასამართლო ამბობს, მერაბიშვილი უდანაშაულოაო.**

— ევროსასამართლო გვეუბნება, რომ მერაბიშვილის პატიმრობის პროცესში დაირღვა მისი უფლებები. გეტყვით ერთ მაგალითს: დაახლოებით ერთი თვის წინათ საფრანგეთში ჩვენთვის აბსოლუტურად გაუგებარი რამ მოხდა: ფრანგი პენსიონერების ოჯახი — ცოლი და ქმარი, საკუთარი იახტით მსოფლიოს გარშემო მოგზაურობისას ნიგერიის სანაპიროებთან მეკობრეებმა დააპატიმრეს გამოსასყიდის მიღების მიზნით. რომ ვერ მიიღეს გამოსასყიდი, ქმარი მოკლეს. საფრანგეთის სპეცრაზმმა მოახერხა ცოლის გამოხსნა, თორმეტი მეკობრეც დააპატიმრა და ჩაიყვანა პარიზში. სასამართლო პროცესის დროს ამ თორმეტი მეკობრის ადვოკატებმა საერთაშორისო სასამართლოში შეიტანეს სარჩელი, რომელიც სასწრაფოდ განიხილეს. სასამართლომ საფრანგეთის მთავრობა დაავალდებულა, მეკობრეები გაეთავისუფლებინა და თითოეულისთვის რვა ათასი ევრო გადაეხადა. რატომ, იცით? ფრანგმა სამართალდამცველებმა მეკობრეებს დაწესებულ ვადაში არ წაუყენეს ბრალდება — შვიდი საათით დააგვიანეს. არადა, მეკობრეები ნიგერიის სანაპიროებთან დააპატიმრეს, შემდეგ მათ წამოყვანასაც ხომ სჭირდება დრო, მაგრამ სტრასბურგის ადამიანთა უფლებების სასამართლომ თქვა: კი ბატონო, ისინი ბანდიტები არიან, მკვლელები, მაგრამ თქვენ მათი უფლება დაარღვიეთ, ვადაში არ წაუყენეთ ბრალდებაო. აი ეს არის ევროპული სასამართლო. ისე, არავის უთქვამს მერაბიშვილი მართალიაო. **რაც შეეხება ელენე თევდორაძეს, მე მის ადგილას ჩუმად ყოფნას ვამჯობინებდი. თუ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები დამნაშავეები არიან, ის ამ დამნაშავეთა გუნდის წევრი იყო** — ამას ვერსად გაექცევა ვერც ქალბატონი ელენე და ვერც სხვა. **ქალბატონი ელენე თევდორაძე იყო პარლამენტის წევრი და ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმჟამინდელ პრეზიდენტთან, შენობით მიმართავდა, ვარ ამის მოწმე, არასოდეს წამოსცდენია „ბატონო პრეზიდენტო“, „მიშაო“, — ასე მიმართავდა. მაშინ სად იყო? არ შეიძლება ყველამ მოიწმინდოს პირი, არავინ არაფერი იცოდა თურმე, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ კულისებში ხდებოდა. მაგ ქალბატონმა მადლობა თქვას, რომ წლების განმავლობაში, როდესაც ქვეყანაში შიმშილი და უმუშევრობა იყო, პარლამენტარის ყველა სიკეთით სარგებლობდა.**

**— რა შედეგი შეიძლება მოუტანოს სახელმწიფოს დაუსჯელობის სინდრომმა?**

— დაუსჯელობის სინდრომი ყველაზე საშიში ავთვისებიანი სიმსივნეა სახელმწიფოსთვის. კიდევ ერთ ისტორიულ ფაქტს გეტყვით: ამერიკის განგსტერთა ისტორიაში ნომერ პირველ განგსტერად **ალ კაპონე** კი არ არის აღიარებული, არამედ **მეიერ ლანსკი** — ტვინით გატენილი ებრაელი, რომელიც ოთხმოცდათექვსმეტი წლისა ფეშენებელურ ვილაში, თავის საწოლში გარდაიცვალა ისე, რომ ერთი დღეც არ გაუტარებია ციხეში, თუმცა ბანდიტობა თოთხმეტი წლიდან დაიწყო — თოთხმეტი წლის იყო, პირველად რომ მოკლა კაცი. ორმოცდაათი წლის განმავლობაში ამერიკის გამოძიებათა ფედერალურ ბიუროს **მეიერ ლანსკის** სახლთან პუნქტი ჰქონდა გახსნილი, საიდანაც უთვალთვალებდნენ, სურათებს უღებდნენ, ყველამ იცოდა, რომ ეს იყო განგსტერების მეთაური, მაგრამ, ვინაიდან სამხილი არ ჰქონდათ, ვერავინ ბედავდა მის დაპატიმრებას, რადგან სასამართლოზე არგუმენტი არ ექნებოდათ. ამიტომ სასამართლო უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და კითხვები არ უნდა დარჩეს. **აშკარაა, რომ ახალგაზრდა დემოკრატიისთვის ძალიან რთულია, თავი აარიდო ორმაგ სტანდარტს — გამიჯვნას იმისა, რომ ჩემიანს ეპატიება და სხვას — არა.** წლები რომ გავა, გაიხსენებენ, რომ ერთ პარლამენტარს პიჯაკი გაურღვიეს ახალგაზრდა ბიჭებმა და ამის გამო ორი თვე ციხეში აყურყუტეს, ამ დროს საკანონმდებლო ორგანოში მუშტი-კრივია ხოლმე გამართული და შემდეგ ზოგი ამერიკაში სეირნობს, ზოგი პარტიის ღონისძიებაზე დადის თავისუფლად. აი ეს არის, რასაც თქვენ ამბობთ, ერთი ფანჯრის მსხვრევას სხვების მსხვერვაც რომ მოჰყვება. სინგაპურის ლეგენდარული პრემიერმინისტრი **ლი კუან იუ** თავის მემუარებში წერს: თუ გინდა კორუფციასა და დანაშაულს ებრძოლო, პირველ რიგში, ორი უახლოესი მეგობარი უნდა დაიჭირო და სხვები იფიქრებენ, ამან თავის მეგობარი არ დაინდო და ჩვენ რას გვიზამსო. აი, ამის შემდეგ გაქრება კორუფციაო.

## «დაუსჯელობის სინდრომი ყველაზე ავთვისებიანი სიმსივნეა სახელმწიფოსთვის»

**— ქალბატონმა თევდორაძემ თქვა: „ჩვენ გვინდოდა, გვენახვებინა, რომ ვსჯით, მაგრამ ისინი ადამიანები იყვნენ და 7 წლის შემდეგ, შესაძლოა, სხვანაირები გამოსულიყვნენ ციხიდან, ჩვენ კი ჩვენი გადაწყვეტილებებით ვაჩვენებდით, რომ ჩვენც ისეთივე ადამიანები ვართ, როგორიც ისინი იყვნენ დაპატიმრებამდე...“ — „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა წევრებიც ამბობენ, შეგვეშალა რაღაცებიო, მაგრამ აინტერესებს ეს აღსარება მოსახლეობას? ვინღა უნდა ენდოს მათ?!**

— ელენე თუ ამბობს მაგას, ძალიან კარგია, მაგრამ ეს მოსახლეობას არ აინტერესებს და შეიძლება აპატიონ. როდესაც ერთი ჯგუფი ამბობს, მე არაფერი მაქვს მოსანანიებელი, არაფერი დამიშავებაო, აქ უკვე პატიებაც აღარ შეიძლება. ჯერ უნდა აღიარო შენი დანაშაული და შემდეგ აპატიო. კიდევ ერთ ფაქტს გეტყვით: დაახლოებით 25 წლის წინათ უცხოეთში ვიყავი და პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან ნელსონ მანდელას ციხიდან გამოსვლა. გადმოსცემდნენ, როგორ ასამართლებდნენ ნელსონ მანდელას ერთ-ერთ თანამებრძოლს, რომელიც 22 წელი იჯდა ციხეში. ერთ-ერთმა თეთრკანიანმა გამომძიებელმა მოითხოვა, ორივე თვალი გამოეთხარათ ნელსონ მანდელას თანამებრძოლისთვის და შემდეგ გაესამართლებინათ. მოგვიანებით ამ ყოფილმა პოლიციელმა მოინანია თავისი საქციელი. საოცარი სანახავი იყო, როგორ გამოდიოდნენ ერთად სასამართლო დარბაზიდან ბრმა და პოლიციელი, რომელმაც გამოუტანა ეს განაჩენი. ხელიხელჩაკიდებული გამოვიდნენ, აი ეს არის დიდსულოვნება.

**— ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობთ: „ბურჭულაძესთან დაკავშირებით ხდება ის, რაც მოსალოდნელი იყოო. თავის დროზე ნინო ბურჯანაძემაც ფონდის შექმნით დაიწყო და შემდეგ პარტიად გარდაიქმნა. ამ შემთხვევაშიც ზუსტად იგივე ხდება, სიახლე არაფერია“. რა შედეგს მოუტანს ქართულ სახელმწიფოს მრავალპარტიულობა, აქვთ კი ასეთ პარტიებს გამარჯვების იმედი?**

— მხედველობაში მყავდა ბურჭულაძის გარემოცვა. ბურჭულაძის გარემოცვაში ძალიან ცოტა ადამიანია ლიდერის მონაცემების მქონე. საერთოდ, **საქართველოში კვალიფიციური ინტელექტუალების დეფიციტია.** ნაპოლეონი ვერასდროს იქნებოდა ნაპოლეონი, რომ არ ჰყოლოდა **სულტი, ნეი** და სხვა ბრწყინვალე მხედართმთავრები. რატომ განიცადა **გამსახურდიამ** კრახი? — იმიტომ, რომ გარემოცვამ დაღუპა. **შევარდნაძეც** გარემოცვამ დაღუპა, **სააკაშვილიც** და ივანიშვილიც, რომლის რეიტინგიც გარემოცვამ დასცა. ჩვენს მოქალაქეს, რომელიც უყურებს ამ პარლამენტარებს, ვინ ახსენდება? — ის, ვინც მოიყვანა ესენი. **როდესაც ივანიშვილი გამოდიოდა და ამბობდა, პეტრეს თუ აძლევთ ხმას, ესე იგი, მე მაძლევთო, ხალხი ამბობდა, პეტრეს დედაც ვატირე, ჩვენ ივანიშვილს ვაძლევთ ხმასო. აი, ეს არის ლიდერომანია, რომ ყველაფერი ერთ კაცზეა აგებული. ჩემში ყოველთვის ეჭვს იწვევს, ერთი კაცი რომ ქაჩავს მთელ პარტიას. ეს არ არის დემოკრატიის კლასიკა, როდესაც ერთი კაცია ორთქლმავალი.** შემდეგ, როცა აღარ არის ორთქმავალი, გუნდიც აღარ არის.

**— „ნაციონალური მოძარობის“ წევრებს ერთნაირი მანიაკური თვისებები ახასიათებდათ. ხალხი ამბობს, ეტყობათ, ნაციონალები რომ არიანო...**

— ეს უკვე სტილია, ვის შეიძლებოდა მოწონებოდა, ყოველდღე რომ აჩვენებდნენ ბორკილდადებულ ადამიანებს. შეიძლება ამას სხვების შესაშინებლად აკეთებდნენ, მაგრამ ეს არ არის სწორი. ისტორია გვასწავლის, რომ, მაგალითად, როდესაც პარიზში, გრევის მოედანზე ხელს აჭრიდნენ ქურდებს, სწორედ მაშინ ყველაზე მეტი ქურდობა ხდებოდა. ხალხი უყურებდა, აბა, დავინახო, როგორ აჭრიან ხელსო და ამ დროს ქურდები ადამიანებს ჯიბიდან ჰპარავდნენ ქისებს. ასე რომ, შიში არ მოქმედებს. ეს უკვე სტილია.

**«ქალბატონი ელენე თევდორაძე იყო პარლამენტის წევრი და ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმჟამინდელ პრეზიდენტთან, შენობით მიმართავდა, ვარ ამის მოწმე, არასოდეს წამოსცდენია «ბატონო პრეზიდენტო», «მიშაო», — ასე მიმართავდა. მაშინ სად იყო? არ შეიძლება ყველამ მოიწმინდოს პირი, არავინ არაფერი იცოდა თურმე, რაც «ნაციონალური მოძრაობის» კულისებში ხდებოდა. მაგ ქალბატონმა მადლობა თქვას, რომ წლების განმავლობაში, როდესაც ქვეყანაში შიმშილი და უმუშევრობა იყო, პარლამენტარის ყველა სიკეთით სარგებლობდა»**

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

## კახა კალაძე: რაც მარგველაშვილი პრეზიდენტია, არ მახსოვს, გაეკეთებინოს განცხადება იმ ზონდერებზე, რომლებიც ქართველ ხალხს უსწორდებოდნენ



**ვიცეპრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე პრეზიდენტს მოუწოდებს, თავი შეიკავოს ჭორაობისგან და პატივი სცეს პრეზიდენტის ინსტიტუტს. კალაძე ამბობს, რომ ის ვერ იხსენებს, მარგველაშვილს პრეზიდენტობის პერიოდში გაეკეთებინოს განცხადება „თუნდაც კარალეთში მომხდარი ინციდენტის გამოძიების შესახებ“ ან „იმ ზონდერებზე, რომლებიც წლების განმავლობაში, გახსოვთ, რა დღეში აგდებდა ჩვენს მოსახლეობას“.**

ის ყოველთვის ამბობს, რომ არ არის „ქართული ოცნების“ და არც „ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტი, თუმცა მისი განცხადებები „ნაციონალური მოძრაობის“ ციტირებებია. მინდა, მას მოვუწოდო, თავი შეიკავოს ჭორაობისგან. ის არის ქვეყნის პრეზიდენტი. მერე რა, რომ გარკვეული ადამიანების ხათრით იქნა არჩეული, ის პრეზიდენტია, პატივი სცეს ამ ინსტიტუტს და თავი შეიკავოს ჭორაობისგან“, — განაცხადა კახა კალაძემ.

**„ერდოღანმა მშვიდობისკენ უნდა მოუწოდოს ხალხს და არა გარეთ გამოსვლისკენ. მას სურს, მსოფლიოს დაანახვოს, რომ ხალხი მის გვერდითაა. არავინაა დაზღვეული, რომ სკვერებსა და აეროპორტში ისევ არ მოხდება აფეთქებები და ისევ არ დაიხოცება ხალხი. თუ ერდოღანი თავის ხალხს არ დაარწმუნებს, რომ ქვეყანა ყველაფრისგან იქნება დაცული და გაამკაცრებს ზომებს, მერწმუნეთ, უარესი მოხდება და ამას გააკეთებს არა უცხო, არამედ მისი ხალხი“.**

შორია გურჯისტანამდე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «თუ თურქები არ ისწავლიან სხვა ერების პატივისცემასა და სიყვარულს, უარეს მდგომარეობაში ჩავარდება ქვეყანა»



**31 წლის გიორგი საათაშვილი მსახიობი და მომღერალია. ამჟამად იმყოფება თურქეთში, კერძოდ, სტამბოლში. ამბობს, რომ თურქეთში ცხოვრება მისცემს საშუალებას, უკეთ გაეცნოს ამ ქვეყანას და დამოუკიდებლად გადადგას ნაბიჯები კარიერის გასაგრძელებლად:**

— ორი წელია, თურქეთში ვცხოვრობ. საქართველოში ისეთი მძიმე სიტუაცია იყო, გაუსაძლისი გახდა ცხოვრება. ადამიანი, როგორი პროფესიონალიც უნდა იყოს, ვერ ახერხებს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას. ტყუილად ვიტანჯავდი თავს ათასი ფიქრითა და ოცნებით. ბევრჯერ წავქცეულვარ და ავმდგარვარ... თუ დააკვირდებით ქუჩაში მიმავალი ადამიანების სახეებს, შეამჩნევთ, რომ გაჭირვებამ ხალხს ცხოვრების ხალისი დაუკარგა. აი, ამიტომ წავედი ქვეყნიდან. თურქეთში თავს კარგად ვგრძნობ, შემიძლია ვაკეთო ის, რაც მიყვარს. როგორც ყველა ქართველს, მეც სისხლში მაქვს გამჯდარი სამშობლოს სიყვარული. საქართველო ყოველთვის დამელოდება. თურქეთშიც კი ჩემს ქვეყანაზე, ჩემს ხალხზე ვფიქრობ, რომ იქნებ როგორმე მივაღწიო ისეთ წარმატებას, რომელიც ჩემს ქვეყნას წაადგება.

**— როგორი ვითარებაა თურქეთში, როგორი ხელისუფლება ჰყავთ, როგორი ხალხი არიან და რას ამბობენ ქართველებზე?**

— თურქეთში ყველაფრის გაკეთებას შეძლებს ადამიანი, რა საქმითაც უნდა დაკავდეს. ზემოდან არავინ გიყურებს, არარაობად არავის მიაჩნიხარ. თურქები ქართველების მიმართ ცივად არიან განწყობილნი, ალბათ, იმიტომ, რომ აქ ხშირად ქურდობენ ქართველები. თურქეთში არის ორი ტიპის საზოგადოება: ერთი ვერ ახდენს საკუთარი თავის რეალიზებას, მეორე კი სრულიად რეალიზებულია. ნაწილს არაფერი უკვირს, ცივილიზებულად აზროვნებს, მეორე ნაწილისთვის კი ყველა სიახლე მიუღებელია. თურქეთში არავინ გაგაჩერებს უსაქმურად. არ აინტერესებთ, ვინ ხარ და რას საქმიანობდი წარსულში, მთავარია, საქმე კარგად გააკეთო. თუმცა ცუდი ის არის, რომ ცივად არიან განწყობილნი სხვა ერების მიმართ. ხშირად ხდება დაპირისპირებები. მაგალითად, თურქებსა და ქურთებს შორის.

**— თურქეთში მცხოვრები ქართველები ჩართულნი ხართ საქართველოს შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში? რას ფიქრობთ საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებაზე?**

— თურქეთში მცხოვრებ თითოეულ ქართველს გვაინტერესებს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები და განვიცდით იმას, რაც დღეს ხდება. **ოცდახუთი წელიწადია, საქართველოს არაფერი ეშველა, მეცოდება ჩემი ქვეყანა, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ჩემი ერი, რომელსაც გასაქანი არ აქვს ასეთი ხელისუფლებების ხელში.** ყველაფრის მიუხედავად, გვწამს, რომ შეიცვლება სიტუაცია, საქართველოდან წასვლა აღარავის მოუწევს და, ვინც წასულები ვართ, ისინიც დავბრუნდებით. ამჟამინდელი ხელისუფლება ერთს თუ აკეთებს, მეორეს აფუჭებს. რამდენიმე ხნის წინათ ვიყავი საქართველოში ჩამოსული. ხალხი დაბნეულია, დადიან ქუჩაში და თავისთვის ლაპარაკობენ. აი, ეს გააკეთეს ჩვენმა ხელისუფლებებმა.

## «ოცდახუთი წელია, საქართველოს არაფერი ეშველა, მეცოდება ჩემი ქვეყანა, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ჩემი ერი, რომელსაც გასაქანი არ აქვს ასეთი ხელისუფლებების ხელში»

**— თურქეთში სამხედრო გადატრიალების მცდელობამ ქვეყანაში და,საერთოდ, რეგიონში სიტუაციის დაძაბვა გამოიწვია. რატომ დაიწყო დაპირისპირება და რა ვითარებაა ამჟამად?**

— ქვეყანაში მშვიდობა იყო და უცებ შევიტყვეთ, რომ ასეთი ვითარება შეიქნა. ხალხი პანიკაში ჩავარდა, შიშმა მოიცვა ქვეყანა. რამდენიმე დღე გავიდა მომხდარიდან და ხალხი კიდევ ამაზე საუბრობს. არ უნდათ ქვეყნის პრეზიდენტი, არ უყვართ. **არ გამკვირვებია ამბოხი, ერდოღანი ყველაფერს თავისი სურვილებიდან გამომდინარე აკეთებს, ხალხის აზრს არ ითვალისწინებს, აი ამიტომ არ სურთ, რომ ის იყოს თურქეთის მმართველი.**

— ერდოღანმა თურქ საზოგადოებას მოუწოდა, გასულიყო ქუჩაში და შეწინააღმდეგებოდა ხელისუფლების დამხობის მსურველებს. **რა მოხდა ამის შემდეგ?**

— თურქეთის პრეზიდენტი კარგად ხვდება, რომ მარტო თვითონ ვერაფერს გახდება და ფარად იყენებს ხალხს. რა გარანტია აქვს ერდოღანს, რომ ამ მოწოდების შემდეგ უფრო დიდი დაპირისპირება არ მოხდება ქვეყანაში?! **ერდოღანმა მშვიდობისკენ უნდა მოუწოდოს ხალხს და არა გარეთ გამოსვლისკენ. მას სურს, მსოფლიოს დაანახვოს, რომ ხალხი მის გვერდითაა.** არავინაა დაზღვეული, რომ სკვერებსა და აეროპორტში ისევ არ მოხდება აფეთქებები და ისევ არ დაიხოცება ხალხი. **თუ ერდოღანი თავის ხალხს არ დაარწმუნებს, რომ ქვეყანა იქნება დაცული და არ გაამკაცრებს ზომებს, მერწმუნეთ, უარესი მოხდება და ამას გააკეთებს არა უცხო, არამედ მისი ხალხი. დღეს ქვეყანაში 90-დღიანი საგანგებო რეჟიმია. 9 საათის შემდეგ კომენდანტის საათია და გადაადგილება შეზღუდული გვაქვს. ამით რის შეცვლას ცდილობენ, არ ვიცი.** თურქეთი ყოველდღე მოლოდინშია, რომ შეიძლება კიდევ იყოს ახალი ტერაქტები, ხალხი პანიკაშია. თუ პრეზიდენტმა არ მოუწოდა ხალხს სიმშვიდისკენ, უარესი მოხდება, ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეეწირება ამ ამბავს, **თუ თურქები არ ისწავლიან სხვა ერების პატივისცემასა და სიყვარულს, უარეს მდგომარეობაში ჩავარდება ქვეყანა.**

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

## ჯაბა კილაძე:

# იმის ლოდინი, რომ რუსეთი განადგურდება და იბერია გაბრწყინდება, აბსურდია



**ქართველი ხელოვანები ორ ნაწილად იყოფიან: ერთი ამბობს, პოლიტიკა ჩემი საქმე არ არისო; სხვები კი ისე აქტიურობენ სხვადასხვა აქციაზე, ძნელია, თქვა, პოლიტიკოსიები არიან თუ ხელოვანები. უნდა აისახოს თუ არა ხელოვნებაში პოლიტიკურ-სოციალური თემები? მით უმეტეს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის “ ცხრაწლიანი პერიოდის, როცა შიშში ვცხოვრობდით, ქუჩაში ხოცვდნენ ახალგაზრდებს, ქონებას ართმევდნენ ბიზნესმენებს, აუპატიურებდნენ პატიმრებს... ამ ყველაფერზე ვინმემ რამე შექმნა? სად არიან მომღერლები, რეჟისორები, მსახიობები, მწერლები, რომლებმაც ეს ყველაფერი ისტორიას უნდა შემოუნახონ? ამ თემებზე გვესაუბრება მსახიობი ჯაბა კილაძე.**

**— ბატონო ჯაბა, ხელოვნება ხომ საზოგადოების სულიერი საზრდოა და, როდესაც ქვეყანაში უამრავი პრობლემა და მანკიერებაა, სად არიან ხელოვანი ადამიანები, რატომ არ ისმის მათი პროტესტი?**

— აპროტესტებენ სხვადასხვა ფორმით, ზოგი ტენდენციურია, ზოგი — ობიექტური. რა თქმა უნდა, ხელოვანს არ უნდა აერიოს პოლიტიკა და თავისი მოღვაწეობის სფერო, მაგრამ, როცა საჯარო პიროვნება ხარ, შენი ნამუშევრები მოსწონთ, ხალხს აინტერესებს შენი აზრი ამა თუ იმ საკითხზე. ხელოვანმა არა მხოლოდ უნდა გააპროტესტოს, კარგზეც უნდა ისაუბროს. ხელოვანებს საქართველოში დაბალი ანაზღაურება აქვთ. დღეს საქართველოში თეატრს ყველაზე ნაკლებად აქვს საწუწუნო, ხალხს უყვარს თეატრი, მაგრამ ხელოვნების ბევრი სფერო ძალიან ცუდ დღეშია. ხელოვნება არის სახელმწიფოს, ასე ვთქვათ, გამქაჩავი რგოლი, თუმცა ხელოვანებიც დამოკიდებული ვართ სტაბილურობაზე სახელმწიფოში და იმაზე, როგორი ბიუჯეტი გვაქვს. ჩვენ შეგვიძლია პროფესიული შესაძლებლობებიდან გამომდინარე გავაპროტესტოთ ჩვენთვის უსიამოვნო მოვლენები და ფაქტები და არა ქუჩაში „დუბინკებით“ სიარულით.

**— მართებულად მიგაჩნიათ ხელოვანი ადამიანების პოლიტიკაში ჩართვა?**

— ხელოვანი ადამიანების პოლიტიკაში ჩართვით აღფრთოვანებული ნამდვილად არ ვარ, თუმცა ამის არც წინააღმდეგი ვარ. მსოფლიოს ისტორიაში არის პრეცენდენტები, როდესაც ხელოვანს საკმაოდ კარგად გაურთმევია თავი პოლიტიკური მოღვაწეობისთვის. პოლიტიკა ქვეყნის სიყვარულია და ვინ აწარმოებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც ქვეყანას უკეთესობისკენ განავითარებს, მსახიობი თუ იურისტი, არ აქვს მნიშვნელობა. მთავარია შედეგი. ამიტომ არ ვთვლი კატასტროფად ხელოვანი ადამიანის პოლიტიკაში ჩართვას. თუმცა სხვადასხვა პროფესიის ადამიანებმა სხვანაირად გაიგეს ეს და უცებ ყველას მოუნდა პარლამენტში. **სირცხვილია, არც ლაპარაკი ეხერხებათ, არც ხედვა აქვთ, რომელიც ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება. ასეთებმა, სჯობს, პარლამენტი მათ დაუთმონ, ვინც უკეთესად აზროვნებს.**

**— საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა დაძაბულია. ხელოვან ადამიანებს, რომლებიც რუსეთში კონცერტებს მართავენ, ფილმებს იღებენ, სპექტაკლებს დგამენ, ანუ პროფესიულ მოვალეობას ასრულებენ, საზოგადოების ნაწილი ქვეყნის მოღალატეებს უწოდებს, როგორია თქვენი აზრი ამ საკითხზე?**

— ეს არის დაბოღმილი ხალხის ნათქვამი. ჩვენი ბრალი არ არის, რომ ძალიან ცუდი 20 წელიწადი გვქონდა. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ბევრი რამ განადგურდა საქართველოში, ბევრი ცუდი მოხდა, ამან საზოგადოებაში შური, ღვარძლი და ერთმანეთის ლანძღვა გამოიწვია. **მომღერალი, რომელმაც მეზობელ ქვეყანაში იმღერა, უნდა დავახრჩოთ? რუსული წარმოშობის ძალიან ბევრ რაღაცას აქტიურად ვიყენებთ და ამ ყველაფერზეც უარი ვთქვათ?**

ხელოვანს, რომელსაც ვერანაირ პირობას ვერ უქმნი სამშობლოში და უხმობს სხვა ქვეყანა, სადაც თავის საქმეს აკეთებს, განა ეს დასაძრახია? ბევრმა ხელოვანმა გააპროტესტა ქართველების რუსეთში წასვლა, მაგრამ სხვისი გაკრიტიკების უფლება მაშინ გაქვს, როცა თვითონ შექმნი რაიმე ღირებულს.

**— რუსეთ საქართველოს ურთიერთობაზე რას გვეტყვით, როგორ უნდა მოგვარდეს ამ ორ ქვეყანას შორის კონფლიქტი?**

— რუსეთზე საუბარი არასდროს დამთავრდება საქართველოში. ახლა მოდურია ამ ქვეყნის სალანძღავი სიტყვებით მოხსენიება. ჩვენ რუსეთის გეოგრაფიულ მდებარეობას ვერ შევცვლით. **სახელმწიფო ხე ხომ არ არის, რომ გადავრგოთ?! იმის ლოდინი, რომ რუსეთი განადგურდება და იბერია გაბრწყინდება, აბსურდია. ეს გაუნათლებელი ადამიანის ილუზიაა, რუსეთი თუ დაინგრევა, საქართველოც ძალიან დაზარალდება.** ფაქტია, რომ ეს ქვეყანა ამერიკასაც და ნატოსაც აიძულებს, უკან დაიხიონ. მეც არ მომწონს პუტინი, მაგრამ ვერაფერს გააწყობ, იმიტომ, რომ უზარმაზარი და ძლიერი სახელმწიფოს წარმომადგენელია და ძალა აქვს. **ამერიკა და ცალკეული ევროპული ქვეყნები ცდილობენ, მაქსიმალურად მოერიდონ რუსეთთან უთანხმოებას, ჩვენ კი ვცდილობთ, პირველებმა ამოვარტყათ ყბაში და ეს მცდელობა ცუდად დასრულდება.**

**— რას ურჩევთ ამჟამინდელ ხელისუფლებას?**

**— აუცილებელია, მთავრობამ გაათვითცნობიეროს, რას ნიშნავს ქვეყნის სიყვარული. როგორც კი ამას გაითავისებენ, მთავრობის წევრებს მოუწევთ შავი ჯიპებიდან ჩამოხტომა.** თუ შენი ქვეყანა გიყვარს, ქვეყნის ბიუჯეტიდან ამხელა თანხას არ დახარჯავ საკუთარი სიამოვნებისთვის. მთავრობაში ყველა ერთი მიზნით მოდის — იშოვოს ფული, ცოტა შენ მოგცენ და ბევრი თავისთვის დაიტოვონ.

ესაუბრა **ნანა ფოფხაძე**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შიშველი ველორბოლა ყოველწლიურად ტარდება და, როგორც ჩანს, უშედეგოდ — კაცობრიობა მაინც დიდად არის დამოკიდებული ნავთობზე და ეკოლოგიისთვის მავნე სხვა პროდუქტებზე. ქუჩაში უტანსაცმლოდ გამოვარდნის მსურველთა რაოდენობამ კი მოიმატა, მათ შორის ბევრია არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანი.**

გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები" კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს" ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## «ცოტა აირი, ბევრი უკანალი»

### მსოფლიოს რამდენიმე ქალაქში ე.წ. შიშველი ველორბოლა გაიმართა

**ამა წლის 11 ივნისს მსოფლიოს რამდენიმე დიდ ქალაქში მოძრაობა World Naked Bike Ride-ს ორგანიზებით გაიმართა მასობრივი ველორბოლა, რომლის მიზანი იყო ნავთობპროდუქტებზე ადამიანის დამოკიდებულების წინააღმდეგ ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის გამოყენების პროპაგანდა.**

შიშველი ადამიანების ველორბოლის მოწყობის იდეა ეკუთვნის კანადელ აქტივისტ **კონრად შმიდტს.** პირველი ასეთი ველორბოლა კი 2004 წელს გაიმართა და მსოფლიოს 28 ქალაქში ჩატარდა. მას შემდეგ ეს ე.წ. შიშველი ველორბოლა ყოველწლიურად ტარდება და, როგორც ჩანს, უშედეგოდ — კაცობრიობა მაინც დიდად არის დამოკიდებული ნავთობზე და ეკოლოგიისთვის მავნე სხვა პროდუქტებზე. ქუჩაში უტანსაცმლოდ გამოვარდნის მსურველთა რაოდენობამ კი მოიმატა, მათ შორის ბევრია არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანი.



შიშვლების ველორბოლა ლონდონში




„ცოტა აირი, ბევრი უკანალი"








ეს კი ვაშინგტონელი გოგონაა



## ფრანგული ენის განმარტებით ლექსიკონში ცნება «ქორწინება» შეცვალეს

**ფრანგული ენის ახალ განმარტებით ლექსიკონ Le Petit Robert-ში ცნება „ქორწინება" ახლებურად არის განმარტებული.**

ფრანგული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, წიგნში, რომელიც უკვე გამოჩნდა მაღაზიების დახლებზე, ცნება „ქორწინება" ასეა განმარტებული: **„კანონიერი კავშირი მამაკაცსა და ქალს შორის, ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში კი — ერთი და იმავე სქესის ორი ადამიანის".** ეს დაზუსტება ახლა ძალიან აქტუალურია საფრანგეთში, სადაც ამოქმედდა კანონი, რომელიც ერთი და იმავე სქესის ადამიანებს უფლებას აძლევს, იქორწინონ და ბავშვიც იშვილონ.




ერთი და იმავე სქესის ადამიანების ქორწინების ლეგალიზება პრეზიდენტ **ფრანსუა ოლანდის** წინასაარჩევნო დაპირება იყო. მანამდე საფრანგეთში დაშვებული იყო ჰომოსექსუალების ე.წ. სამოქალაქო კავშირები, მაგრამ ფრანგმა სოციალისტებმა გეებისა და ლესბოსელების ქორწინება დააკანონეს და მათ ბავშვის შვილად აყვანის ნებაც დართეს.



## ძაღლს სასამართლოში უჩივლეს

**დიუსელდორფის (გერმანია) საოლქო სასამართლომ განიხილა სარჩელი, რომლის მიხედვითაც ძაღლს ცხვრების სიკვდილში ადანაშაულებენ.** მოსარჩელის განცხადების თანახმად, მისი კუთვნილი 12 ცხვრის სიკვდილი ძაღლის გამოჩენამ და მისი შიშით გამოწვეულმა სტრესმა გამოიწვია. დამნაშავე ძაღლის სახელია ლედი, რომელიც მისი პატრონის 5 წლის შვილიშვილს უსაბელოდ ჰყავდა გამოყვანილი. ძაღლი შევარდა მინდორზე, სადაც ცხვრების ფარა ძოვდა და ყეფა ატეხა. ფერმერი, რომელსაც ფარა ეკუთვნოდა, ვეტერინარის დასკვნას უარყოფს და ამბობს, რომ ცხვრები ძაღლის შიშით კრუნჩხვებში ჩავარდნენ და სული განუტევეს. ძაღლის პატრონისგან ფერმერი 2900 ევროს გადახდას ითხოვს ზარალის საკომპენსაციოდ. თავის მხრივ, ძაღლის პატრონი ფერმერის მოთხოვნას აბსურდულს უწოდებს, რადგან ლედი ძალიან პატარაა (5 წლის ბავშვს მუხლამდე სწვდება), თანაც გავლილი აქვს ადამიანურ ურთიერთობის სწავლების კურსი და „მუშაობს" ხანდაზმულთა თავშესაფარში, სადაც ამ ძაღლის მხრიდან არც ერთი უსიამოვნო ინციდენტი არ აღრიცხულა.


## ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




## კონჩიტას შვილი მოუნდა

**რამდენიმე წელიწადია, „ევროვიზია-2014"-ის წვეროსანი გამარჯვებული დაქორწინებულია ბურლესკის (თეატრალური ეროტიული სანახაობა) მოცეკვავე ჟაკ პატრიაკზე. წყვილი პარიზის ცენტრში მდებარე მყუდრო ბინაში ცხოვრობს, მაგრამ სრული ბედნიერებისთვის პატარა აკლიათ.**

„განა შეიძლება ადამიანი გაკიცხო იმის გამო, რომ მამაკაცად დაიბადა, მაგრამ თავს კომფორტულად გრძნობს, როგორც ქალი?! მშობლებს თავდაპირველად არ ესმოდათ ჩემი. ახლა კი 150 პროცენტით მიჭერენ მხარს. მოხარულნი არიან, რომ ჰყავთ ქალიშვილი, რომელზეც, დიდი ხანია, ოცნებობდნენ",— განაცხადა კონჩიტა ვურსტმა (ნამდვილი სახელი **ტომ ნოივირტი**).



ჰომოსექსუალი წყვილი ტომი და ჟაკი ოცნებობს ქალიშვილზე. ამბობენ, რომ ოჯახში ბევრი ბავშვი უნდა იყოს და იმედოვნებენ, რომ მედიცინა არნახულად განვითარდება და მათ ბუნებრივი გზით გაუჩნდებათ შვილი(?).



## ყოფილი გეი ქალზე დაქორწინდა

**ყოფილი გეი აქტივისტი მაიკლ გლატცი, ჟურნალ Young Gay America-ს დამფუძნებელი და ყოფილი რედაქტორი, რომელმაც 2007 წელს ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო, ქალზე დაქორწინდა.**

გლატცის ქორწინებამ გეების გაკვირვება გამოიწვია. მას შემდეგ, რაც ქრისტიანად მოინათლა, გლატცმა გადაწყვიტა, წასულიყო ჟურნალიდან და კომპიუტერის მონიტორზე დატოვა ბარათი წარწერით: **„ჰომოსექსუალიზმი — ეს არის სიკვდილი, მე ვირჩევ სიცოცხლეს"**. მან, აგრეთვე, დაწერა სტატია, როგორ შეცვალა ღმერთმა.

გლატცის გარდაქმნის გამო, გეების უფლებათა დამცველებმა უკმაყოფილება ვერ დამალეს. **უეინ ბესენმა**, Truth wins Out-ის დამფუძნებელმა, გლატცის ქორწინების შემდეგ თავის საიტზე გამოაქვეყნა შეურაცხმყოფელი და დამცინავი სტატია გლატცსა და მის ცოლზე. საპასუხოდ, გლატცმა World Net Daily-ში გამოაქვეყნა მიმართვა ყველა გეისადმი, რომელშიც ამბობს, რომ ქორწინების შემდეგ მისი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა და ბედნიერია, ხოლო **„ჰომოსექსუალიზმი მავნე, მანკიერი გადახრაა, მაგრამ მისგან სრულად გათავისუფლება და განკურნება შეიძლება"**.



## ლიტვაში უარი თქვეს სიტყვებზე «დედა» და «მამა»

**ევროკანონებმა, რომლებიც მიმართულია ოჯახის ნგრევისკენ, ლიტვამდეც მიაღწია. საბავშვო ბაღში შვილის რეგისტრაციისას ვილნიუსელებმა თავიანთი მონაცემები უნდა ჩაწერონ გრაფებში: „მშობელი I" და „მშობელი II".**

ვილნიუსის თვითმმართველობის ვებგვერდზე საბავშვო ბაღში შვილის რეგისტრაციის მსურველებმა თავიანთი მონაცემები უნდა ჩაწერონ არა გრაფებში „დედა" და „მამა", არამედ გრაფებში: „მშობელი I" და „მშობელი II", იუწყება ლიტვური ინტერნეტგამოცემა Delfi.lt.

ვილნიუსის თვითმმართველების წარმომადგენელმა, რომელიც კონსულტაციას უწევს საბავშვო ბლოგზე შვილის რეგისტრაციის მსურველებს, განაცხადა, რომ ბავშვის რეგისტრირებისთვის საკმარისია ერთ-ერთი მშობლის მონაცემებიც, რადგან არსებობენ მარტოხელა დედები და მამები, თუმცა ვერ ახსნა, ანკეტაში რატომ არ არის გრაფა „დედა".

ვილნიუსელთა, განსაკუთრებით ქალების უკმაყოფილება გამოწვეულია იმითაც, რომ ლიტვურად სიტყვა „მშობელი" იდენტურია სიტყვისა „მამა" (tevas).

ლიტვის მშობელთა ფორუმის წარმომადგენელთა აზრით, ეს სიახლე, რომლის დანერგვასაც ვილნიუსის თვითმმართველობა ცდილობს, შემთხვევითი არ არის.

„ეს სახიფათოა, რადგან ასეთი სიახლეების მიზანი საზოგადოების თვალსაზრისის შეცვლაა ტრადიციულ ოჯახზე. ჩვენთვის ოჯახი და ქორწინება ქალისა და მამაკაცის ერთობაა, სადაც იზრდებიან ბავშვები და არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენლები რატომ გვახვევენ თავს თავიანთ თვალსაზრისს?" ეს არის სხვა მსოფლმხედველობის ძალადობრივად თავსმოხვევა, რომელიც არღვევს ტრადიციული ორიენტაციის ადამიანების უფლებებსა და თავისუფლებებს. გამოდის, რომ დედას არ შეიძლება ვუწოდოთ დედა. მაშინ ბარემ პორნოგრაფია და ზოოფილიაც დავაკანონოთ!" განაცხადა ლიტვის მშობელთა ფორუმის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა **რონალდას იანჩიაუსკასმა.**

თუმცა არც ზოოფილიისა და პორნოგრაფიის დაკანონება შორეული პერსპექტივა. მაგალითად, როგორც გავლენიანი ნორვეგიული გაზეთი VG იუწყება, დანიელებს უკვე აქვთ ბორდელი ზოოფილებისთვის, სადაც 500-1000 კრონად შეიძლება ცხენის დაგირავება ინტიმური ურთიერთობისთვის. ამ ბორდელის ხშირი სტუმრები დანიელებთან ერთად არიან შვედები, ნორვეგიელები, ჰოლანდიელები და გერმანელებიც.

## შეშლილი ერეტიკოსები. კანადის ანგლიკანურმა ეკლესიამ პედერასტების ქორწინება დააკანონა

**კანადის ანგლიკანურმა ეკლესიამ თავდაპირველად უარი თქვა ერთნაირსქესიანთა ჯვრისწერაზე, მაგრამ შემდეგ მაინც დათანხმდა. ერთი და იმავე სქესის პირთა ჯვრისწერაზე უარის თქმის შესახებ კანადის ანგლიკანური ეკლესიის გენერალური სინოდის ჩატარებიდან მეორე დღეს მისმა მონაწილეებმა მაინც მიიღეს გადაწყვეტილება, ჯვარი დაწერონ ჰომოსექსუალ წყვილებს, იუწყება The Guaralian-ი.**

ამრიგად, ამ საკითხში ეკლესიური სამართალი ახლა სრულიად შეესაბამება სამოქალაქო კანონმდებლობას. კანადის ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 2005 წელს დააკანონა ერთნაირსქესიანთა ქორწინება.

მიუხედავად ამისა, ადგილობრივი მედიაგამოცემები წერენ, რომ კანადის ანგლიკანური ეკლესიის გავლენიანი სასულიერო პირები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებისას უმცირესობაში აღმოჩნდნენ და რომელთა მრევლის რაოდენობა დაახლოებით 1,6 მილიონია, ჰომოსექსუალების ჯვრისწერის დაკანონების წინააღმდეგნი არიან.



## გერმანიაში მოსწავლეებმა სექსუალური სცენები უნდა გაითამაშონ

**ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის რეგიონში (გერმანია) სასწავლო პროექტ „მრავალფეროვნების სკოლის" ფარგლებში ახალი ინიციატივის განხორციელებას აპირებენ, — იუწყება გერმანული გამოცემა Die Welt-ი.**

ბავშვებს მოუთხრობენ ჰომოსექსუალურ ურთიერთობებზე, ტრანსსექსუალებსა და არატრადიციული სექსის სახეობებზე. ამ საკითხებზე მასწავლებლებმა მასტერკლასები უნდა ჩაატარონ, ბავშვებმა კი თეატრალური წარმოდგენები დადგან.

სასწავლო პროგრამის ავტორები მოსწავლეებს სთავაზობენ, თვალსაჩინოებისთვის გამოიყენონ ფალოიმიტატორები და სხვა ე.წ. სექსსათამაშოები.




სასცენო სიუჟეტებისთვის კი რეკომენდებულია შემდეგი თემები: ორგაზმი, სადომაზოხიზმი, ანალური სექსი, ოთახი ონანიზმისთვის.

როგორც გამოცემა იუწყება, პროგრამის მიზანია, ბავშვებს გაუღვივდეთ პატივისცემა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენლების მიმართ.

## ნორმალური ოჯახის შვილები პედერასტების წყვილს გადასცეს აღსაზრდელად

**შვილები რუმინელების ოჯახისა, რომელიც ლონდონში ცხოვრობს, მშობლებს შორის წარმოქმნილი უთანხმოების გამო, ბრიტანულმა სასამართლომ ჰომოსექსუალ წყვილს გადასცა.**

ლონდონში მცხოვრები რუმინელი წყვილის **ფლორინ ბარბუსა** და **კლავდია რაკოლტას** შვილები 8 წლის **დიანა** და 5 წლის **ენდი** — ბრიტანეთის სასამართლომ ინგლისელ ჰომოსექსუალ წყვილს გადასცა სამეურვეოდ.



„ინგლისის ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება არღვევს ბავშვების უფლებებზე შეთანხმებას, რომელიც 1989 წლის 20 ნოემბერს მიიღო გაერომ და რატიფიცირებულია რუმინეთის მიერ 1990 წელს", ნათქვამია რუმინეთის საპატრიარქოს განცხადებაში.

რუმინეთის საპატრიარქომ ქვეყნის ხელისუფლებას მიმართა, მოსთხოვოს ინგლისის ხელისუფლებას, გადახედოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას და მიიღოს ისეთი, რომელიც დაიცავს არასრულწლოვანი ბავშვების ფუნდამენტურ უფლებას — აღიზარდონ ნორმალურ ოჯახში.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მიუხედავად იმისა, რომ გოლოვანოვი თავის აღნაგობითა და ზრდილობით გამორჩეული იყო გარშემო მყოფთაგან, მას არ უყვარდა ზედმეტი განმასხვავებელი ნიშნებით საზოგადოებისგან გამოყოფა, რის გამოც არც ერთ ორდენსა თუ მედალს არ ატარებდა და არც ჯილდოების მეორე პირები ჰქონდა გაკეთებული. რადგან პირველ ჩინ-მედლებს ხანგრძლივი შენახვის გამო ბრწყინვალება ჰქონდა დაკარგული, მოუწია, საგულდაგულოდ გაეპრიალებინა, რათა სტალინისგან შენიშვნა არ მიეღო „თავის მოწესრიგების საკითხში“.**

# სტალინი და მარშალი გოლოვანოვი

## «მზად ვარ, სიმართლისთვის დავიკისრო პასუხისმგებლობა!»

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №22-28 (251-257)

### ნაწილი VIII

**„1942 წლის აგვისტოში ფრონტიდან სასწრაფოდ მოსკოვში გამომიძახეს, რაც არაერთხელ მომხდარა, — იგონებს გოლოვანოვი. — მოსკოვში პირველად ჩემი არმიის შტაბში მივედი, რათა გავცნობოდი საომარ ვითარებას და მთავარსარდალთან მოუმზადებელი არ მისულიყავი. დოკუმენტებს ვეცნობოდი, რომ ტელეფონმა დარეკა. ყურმილში სტალინის ხმა გაისმა:**

— როგორ მიდის საქმე, რა მდგომარეობაშია მიმდინარე საომარი მოქმედებები ფრონტზე და რა ხდება შტაბში?

დაწვრილებით ავუხსენი, როგორც საშტაბო მუშაობის, ასევე საბრძოლო მოქმედების მიმდინარეობა“ (რაც უკეთესად თვითონ მთავარსარდალმა იცოდა — გრ. ონიანი).

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ სტალინმა უთხრა გოლოვანოვს:

— მოიწესრიგე თავი. გაიკეთე ყველა საბრძოლო ორდენი და მედალი, ერთი საათის შემდეგ იყავი ჩემთან!

ყურმილში წყვეტილი სიგნალი გაისმა.

„სტალინი დარეკავდა, მომესალმებოდა, ყოველგვარი შესავლის გარეშე საქმეზე გადავიდოდა და დავალებას მომცემდა. ამას ყველა შეჩვეული ვიყავით, მაგრამ, თავი წესრიგში მოიყვანე და ჩინ-მედლებით ჩემთან გამოცხადდიო, — პირველად მოვისმინე“.

მიუხედავად იმისა, რომ გოლოვანოვი თავის აღნაგობითა და ზრდილობით გამორჩეული იყო გარშემო მყოფთაგან, არ უყვარდა ზედმეტი განმასხვავებელი ნიშნებით საზოგადოებისგან გამოყოფა, რის გამოც არც ერთ ორდენსა თუ მედალს არ ატარებდა და არც ჯილდოების მეორე პირები ჰქონდა გაკეთებული. რადგან პირველ ჩინ-მედლებს ხანგრძლივი შენახვის გამო ბრწყინვალება ჰქონდა დაკარგული, მოუწია, საგულდაგულოდ გაეპრიალებინა, რათა სტალინისგან შენიშვნა არ მიეღო „თავის მოწესრიგების საკითხში“.

„დანიშნულ დროს პოსკრებიშევთან გამოვცხადდი, მან კი გეორგიევსკის დარბაზის პირველ სართულზე მდებარე ოთახზე მიმითითა, სადაც არასოდეს ვყოფილვარ.

კარი რომ შევაღე, იქ იყვნენ: ვოროშილოვი, მოლოტოვი, შჩერბაკოვი და კიდევ ორი კაცი.

მალევე მეორე კარიდან სტალინი გამოჩნდა თანმხლები პირებით, ერთი — განსაკუთრებული დიდი ტანით და დიდი თავით. ვიცანი ინგლისის პრემიერმინისტრი **უინსტონ ჩერჩილი**, რომელსაც ახლდა დიდი ბრიტანეთის საიმპერატორო გენერალური შტაბის უფროსი **ალან ბრუკი**.

სტალინმა ჩერჩილს ყველა დამსწრე წარუდგინა და ბოლოს, როდესაც გვარი გოლოვანოვი ახსენა, ჩერჩილი ახლოს მოვიდა და დაბეჯითებით დამიწყო თვალიერება. მისი გამომეტყველება აშკარა გაკვირვებას გამოხატავდა, როგორ შეიძლებოდა ასეთ ახალგაზრდას ასეთი დიდი პასუხისმგებლობა დამკისრებოდა. მე ხომ იქ მყოფთა შორის ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი. ჩერჩილს ხელი ბოლოს სწორედ მე ჩამოვართვი.

ურთიერთგაცნობის შემდეგ სტალინმა ყველა ერთად მიგვიპატიჟა სუფრასთან. მაგიდას უსხდა სულ 10 თუ 12 კაცი. მაგიდა დიდი არ იყო, მაგრამ სრულიად საკმარისი იყო იმ 10-12 კაცისათვის. მე **კლიმენტ ვოროშილოვის** მოპირდაპირე მხარეს მოვხვდი. თეფშის გვერდით არყის ბოთლი იდგა, რომელშიც მოჩანდა წითელი წიწაკა, როგორც ვოროშილოვი განმარტავდა, კუჭის წამალი. ვოროშილოვის მარჯვნივ **ბრუკი** იჯდა, შემდეგ — ჩერჩილი, ჩერჩილის გვერდით — სტალინი. მის გვერდით მოლოტოვი და შემდეგ სხვები.

სტალინმა ჩერჩილს ჭიქაში ღვინო დაუსხა და სადღეგრძელო შესვა მოკავშირეებზე. სადღეგრძელო უკლებლივ ყველამ შესვა.

ვოროშილოვმა არყის ბოთლი გახსნა და არცთუ პატარა სასმისები პირამდე გაავსო. ერთი მათგანი ბრუკს მიაწოდა:

— გთხოვთ, შესვათ დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სადღეგრძელო. ჩვენი წესის თანახმად, ასეთი სადღეგრძელო ბოლომდე ისმევა, რა თქმა უნდა, თუ მეორე მხარე ამის სურვილს გამოთქვამს. ვოროშილოვმა არაყი ბოლომდე გადაჰკრა.

მე დაკვირვებით ვუყურებდი სტუმარს, რას მოიმოქმედებდა. სასმისი მანაც გაბედულად აიღო ხელში, მაგრამ პირთან მიტანილი სასმისიდან არყის მძაფრი სუნის გამო, ეტყობოდა, დალევის სურვილი გაუქრა. მაგრამ სამხედრო ყველგან სამხედროა და მანაც სასმისი პირშივე ამოაყირავა და არაყი უცბად გადაჰკრა. ვუყურებდი, როგორი გაჭირვებით გადადიოდა ბრუკის ყელში სითხე და როგორ ღვრიდა ცხარე ცრემლს დალევის შემდეგ.

მეორე ჭიქის დალევაზე ბრუკმა ვოროშილოვს კატეგორიული უარი განუცხადა.

ამ მომენტში ინგლისის პრემიერმინისტრს, რომელსაც დიდად არ ეპიტნავებოდა მსუბუქი სასმელები, უკვე ხელში აღებული ჰქონდა კონიაკის ბოთლი და სტალინის სასმისს ავსებდა. სტალინმაც იმავე კონიაკის ბოთლით შეავსო ჩერჩილის სასმისი. სადღეგრძელოები ისმებოდა ერთი მეორეზე. სტალინი და ჩერჩილი კონიაკს ზუსტად რიგრიგობით სვამდნენ — ერთ სადღეგრძელოს სტალინი ამბობდა, მეორეს — ჩერჩილი.

ჩერჩილმა უშველებელი სიგარა ამოიღო და ნელ-ნელა მოუკიდა. აშკარად ჩანდა, ეს ჩერჩილისათვის სპეციალურად დამზადებული სიგარა იყო. სტალინმა კი თავისი ჩიბუხი გააწყო და გამონაბოლქვი თეთრი ღრუბლით იფარებოდა სტალინისა და ჩერჩილის სახეები. მაგიდის ყველა წევრი სტალინისა და ჩერჩილის ორთაბრძოლას ადევნებდა თვალს“.

**ჩერჩილი, — იგონებს გოლოვანოვი, — ცნობილი იყო, როგორც მაგარი**



**ჩერჩილმა უშველებელი სიგარა ამოიღო და ნელ-ნელა მოუკიდა. აშკარად ჩანდა, ეს ჩერჩილისთვის სპეციალურად დამზადებული სიგარა იყო. სტალინმა კი თავისი ჩიბუხი გააწყო და გამონაბოლქვი თეთრი ღრუბლით იფარებოდა სტალინისა და ჩერჩილის სახეები. მაგიდის ყველა წევრი სტალინისა და ჩერჩილის ორთაბრძოლას ადევნებდა თვალს**

**სასმელების მოყვარული და დიდი რაოდენობით მსმელი, რაც არავის და არასდროს სმენია სტალინზე. ძალიან განვიცდიდით, რით დამთავრდებოდა მათი პაექრობა. თვალის მოუშორებლად ვაკვირდებოდი როგორც ერთს, ისე მეორეს.**

ალკოჰოლმა თავისი გაიტანა და საუბარიც აჩქარდა, ამის მიუხედავად, ყველა სიტყვას შესანიშნავად თარგმნიდა თარჯიმანი **პავლოვი**. მაგრამ იმ ღამეს დავრწმუნდი, რომ პავლოვის გარეშეც სტალინს კარგად ესმოდა ბრიტანეთის პრემიერმინისტრის ნათქვამი და პასუხსაც სცემდა.

თარჯიმან პავლოვს ხელში ეჭირა რვეული, რომელშიც უნდა გაეკეთებინა სტენოგრამა, მაგრამ საეჭვო იყო, მოასწრებდა თუ არა ის ამ საქმეს, როდესაც მდგომარეობა არაორდინარული იყო.

**ჩერჩილი შეუზღუდავად გადმოსცემდა თავის თვალსაზრისს, ამის გადაფარვას კი ბრუკი სხვადასხვა ხერხით — სიცილით ან ხმამაღალი საუბრით ცდილობდა, მაგრამ ჩერჩილის საქციელს ვერაფერი გადაფარავდა. ის აშკარად მთვრალი იყო.**

სადღეგრძელოები გრძელდებოდა. ჩერჩილს თვალები ეხუჭებოდა. ჩანდა, რომ უკვე აღარ შეეძლო საუბრის გაგრძელება. სტალინი კი, თითქოს არაფერი დაულევიაო, მშვიდად იღიმოდა. სუფრა დასასრულისკენ მიდიოდა. საუბარი მეტი იყო, ვიდრე სმა. ყველაზე მეტს ჩერჩილი ლაპარაკობდა. ბოლოს წამოდგნენ, ჩერჩილს სასწრაფოდ ეახლნენ და ოთახიდან ხელით გაიყვანეს. სხვებმაც დატოვეს ოთახი. მე კი ვიდექი და სტალინს შევყურებდი. სტალინი იმასაც აკვირდებოდა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ყოველთვის ყურადღებას ვაქცევდი. ბოლოს ნელი ნაბიჯით მომიახლოვდა. მშვიდი, კეთილი ხმით მითხრა:

— ნუ გეშინია, რუსეთს არ დავათრობ. ჩერჩილი კი, ალბათ, ბევრს ინანებს, როდესაც ეტყვიან, რაც აქ ილაყბა, — ცოტა ხანს ჩაფიქრდა და განაგრძო:

— როდესაც დიდ სახელმწიფო საქმეს აკეთებ, ნებისმიერი სასმელი წყლად მოგეჩვენება, თუ ეს გათვითცნობიერებული გაქვს და სათანადო სიმაღლეზე დგახარ. ნახვამდის! — სტალინი დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

ამ შეხვედრიდან დიდი ხანი არ იყო გასული, რომ უდიდესი საჰაერო თავდასხმა მოვაწყვეთ დანციგზე კენიგსბერგის რაიონში. ესკადრილია მოხვდა საშინელ ჭექა-ქუხილში, რომელმაც აიძულა ეკიპაჟი, დაბომბვა ეწარმოებინა სარეზერვო სამიზნეებზე. ავიაციამ უზარმაზარი ზარალი მიაყენა ფაშისტებს, მაგრამ ჭექა-ქუხილისგან ჩვენც დავზარალდით. 10 ეკიპაჟი ვერ დაბრუნდა აეროდრომზე. მომხდარს საშინლად განვიცდიდი, — იგონებს გოლოვანოვი.

გვიან ღამით, როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე, სტალინმა დარეკა:

— როგორ მიდის საქმე, როგორ ჩაიარა დაბომბვამ?

ავუხსენი, რომ კენიგსბერგის რაიონში ესკადრილია ჭექა-ქუხილის ზონაში მოხვდა, რის გამოც მოგვიწია სარეზერვო სამიზნეების დაბომბვა.

— ეს როგორ, მეტეოსამსახურმა არ მოგცათ ცნობა ჭექა-ქუხილის შესახებ?

— დიახ, ამხანაგო სტალინ, მეტეოსადგურებმა გაგვაფრთხილეს ჭექა- ქუხილის შესახებ.

— აბა, ამ შემთხვევაში ვინ მისცა თვითმფრინავებს გაფრენის უფლება? ამისათვის ვიღაცამ უნდა დაიკისროს პასუხისმგებლობა.

— თვითმფრინავებს აფრენის განკარგულება მე მივეცი და მე დავუშვი შეცდომა, ამ შემთხვევაში დამნაშავე სხვა არავინ არის.

ჩამოვარდა ხანგრძლივი დუმილი.

— და თქვენ ხშირად იძლევით ასეთ განკარგულებებს, როდესაც მეტეოსადგურები გეუბნებიან, რომ ჭექა-ქუხილის საშიშროებაა?

— ამხანაგო სტალინ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ 10 შემთხვევიდან 8-ჯერ ვარღვევ გაფრთხილებას.

— მითხარით, რამდენი ეკიპაჟი არ დაბრუნდა აეროდრომზე?

— 10 ეკიპაჟი, ამხანაგო სტალინ.

— გჯერათ, რომ ისინი დაბრუნდებიან თავიანთ აეროდრომებზე?

— არა, მე ამის იმედი არ მაქვს.

— ეს სერიოზული საქმეა და ამაზე უნდა ვიმსჯელოთ. სტალინმა მოულოდნელად შეწყვიტა საუბარი და ყურმილში წყვეტილი სიგნალი გაისმა.

დღის განმავლობაში მივიღეთ ცნობა, რომ 5 ეკიპაჟი სხვა აეროდრომზე დაფრინდა. გულში ცოტა იმედი ჩამესახა. გავიდა რამდენიმე საათი და მაცნობეს, რომ კიდევ 3 ეკიპაჟი დაბრუნდა აეროდრომებზე. სტალინთან დავრეკე და მოვახსენე ვითარების შესახებ“.

**შენიშვნა:**

**როგორც მკითხველისთვის არის ცნობილი, სტალინის პირველი სახელმწიფო სამსახური თბილისის** ▶

# როცა სუვოროვის თაყვანისმცემლები, კერძოდ, მარშალი კონევი, უპირატესობას სუვოროვს ანიჭებდა, სტალინი კუტუზოვის უბადლო ნიჭსა და მხედართმთავრულ გენიას ასაბუთებდა, ხოლო თუ ვინმე გულშემატკივრობას კუტუზოვისადმი უფრო მეტად გამოიჩენდა, მაშინ სუვოროვის უდიდეს როლსა და მნიშვნელობაზე საუბრობდა.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სადღეგრძელოები გრძელდებოდა. ჩერჩილს თვალები ეხუჭებოდა. ჩანდა, რომ უკვე აღარ შეეძლო საუბრის გაგრძელება. სტალინი კი, თითქოს არაფერი დაულევიაო, მშვიდად იღიმოდა. სუფრა დასასრულისკენ მიდიოდა. საუბარი მეტი იყო, ვიდრე სმა. ყველაზე მეტს ჩერჩილი ლაპარაკობდა. ბოლოს წამოდგნენ, მაგრამ ჩერჩილს სასწრაფოდ ეახლნენ და ოთახიდან ხელით გაიყვანეს. სხვებმაც დატოვეს ოთახი. მე კი ვიდექი და სტალინს შევყურებდი. სტალინი იმასაც აკვირდებოდა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ყოველთვის ყურადღებას ვაქცევდი. ბოლოს ნელი ნაბიჯით მომიახლოვდა. მშვიდი, კეთილი ხმით მითხრა: — ნუ გეშინია, რუსეთს არ დავათრობ. ჩერჩილი კი, ალბათ, ბევრს ინანებს, როდესაც ეტყვიან, რაც აქ ილაყბა**



**მეტეოროლოგიური სამსახურის თანამშრომლობა იყო, ამიტომ, როგორც ყველა სამსახურს, ამ დარგსაც და მის მნიშვნელობასაც კარგად იცნობდა. იმხანად საბჭოთა კავშირში გავრცელებული იყო შემდეგი ანეკდოტი:**

**სტალინმა სინოპტიკოსები გამოიძახა და ჰკითხა, თუ რამდენი პროცენტია საიმედოობა მათ მიერ გაკეთებული ამინდის პროგნოზისა.**

**უპასუხეს, რომ ჩვენი პროგნოზის 40% სწორია, 60% კი — არასწორიო. ამბობდნენ, სტალინმა უპასუხა, — ეს მონაცემები უკუღმა გამოაცხადეთ და 60% სწორი გამოგივათ, 40 % კი — არასწორიო.**

გოლოვანოვმაც კარგად იცოდა, არა მხოლოდ მოარული ანეკდოტის შინაარსი, არამედ გამოცდილებაც ჰკარნახობდა, ინტუიციით განესაზღვრა თავისი ავიაციის ბედი.

„მითხარით, ამხანაგო გოლოვანოვ, რა დასკვნები გააკეთეთ თქვენ მოქმედებაზე ამ შემთხვევის შემდეგ?

— მე, ამხანაგო სტალინ, კატეგორიულად გავაფრთხილე ჩვენი მფრინავები, არ შევიდნენ ჭექა-ქუხილის ზონაში, რომ დაუშვებლად ჩათვალონ რისკზე წასვლა. ვუბრძანე, რომ ასეთ შემთხვევაში დაბომბვა განახორციელონ სათადარიგო სამიზნეებზე, რომლებიც მონიშნული აქვთ სტრატეგიულ რუკებზე.

— და გგონიათ, რომ ეს განკარგულება საკმარისი იქნება თქვენი მფრინავებისთვის?

— დიახ, ამხანაგო სტალინ. ჩვენს არმიაში მფრინავები სანიმუშო წესრიგის ადამიანები არიან.

— და ფიქრობთ, რომ კვლავ განაგრძოთ თქვენი არმიის საბრძოლო მოქმედებები, როგორც აქამდე — სინოპტიკოსებთან შეთანხმების გარეშე?

— დიახ, ამხანაგო სტალინ“.

სტალინმა კავშირი მყისვე გათიშა. მან უამრავი მამაცი და გაბედული ადამიანი გამოიყვანა ციხიდან და სარდლად თუ მინისტრად დანიშნა, ამიტომ ძალზე ემძიმებოდა ისეთი გაბედული და საზრიანი სარდლის მოცილება, როგორიც იყო გოლოვანოვი, მაგრამ მისი ასეთი უტიფრობა, უშიშრობა და მიზნის მისაღწევად რისკზე წასვლა სტალინისთვის მიუღებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ შორსმოქმედი საავიაციო დივიზია პირადად მის განკარგულებაში იყო, გადაწყვიტა, გოლოვანოვისთვის მუხრუჭი გაეკეთებინა, არა ინიციატივისა და გაბედულების შესაზღუდად, არამედ ხიფათის შესამცირებლად და შორსმოქმედი ავიაცია მეტეოსამსახურის მთავარ სამმართველოსთვის დაექვემდებარებინა, რათა მეტეოსამსახურის უფროსს გოლოვანოვისთვის თავგანწირვის საშუალება არ მიეცა.

გოლოვანოვმა სტალინს განუმარტა, რომ მეტეოსამსახურების ბრძანებით და მათი პროგნოზით რომ ეფრინა და ემუშავა, სამსახურეობრივი მოვალეობა 10 %-ითაც არ ექნებოდა შესრულებული, რომ დღეს ომია და ომს სხვა მეტეოსამსახური და სხვა ადამიანები სჭირდება, რომ შორსმოქმედი საავიაციო არმია მზადაა, თავი შესწიროს სამშობლოს ინტერესებს და ამის შეფერხება არაპატრიოტული და არასახელმწიფოებრივი მიდგომა იქნება.

გოლოვანოვის რაინდულ მოქმედებას მხარი მარშალმა **ვასილევსკიმაც** დაუჭირა და სტალინის შევარდენი კვლავ უშიშრად დაჰქროდა ევროპის ცაზე, სადაც მან და მისმა გმირმა მფრინავებმა უამრავი ოქროს ვარსკვლავი მოსწყვიტეს თავისუფლებისმოყვარე საბჭოთა კავშირისთვის.

პარტიზანულმა მოძრაობამ უდიდესი როლი შეასრულა მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერელთა დამარცხების საქმეში.

„პარტიზანული მოძრაობის ლიდერი **ვასილ ელიუტინი**, რომელიც ერთ-ერთ დიდ პარტიზანულ შენაერთს ხელმძღვანელობდა ბრიანსკის ტყეებში, სტალინის კაბინეტში გავიცანი. გაცნობიდან დიდი ხანი არ იყო გასული, რომ კლიმენტ ვოროშილოვმა მთხოვა, 2 თვითმფრინავი მარილი გამეგზავნა ელიუტინისთვის ბრიანსკში, რადგან იქ პარტიზანებს შორის ცინგა ყოფილა გაჩენილი. დავალება იმავე ღამეს შევასრულე და, სიმართლე უნდა ითქვას, ამისათვის დიდი მნიშვნელობა არ მიმიქცევია. ცოტა ხნის შემდეგ მთავარსარდალს მოვახსენე ფრონტზე შექმნილ მდგომარეობაზე. მასპინძელი კმაყოფილი დარჩა. ველოდებოდი მისგან ახალ დავალებას, მაგრამ ის თითქოს არ ჩქარობდა.

— სხვა ფრენები არ გაგიხორციელებიათ? — მშვიდად იკითხა სტალინმა.

— არა, ამხანაგო სტალინ.

— ხომ არაფერი დაგავიწყდათ?

უმალ გადავხედე ახლო პერიოდში ჩემ ნამოქმედარს, მაგრამ არაფერი გამახსენდა.

— არა, ამხანაგო სტალინ, არაფერი დამვიწყებია.

— კი მაგრამ, ელიუტინთან შენ არ გაფრინდი?

— დიახ, ამხანაგო სტალინ, ელიუტინთან 2 „დუგლასი“ გაფრინდა, იქ მარილი ჩავიტანეთ. მის პარტიზანულ გაერთიანებაში მებრძოლებს ცინგა გაუჩნდათ. ვოროშილოვმა დამავალა და მისი დავალება აუცილებელ შესასრულებლად ჩავთვალე.

— ამის შესახებ რატომ არაფერი მითხარით? ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ ყველაფერს მომახსენებდით, რის გაკეთებასაც დაგავალებდნენ?

— ვიფიქრე, რომ ეს წვრილმანი საქმე იყო და თქვენი შეწუხება საჭიროდ არ ჩავთვალე, ამხანაგო სტალინ.

— ომის დროს წვრილმანი საკითხი არ არსებობს. ვფიქრობ, თქვენ საუკეთესო მეხსიერება გაქვთ და არ შეიძლება, ასეთი რაღაცები გავიწყდებოდეთ. თქვენთან პრეტენზია არ მაქვს, რადგან პარტიზანებში ასეთი რამ გაჩნდა და უნდა დახმარებოდით მათ, და კარგად მოიქეცით, რომ დაეხმარეთ, მაგრამ ეს უნდა ვიცოდე თქვენგან და არა სხვისგან, ამხანაგო გოლოვანოვ! შეიძლება, გთხოვონ რაღაც, მაგრამ მისი შესრულება ჩვენი თვალსაზრისით მიუღებელი იყოს.

მთავარსარდალმა ცოტა გაიარა წითელ ხალიჩაზე და განაგრძო:

— ვთქვათ და, პარტიზანულმა გაერთიანებამ მოგთხოვათ მათი სურსათით მომარაგება რეგულარულად — ეს სამართლიანი იქნება?

არ ვიცოდი, საით მიჰყავდა საუბარი და გაჩუმებული ვიყავი.

— უნდა გითხრათ, ამხანაგო გოლოვანოვ, რომ პარტიზანული შენაერთი არის მტრის ზურგში და შეიარაღებულია საბრძოლო მასალებით, ის არ არის რეგულარული არმიის ქვედანაყოფი. და თუ შეიარაღებული შენაერთი მტრის ზურგში ვერ პოულობს იმდენ საშუალებას, რომ თავი ირჩინოს, მაშინ ჩვენ არ გვინდა ასეთი პარტიზანული რაზმები. პარტიზანულმა რაზმებმა ხელში უნდა ჩაიგდონ მტრის საწყობები — როგორც სურსათის, ასევე იარაღისა და აქედან არ უნდა ვუგზავნოთ მათ საჭმელ-სასმელი.

მათი სურსათით მომარაგება შესაძლებელია მაშინ, როდესაც პარტიზანული შენაერთი მოქცეულია ალყაში და მოსახლეობას არ აქვს არათუ პარტიზანების, არამედ თავის გამოკვების საშუალებაც კი. აი, ასეთ შემთხვევაში უნდა დავეხმაროთ არა მხოლოდ სურსათით, არამედ ავიაციითაც. დავბომბოთ მოწინააღმდეგეთა პოზიციები და დავეხმაროთ როგორც მოსახლეობას, ისე პარტიზანებს.

ახლა მივხვდი, რომ სტალინს მხოლოდ ის აინტერესებდა, რატომ არ ვუთხარი მას ელიუტინისთვის მარილის გაგზავნის ამბავი.

— ამხანაგო სტალინ, ჩემთვის არავის უბრძანებია პარტიზანებისთვის სურსათის მიწოდება.

— ამაში ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ გაფრთხილებ, რომ გაიაზრო, თუ რა ამოცანების წინაშე დგახარ და დგას ჩვენი პარტიზანული მოძრაობა. როდესაც თქვენს საქმიანობაზე მოხსენებას გააკეთებთ, ცალკე გამოყავით პარტიზანებისთვის გაწეული დახმარებაც.

ამით დასრულდა ჩვენი საუბარი და მისგან ძალიან ბევრი დასკვნა გამოვიტანე.

**1943 წლის ზაფხულში სტალინი უკვე ის სტალინი აღარ იყო, რომელიც 1941 წლის 7 ნოემბერს წითელ მოედანზე, ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე იდგა და, ამასთანავე, საბჭოთა კავშირის ყოფნა-არყოფნაც სასწორზე იდო. სტალინს უკვე დიდი ომები ჰქონდა გადახდილი:**

მოსკოვი, სტალინგრადი, კურსკი. სტალინი უკვე დიდი რუსი მხედართმთავარი იყო. სწორედ იმ პერიოდში სტალინის კრემლის სამუშაო კაბინეტში ზეთში შესრულებული სუვოროვისა და კუტუზოვის უზარმაზარი პორტრეტები დაკიდეს. რატომ უფრო ადრე ან რატომ უფრო გვიან არა? სტალინმა სწორედ 1943 წელი ჩათვალა გერმანიის დამარცხების წლად და სწორედ მაშინ აკადრა დიდ რუს მხედართმთავრებს კიდევ ერთი რუსი მხედართმთავრის კაბინეტში მათი შემობრძანება.

მნახველები ფიქრობდნენ, რატომ მაინცდამაინც სუვოროვი და კუტუზოვი და სხვა არანაკლები რუსი მხედართმთავრები არა?

სტალინმა იცოდა, რასაც აკეთებდა.

მთავარსარდლის კაბინეტში ბევრი მსჯელობდა, რომელი იყო უფრო დიდი მხედართმთავარი — სუვოროვი თუ კუტუზოვი.

როცა სუვოროვის თაყვანისმცემლები, კერძოდ, მარშალი **კონევი**, უპირატესობას სუვოროვს ანიჭებდა, სტალინი კურტუზოვის უბადლო ნიჭსა და მხედართმთავრულ გენიას ასაბუთებდა, ხოლო თუ ვინმე გულშემატკივრობას კუტუზოვისადმი უფრო მეტად გამოიჩენდა, მაშინ სუვოროვის უდიდეს როლსა და მნიშვნელობაზე საუბრობდა.

მოდარაჯე თვალი დარწმუნდებოდა, რომ სტალინს თვითონაც არ ჰქონდა ჩამოყალიბებული აზრი იმის შესახებ, რომელი რუსი მხედართმთავარი სჯობდა.

**ერთხელ, როდესაც ფართო მსჯელობა ჰქონდათ სუვოროვისა და კუტუზოვის საბრძოლო და ადამიანურ თვისებებზე, ყველასგან მოულოდნელად სტალინმა განაცხადა:**

— სიამოვნებით შევაერთებდი ვასილევსკისა და ჟუკოვის ადამიანურ და მხედრულ თვისებებს და შემდეგ შუაზე გავყოფდი მათ.

ცოტა ხანს გაიარ-გამოიარა წითელ ხალიჩაზე და ყველა დარწმუნდა, რომ ვასილევსკიში სტალინი ჟუკოვს ხედავდა, ხოლო ჟუკოვში — ვასილევსკის. ისე, როგორც სუვოროვში — კუტუზოვს, ხოლო კუტუზოვში — სუვოროვს.

1943 წელს გადაწყვიტა სტალინმა წითელი არმიისთვის ფორმისა და სამხრეების შეცვლა.

ერთხელაც გენერალიტეტი კრემლის სადემონსტრაციო დარბაზში მიიწვიეს, სადაც ზურგის სახალხო კომისრის — **ანდრეი ხრულიოვის** მიერ გამოფენილი იყო წითელი არმიის ახალი სამხედრო ფორმის ნიმუშები. სტალინი ექსპონატებს შორის დადიოდა. ზოგ ნიმუშს იწონებდა, ზოგსაც — იწუნებდა. ბოლოს შეჩერდა და ხრულიოვს მიმართა:

— თქვენ აქ არ გაქვთ წარმოდგენილი რუსული არმიის ფორმა, რომელსაც ატარებდა ჩვეულებრივი რუსი ოფიცერი?

რუსი ოფიცრის ფორმა აღმოჩნდა, მაგრამ სადღაც კუთხეში, მოფარებულში, სტალინს რომ არ დაენახა. და როდესაც ეს ფორმა აჩვენეს, აღმოჩნდა, რომ ის არაჩვეულებრივი, უბრალო, ლამაზი, მოხდენილი მუნდირი იყო — სამხრეებითა და ჩექმებით საყოველდღეო პერანგით („გიმნასტიორკა“), აგრეთვე სააღლუმო, ოქროსფერი ძაფით მორთული. როდესაც სტალინმა მოისურვა, მოეთხროთ ამ ფორმის შესახებ, რამდენი ხანს ყალიბდებოდა და რა შესწორებები შეჰქონდათ მასში, უპასუხეს, რომ რუსეთის არმიის სამხედრო ფორმის სრულყოფა მიმდინარეობდა მრავალი წლის განმავლობაში. ისიც მოახსენეს, რომ მუნდირზე ოდესღაც ექვსი ღილი იყო მიკერებული, მაგრამ, როგორც გაირკვა, უფრო მოხერხებული გამოდგა ხუთღილიანი მუნდირი, უფრო იოლი შესაკრავ- გასახსნელი და ბოლო შესწორება მხოლოდ ეს იყო რუსულ ფორმაშიო.

— ესე იგი, რუსული არმიის ფორმის სრულყოფა მიმდინარეობდა მისი არსებობის მთელი ხნის განმავლობაში?

— დიახ, — იყო პასუხი.

— სხვა ფორმები, რომლებიც აქ არის წარმოდგენილი რაღაა? — იკითხა სტალინმა.

— აქ წარმოდგენილი სამხედრო ფორმები ახალშექმნილი მოდელებია, — იყო პასუხი.

— რატომ ვეძებთ გამოუცდელ და უცხო სამხედრო ფორმას, როდესაც გვაქვს შემოწმებული, ლამაზი და მოხერხებული სამხედრო ფორმა? — ჩაილაპარაკა სტალინმა.

ასე ჩამოყალიბდა და შეიქმნა ძლევამოსილი რუსული არმიის უკვე გამოცდილი და შემოწმებული სამხედრო ფორმა, რომელმაც დიდებით გამოიარა დიდი სამამულო ომი და ომის შემდგომი პერიოდი 1991 წლამდე.

**დასასრული შემდეგ ნომერში**

**შენიშვნა: წინა ნომრის მასალაში მოყვანილი ფრაზა —„ავიაკატასტროფები კიდევ ბევრი იქნება, რადგან პირადად თქვენ გვავალებთ, ვიფრინოთ კუბოებით“ — ეკუთვნის არა გენერალ ჟიგარევს, არამედ გენერალ რიჩაგოვს.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ადამიანმა, რომელიც რამდენიმე თვეში შეიძლება აშშ-ის პრეზიდენტის სავარძელი დაიკავოს, ორ კვირაში არა მხოლოდ ეჭვქვეშ დააყენა ნატოს საჭიროება და ამით უარყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებული თვალსაზრისი ევროპის უსაფრთხოების საკითხებზე, არამედ გააცამტვერა აქამდეც ლეღვის ფოთლად მიჩნეული რუსეთისგან დაცვის გარანტია, რომელიც აშშ-მა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და მოსკოვის ექსმოკავშირეებს მისცა.**




### ანგელა მერკელი:

# მიგრანტებმა ის ქვეყნები, რომლებმაც შეიფარეს, სასაცილოდ აიგდეს

**გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა აღიარა, რომ ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკიდან წამოსულმა მიგრანტებმა, რომლებიც ევროკავშირში ტერაქტების მოსაწყობად ჩავიდნენ, ქვეყნები, რომლებმაც მათ თავშესაფარი მისცეს, სასაცილოდ აიგდეს.**

ამ განცხადების მიუხედავად, ანგელა მერკელი არ აპირებს, უარი თქვას თავის პოლიტიკაზე, რომელსაც ბევრმა ექსპერტმა ევროპისთვის დამღუპველი უწოდა. კანცლერმა ეს გადაწყვეტილება ახსნა იმით, რომ ბრძოლა საჭიროა არა მიგრანტებთან, არამედ მასობრივი მიგრაციის პრობლემებთან, ამიტომ გერმანია თავისი პრინციპების ერთგული რჩება და შეიფარებს ყველას, ვინც ამას იმსახურებს.



# აშშ იძულებულია, ოკინავას სამხედრო ბაზა დატოვოს

**აშშ-ის ხელისუფლება მზად არის, შეასრულოს იაპონიის მოსახლეობის მოთხოვნა და დატოვოს კუნძულ ოკინავაზე დაკავებული ტერიტორია, რომელსაც სამხედრო ბაზისთვის იყენებდა.**

სააგენტო „როიტერის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აშშ დათანხმდა, გაათავისუფლოს კუნძულ ოკინავას ჩრდილოეთში, ჯუნგლებში მდებარე 40 კვ.კმ ტერიტორია, რომელსაც ადრე საწვრთნელ პოლიგონად იყენებდა.

ოკინავა იაპონიის ტერიტორიის 1%-ია, მაგრამ იქ თავმოყრილია ამერიკული არმიის უამრავი ობიექტი. ამჟამად




ოკინავაზე თითქმის 26 ათასი ამერიკელი ცხოვრობს ოჯახებთან ერთად, კუნძულის განიარაღების საბაბი არის იაპონელთა ფართომასშტაბიანი გამოსვლები ამერიკელი სამხედროების წინააღმდეგ.

უკვე 70 წელიწადია, ამერიკელები ამ კუნძულზე არიან და უამრავი დანაშაული ჩაიდინეს. იაპონელთა განცხადებით, ამერიკელი სამხედროების მიერ ჩადენილმა დანაშაულებმა მათ შორის, მკვლელობისა და გაუპატიურების შემთხვევებმა, 4700-ს გადააჭარბა.

შეგახსენებთ: იაპონიის მინისტრთა კაბინეტის გენერალურმა მდივანმა **ესიჰიდე სუგამ** ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ ტოკიოს განზრახული აქვს, გადახედოს ამერიკელი სამხედროების სტატუსს იაპონიაში.

# ტრამპის ყირიმული გამბიტი: ყირიმი – რუსეთს, ნატო – ისტორიის აჩრდილი

**ამერიკული გამოცემა The Atlantic-ის აზრით, აშშ-ის პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევა რუსეთის მეზობელ ბევრ ქვეყანას შეაშფოთებს.**




აშშ-ის პრეზიდენტობის რესპუბლიკელმა კანდიდატმა ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში დაუშვა რუსეთის მიერ ყირიმის, ოდესღაც უკრაინის ტერიტორიის, ანექსიის აღიარება.

გასულ კვირაში ტრამპის მიმართვა რუსეთისადმი, გამოაქვეყნოს ჰილარი კლინტონის ელექტრონული წერილები, ბევრმა გააკრიტიკა, მაგრამ ტრამპის კომენტარი ყირიმის საკითხზე და განცხადება ნატოს პრობლემურობაზე გაცილებით მეტ მნიშვნელობას შეიძენს, თუკი მას პრეზიდენტად აირჩევენ. ტრამპის განცხადებას, რომ, თუ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვებს, ყირიმი შეიძლება რუსეთის ტერიტორიად აღიაროს, მოწონებით შეხვდნენ რუსეთში.

მაგრამ ტრამპის სიტყვებმა შეიძლება შიში და ნერვიულობა გამოიწვიოს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში.

**ადამიანმა, რომელიც რამდენიმე თვეში შეიძლება აშშ-ის პრეზიდენტის სავარძელი დაიკავოს, ორ კვირაში არა მხოლოდ ეჭვქვეშ დააყენა ნატოს საჭიროება და ამით უარყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებული თვალსაზრისი ევროპის უსაფრთხოების საკითხებზე, არამედ გააცამტვერა აქამდეც ლეღვის ფოთლად მიჩნეული რუსეთისგან დაცვის გარანტია, რომელიც აშშ-მა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და მოსკოვის ექსმოკავშირეებს მისცა.**

ყირიმის ანექსიის წლისთავზე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა: „ჩვენ არ გვიღიარებია და არც ვაღიარებთ რუსეთის მხრიდან ანექსიის მცდელობას და მოვუწოდებთ რუსეთის პრეზიდენტ პუტინს, ბოლო მოუღოს ყირიმის ოკუპაციას“. პრეზიდენტის პოსტის დაკავების შემდეგ კი ტრამპი ამ პოლიტიკას შეცვლის და ამ შემთხვევაში ანერვიულდება არა მხოლოდ უკრაინა, არამედ საქართველო, პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნებიც. ბევრ მათგანს არცთუ დიდი ხნის წინათ ნატოს მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, მაგრამ გასულ კვირაში ტრამპმა ამ ქვეყნებისთვის სამხედრო დახმარება მათი მხრიდან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინაშე ფინანსური ვალდებულებების შესრულების მიხედვით განსაზღვრა. აშკარაა გადახვევა ევროპის უსაფრთხოების პოლიტიკიდან, რომელსაც მხარს უჭერდა აშშ-ის პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი 1947 წლიდან — ნატოს შექმნის პერიოდიდან.

**The Atlantic**

# «შენ ვინ ხარ?» — თურქეთმა ამერიკელი გენერალი ამბოხებულთა მხარდაჭერაში დაადანაშაულა

**გადატრიალების მცდელობის შემდეგ თურქი სამხედროების დაპატიმრების შესახებ აშშ-ის შეიარაღებული ძალების ცენტრალური სარდლობის მეთაურის, გენერალ ჯოუეფ ვოტელის განცხადება პრეზიდენტმა ერდოღანმა გააკრიტიკა და ამერიკელი გენერალი ამბოხებულების მხარდაჭერაში დაადანაშაულა.**



„მსოფლიო ხედავს, რომ ჩვენ დემოკრატიის სადარაჯოზე ვდგავართ, მაგრამ ზოგიერთი განიცდის, რომ ვიღაც-ვიღაცები გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ. ერთი გენერალი, მნიშვნელოვანი ამერიკული უწყებიდან, ამბობს, რომ ციხეში სვამენ სამხედროებს, რომლებთანაც მას კონტაქტი ჰქონდა. ეს შენი საქმე არ არის, შენ ვინ ხარ?“ — განაცხადა ერდოღანმა.

მისი თქმით, ვოტელი მადლიერი უნდა იყოს თურქეთის ხელისუფლებისა იმის გამო, რომ ამბოხება აღკვეთა და შეთქმულთა მხარეს არ უნდა დადგეს, თანაც იმყოფება იმ ქვეყანაში, რომელშიც არის მთავარი ამბოხებული“, — ერდოღანმა მიანიშნა სასულიერო პირ ფეთჰულაჰ გიულენზე, რომელიც აშშ-ში ცხოვრობს.

**რამდენიმე დღის წინათ თურქულმა მედიასაშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ გადატრიალების მცდელობის უკან იდგა ავღანეთში ნატოს ჯარების სარდალი ჯონ კემპბელი. სწორედ მას მიიჩნევენ თურქი გამომძიებლები წარუმატებლად დასრულებული სამხედრო გადატრიალების სულისჩამდგმელად.**

თურქული გამოცემა Yeni Safar-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „კემპბელმა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დახმარებით 2 მილიარდი დოლარის ფინანსური გარიგება განახორციელა ნიგერიის UBA NANK-ის გავლით. ეს თანხა მოხმარდა ამბოხების მომხრეებს“. გაზეთი წერს, რომ „თურქეთში ნიგერიიდან გადაირიცხა მილიონობით დოლარი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელთა ჯგუფისთვის, ფული კი გამოიყენეს ამბოხებულთა მხარეზე გენერალიტეტის გადასაბირებლად“.

**რამდენიმე დღის წინათ თურქულმა მედიასაშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ გადატრიალების მცდელობის უკან იდგა ავღანეთში ნატოს ჯარების სარდალი ჯონ კემპბელი. სწორედ მას მიიჩნევენ თურქი გამომძიებლები წარუმატებლად დასრულებული სამხედრო გადატრიალების სულისჩამდგმელად**

**რუსეთი, რომელიც უბრუნდება თავის რელიგიურ და ნაციონალურ მემკვიდრეობას, არ დაიცავს დასავლეთის მიერ თავსმოხვეულ ახალ სტანდარტებს. აქვს კი რუსეთს საფუძველი და შესაძლებლობა, წინ აღუდგეს იმპორტს იდეოლოგიისა, რომლის მიზანიც ერის სულიერი განადგურებაა? რა თქმა უნდა, კი!**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ამერიკული გამოცემა The American Thinker-ი წერს მიზეზებზე, რომლებმაც რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის გაცივება გამოიწვია.

# ახალი ცივი ომი – ტრადიციონალიზმისა და ანტიქრისტიანიზმის შეჯახება

20 ივნისს ტელეარხ „სი-ენ-ენის“ გადაცემაში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კონტრდაზვერვის ყოფილმა ხელმძღვანელმა ჩამოაყალიბა პოსტულატები, რომლებიც საფუძვლად ედო საბჭოთა კავშირისა და დასავლური დემოკრატიის დაპირისპირებას: **„ჩვენ ვიყავით მორწმუნენი, ისინი კი ათეისტები. სსრკ-ში იყო ავტორიტარიზმი, ჩვენთან კი დემოკრატია“.**

რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** ცოტა ხნის წინათ გამოთქვა იმედი, რომ დასავლეთსა და რუსეთს შორის ახალი ცივი ომი არ იქნება. პუტინმა განაცხადა, რომ **დასავლური დემოკრატია და რუსეთი ბევრ საკითხში კვლავინდებურად შორს არის ერთმანეთისგან და, მიუხედავად ბერლინის კედლის დანგრევისა, ანტაგონისტურადაა განწყობილი.**

ეკონომიკური სანქციებისა და ნატოს გაფართოების გარდა, არის სხვა ფაქტორებიც, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ცივი ომის განახლება. რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირებაში მთავარ როლს ასრულებს იდეოლოგიური ცვლილებები, რომლებიც დაიწყო ამერიკაში ობამას ადმინისტრაციის პერიოდში, ხოლო რუსეთში ხელისუფლების სათავეში პუტინის მოსვლის შემდეგ.

რუსეთში შეინიშნება სულიერების გამოღვიძება, პოზიციებს იბრუნებს ძველი რუსული მართლმადიდებელი ეკლესია და ქრისტიანული ფასეულობები, ობამას ადმინისტრაცია კი საზოგადოებრიობას თავს ახვევს ანტიქრისტიანულ იდეოლოგიას, რომელიც უკიდურესი აგრესიულობით გამოირჩევა ქრისტიანული თემისა და მისი ფასეულობების მიმართ.

მოკლედ, 1970 წლიდან როლები შეიცვალა. მაგალითად, უარს ამბობს, რა ცნება „ადამიანის“, როგორც ღმერთის ქმნილების, გაგებაზე, ობამას ადმინისტრაცია მხარს უჭერს ტრანსგენდერთა მოძრაობას.

ტრანსგენდერიზმი კი „თანასწორობის“ ისეთ რედუქციონისტულ (რედუქციონიზმი დაბრუნება) კონცეფციას ავითარებს, რომ საფრთხეს უქმნის დასავლური ცივილიზაციის საფუძვლებს.

**პრეზიდენტი ობამა მხარს უჭერს ტრანსგენდერთა მოძრაობას. და განა შეიძლება რუსეთის დაახლოება დასავლეთთან, როდესაც დასავლური დემოკრატიის ლიდერებს ასეთი რადიკალურად განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ? განა უნდა გვქონდეს აშშ-სა და რუსეთს შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენის იმედი, როდესაც თეთრი სახლის ამჟამინდელი ადმინისტრაცია, და სრულიად შესაძლებელია, ჰილარი კლინტონის მომავალი ადმინისტრაციაც, მიისწრაფვის უტოპიური „მსოფლიოს წესრიგისა და ნებისმიერი ქრისტიანული კანონისა და წესრიგის ამოძირკვისკენ“?**

**პრეზიდენტი ობამა მხარს უჭერს ტრანსგენდერთა მოძრაობას. და განა შეიძლება რუსეთის დაახლოება დასავლეთთან, როდესაც დასავლური დემოკრატიის ლიდერებს ასეთი რადიკალურად განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ? განა უნდა გვქონდეს აშშ-სა და რუსეთს შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენის იმედი, როდესაც თეთრი სახლის ამჟამინდელი ადმინისტრაცია, და სრულიად შესაძლებელია, ჰილარი კლინტონის მომავალი ადმინისტრაციაც, მიისწრაფვის უტოპიური «მსოფლიოს წესრიგისა და ნებისმიერი ქრისტიანული კანონისა და წესრიგის ამოძირკვისკენ»?**




**რუსეთში შეინიშნება სულიერების გამოღვიძება, პოზიციებს იბრუნებს ძველი რუსული მართლმადიდებელი ეკლესია და ქრისტიანული ფასეულობები, ობამას ადმინისტრაცია კი საზოგადოებრიობას თავს ახვევს ანტიქრისტიანულ იდეოლოგიას, რომელიც უკიდურესი აგრესიულობით გამოირჩევა ქრისტიანული თემისა და მისი ფასეულობების მიმართ**

ამ რადიკალური იდეოლოგიური ცვლილებების ფონზე გასაკვირი არ არის საუბრები ახალ ცივ ომზე, რადგან რუსეთი, რომელიც უბრუნდება თავის რელიგიურ და ნაციონალურ მემკვიდრეობას, არ დაიცავს დასავლეთის მიერ თავსმოხვეულ ახალ სტანდარტებს. აქვს კი რუსეთს საფუძველი და შესაძლებლობა, წინ აღუდგეს იმპორტს იდეოლოგიისა, რომლის მიზანიც ერის სულიერი განადგურებაა? რა თქმა უნდა, კი!

**The American Thinker**





# «ანსბახსა და ვიურცბურგში ტერორისტებს ახლო აღმოსავლეთიდან ხელმძღვანელობდნენ»

**„ბავარიის (გერმანია) შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადების თანახმად, ბავარიაში მოწყობილი ორი ტერორისტული აქტის შემსრულებლები მითითებებს იღებდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ და რა გაეკეთებინათ“, — იუწყება „დოიჩე ველე“.**

ანსბახში სირიელი ლტოლვილის მიერ მოწყობილ აფეთქებებსა და ვიურცბურგთან მატარებლის მგზავრებზე ნაჯახითა და დანით შეიარაღებული ახალგაზრდა ავღანელის თავდასხმის შემდეგ ძლიერდება ეჭვი, რომ ორივე დანაშაულს ისლამისტური სარჩული აქვს. გამოძიების მიერ მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, თავდამსხმელი ბოროტმოქმედების ჩადენამდე ინსტრუქციებს იღებდა ახლო აღმოსავლეთიდან.




ბავარიის შს მინისტრმა იოახიმ ჰერმანმა განაცხადა, რომ დამნაშავეები ინტერნეტის მეშვეობით იღებდნენ კონკრეტულ მითითებებს, რა უნდა გაკეთებინათ. პოლიციელებს ჯერჯერობით არ აქვთ მონაცემები იმ პირებზე, რომლებიც ინტერნეტით ესაუბრებოდნენ ახალგაზრდა მუსლიმებს.

# ახალგაზრდა, რომელმაც მიუნხენის სავაჭრო ცენტრში 9 ადამიანი მოკლა, ჰიტლერისა და ბრეივიკის თაყვანისმცემელი იყო

**ჭაბუკი, რომელმაც მიუნხენის სავაჭრო ცენტრში სროლა ატეხა, ამაყობდა იმით, რომ ადოლფ ჰიტლერის დაბადების დღეს დაიბადა, სძულდა თურქები და არაბები და თავს ჭეშმარიტ არიელად მიიჩნევდა, — წერს „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგი“.**

18 წლის **დევიდ ალი ს.**, რომელმაც მიუნხენის სავაჭრო ცენტრ „ოლიმპიაში“ 9 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს, შემდეგ კი თავი მოიკლა, მემარჯვენე ექსტრემისტული იდეების დამცველი და ადოლფ ჰიტლერისა და ანდერს ბრეივიკის თაყვანისმცემელი იყო.

როგორც ახალგაზრდის ახლობლები ამბობენ, ის ამაყობდა, რომ 20 აპრილს დაიბადა — ჰიტლერის დაბადების დღეს. დევიდ ალი ს.-ს სძულდა თურქები და არაბები, საკუთარ თავს მათზე მაღლა აყენებდა, მიაჩნდა, რომ, რადგან ირანელი იყო, მის ძარღვებში ჭეშმარიტი არიელის სისხლი ჩქეფდა.

ამჟამად სამართალდამცველები იძიებენ, მიზანმიმართულად ესროდა თუ არა ბოროტმოქმედი სამხრეთული გარეგნობის ადამიანებს. მან 9 ადამიანი მოკლა და 27 დაჭრა. დაღუპულთა შორის 3 თურქია, ერთი — ბერძენი და 3 — კოსოვოელი ალბანელი.

## მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ დავიპყრობთ თქვენს რომს, ჩვენ დავამსხვრევთ თქვენს ჯვრებს და მონებად გავიხდით თქვენს ცოლებს“, — ნათქვამია „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ოფიციალური წარმომადგენლის — მოჰამედ ალ-ადნანის განცხადებაში, რომელშიც ის პირდაპირ ამბობს, რომ მოვა დრო და ჯიჰადისტები ვატიკანსაც დაიპყრობენ.**

# «ისლამურ სახელმწიფოს» სურს რელიგიური ომი და ოცნებობს, თავისი დროშა რომის თავზე აღმართოს

**„მსოფლიოში მართლა მიმდინარეობს ომი, მაგრამ ეს არ არის რელიგიების ომი“, — განაცხადა რომის პაპმა კრაკოვში (პოლონეთი) ვიზიტისას. მართალია, რომის პაპს მიაჩნია, რომ მსოფლიოში ომი მიმდინარეობს და მას რელიგიური ხასიათი არ აქვს, მაგრამ XXI საუკუნის ყველაზე მძლავრმა ტერორისტულმა მოძრაობამ ეს მოსაზრება საფრანგეთში ეკლესიაზე დემონსტრაციული თავდასხმით გააცამტვერა და დაადასტურა, რომ, სახელდობრ, რელიგიური ომი სურს.**




**სტრატეგია ტერორისტებისა, რომელთა მზერაც მიპყრობილია კათოლიკური ეკლესიის გულზე — ვატიკანზე, გადმოცემული იყო 2014 წლის შემოდგომაზე ინგლისურ ენაზე დაბეჭდილ ჟურნალ DABIQ-ში. ეს ჟურნალი «ისლამურ სახელმწიფოს» ეკუთვნის. გამოცემის გარეკანზე მსხვილი შრიფტით იყო აწყობილი სათაური — «ჩაფლავებული ჯვაროსნული ლაშქრობა», მის ქვეშ კი მოთავსებული იყო ფოტომონტაჟი — წმინდა პეტრეს მოედანზე აფრიალებული ისლამისტების დროშა**

დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“, რომელმაც თავის საკუთრებად აღიარა სირიისა და ერაყის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიები, ბოლო ორი წელიწადია, მუქარას მუქარაზე უგზავნის საერთოდ ქრისტიანობას და, კერძოდ, კათოლიკურ ეკლესიას. „ისლამური სახელმწიფოს“ ხელმძღვანელობის აზრით, რომი — ეს არის ეპიცენტრი ყველა უბედურებისა, რომელიც კი თავს დაატყდა ისლამს მუჰამედის მიერ დაარსებული იმპერიის დაცემის დღიდან.

**ალ-ბაღდადის** ჯიჰადისტებმა გადააკეთეს ყურანის იდეები, რომლებიც სხვა რელიგიებს ეხება. მათი აზრით, ქრისტიანები ეკუთვნიან კატეგორიას იმ ადამიანებისა, რომლებისთვისაც არის სამი გზა: გაქცევა, ისლამის მიღება და მორჩილება (რომელიც, სხვა რაღაცებთან ერთად, სახალიფოსთვის გადასახადის გადახდასაც ითვალისწინებს). თუმცა ეს თეზისი ბევრ გამონაკლისსაც ითვალისწინებს. ვასალურმა დამოკიდებულებამ, რომელშიც ისედაც ცხოვრობენ პაკისტანელი ქრისტიანები, ისინი ვერ იხსნა ტერორისტების ხელით დაღუპვისგან მიმდინარე წლის მარტში. ლაჰორში თავდასხმის მოწყობამდე „ბოევიკებმა“ სისხლიანი კალო დაატრიალეს იემენში — მოხუცთა თავშესაფარში: დახოცეს დედა ტერეზა კალკუტელის ორდენის მონაზვნები. ყურანში არსებული გამონათქვამები ქრისტიანობის მიმართ, სულ ცოტა, ამბივალენტურია (ორსახოვანი): მექაში დაწერილი სურები მოუწოდებს მუსლიმანთა და ქრისტიანთა შორის ძმობისკენ, მედინაში დაწერილი კი — ომისკენ.

„ისლამური სახელმწიფო“ ისევე, როგორც ადრე „ალ ქაიდა“ და სალაფიტების სხვა შეიარაღებული დაჯგუფებები, აღფრთოვანებით ემხრობიან მედინაში დაწერილი სურების შინაარსს.

**სტრატეგია ტერორისტებისა, რომელთა მზერაც მიპყრობილია კათოლიკური ეკლესიის გულზე — ვატიკანზე, გადმოცემული იყო 2014 წლის შემოდგომაზე ინგლისურ ენაზე დაბეჭდილ ჟურნალ DABIQ-ში.**

**ეს ჟურნალი „ისლამურ სახელმწიფოს“ ეკუთვნის. გამოცემის გარეკანზე მსხვილი შრიფტით იყო აწყობილი სათაური — „ჩაფლავებული ჯვაროსნული ლაშქრობა“, მის ქვეშ კი მოთავსებული იყო ფოტომონტაჟი — წმინდა პეტრეს მოედანზე აფრიალებული ისლამისტების დროშა.**

„წინასწარმეტყველის ენაზე რომი ნიშნავს ევროპის ყველა ქრისტიანსა და მათ კოლონიებს სირიაში“, — წერია სტატიაში, რომელიც განგაშს ტეხს მათ მიერ დაპყრობილი ტერიტორიების გასათავისუფლებლად ამერიკელების, ბრიტანელების, ფრანგების, ავსტრიელებისა და გერმანელების მიერ კოალიციის შექმნის გამო. ამ ეროვნებების ჯარისკაცები ჯიჰადისტების რიტორიკაში შუასაუკუნეების ჯვრისწერის რეინკარნაციასთან იყო გაიგივებული.

„მსოფლიო ომის მდგომარეობაშია იმიტომ, რომ მან დაკარგა მშვიდობა“, მაგრამ ეს „არ არის რელიგიების ომი“, — განაცხადა კრაკოვში მიმავალმა რომის პაპმა ფრანცისკემ თვითმფრინავში. მას მხედველობაში ჰქონდა ნორმანდიაში ეკლესიაზე თავდასხმა.

პაპის პოზიცია მკვეთრად განსხვავებულია „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციისგან, რომელიც ინტერნეტში გამოქვეყნებულ სტატიებში მის მიერ წარმოებულ ომს „ქრისტიანების ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის“ წინააღმდეგ მიმართულ კონტრშეტევას უწოდებს. **„ჩვენ დავიპყრობთ თქვენს რომს, ჩვენ დავამსხვრევთ თქვენს ჯვრებს და მონებად გავიხდით თქვენს ცოლებს“,** — ნათქვამია „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ოფიციალური წარმომადგენლის — **მოჰამედ ალ-ადნანის** განცხადებაში, რომელშიც ის პირდაპირ ამბობს, რომ მოვა დრო და ჯიჰადისტები ვატიკანსაც დაიპყრობენ.

რატომ აქამდე არ ესხმოდნენ თავს ჯიჰადისტები სასულიერო პირებსა და ტაძრებს ევროპაში, ეს მიზანი მათ ხომ სახალიფოს დაარსებისთანავე დაისახეს — 2014 წლიდან?

ტერორისტებმა თავიანთი „ძალისხმევა“ თავდაპირველად ახლო აღმოსავლეთისკენ მიმართეს, რათა გაეფართოებინათ თავიანთი ახალგამომცხვარი „ისლამური სახელმწიფოს“ ტერიტორია, მაგრამ **2016 წლის დასაწყისში ბრძოლებში დამარცხებამ და შედეგად ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვამ აიძულა ისინი, ბრძოლის ახალ ფაზაზე გადასულიყვნენ, რომლის მიზანი დასავლეთში შიშის დათესვა და ევროპის ქვეყნებში „მარტოხელა მგლების“ მომრავლებაა.**

რელიგიის გამოყენება, შუასაუკუნეების ჯვაროსნული ლაშქრობებისა და რომის დასავლური ცივილიზაციის კვინტესენციად წარმოჩენა გულუბრყვილობად და სასაცილოდ მიაჩნია ბევრ ევროპელს, მაგრამ არა — მილიონობით მუსლიმანს, რომლებსაც ურთულეს პირობებში უწევთ ცხოვრება.

„ისლამიზმს აქვს ერთი მიმზიდველი შტრიხი, უცნობი ევროპელთათვის, რადგან ტერმინ „ისლამს“ განსაკუთრებული ჟღერადობა აქვს ბევრი არაბისთვის“, — ამბობს **მარუნ ლაჰამი,** იორდანიაში იერუსალიმის ლათინური საპატრიარქოს ვიკარიუსი. ბევრი რადიკალისთვის „ვატიკანი უფრო მძლავრი სიმბოლოა, ვიდრე ალ-ანდალური“, — შენიშნავს, თავის მხრივ, არაბისტი **სერაფინ ფანხული.**

ABC.ES (ესპანეთი)




Dans un communiqué en trois parties, le FLNC du 22-Octobre s'adresse aux musulmans de Corse, aux salafistes et extré-

## კორსიკელმა ნაციონალისტებმა «ისლამური სახელმწიფო» და საფრანგეთის მთავრობა გააფრთხილეს

**კორსიკელი ნაციონალისტების ჯგუფის — „22 ოქტომბრის კორსიკის განმათავისუფლებელი ეროვნული ფრონტის“ წევრებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც მოუწოდებენ „ისლამისტი ფანატიკოსების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისაკენ“ და ყველას არწმუნებენ, რომ კორსიკის ტერიტორიაზე ნებისმიერ შეტევას უმკაცრესი პასუხი მოჰყვება“.**

კორსიკის განმათავისუფლებელი ეროვნული ფრონტის წევრები ადრე თვითონ მიმართავდნენ ტერორის ტაქტიკას, მაგრამ ამა წლის მაისში დაყარეს იარაღი. ნაციონალისტებმა, აგრეთვე, გააფრთხილეს საფრანგეთის მთავრობა, რომ, თუ კორსიკაზე მოხდება მსგავსი რამ, რაც კონტინენტურ საფრანგეთზე მოხდა, პასუხისმგებლობა დაეკისრება მთავრობას, რადგან მან მშვენივრად იცის კორსიკაზე სალაფიტური მოძრაობის წარმომადგენლების არსებობის შესახებ.

კორკისელი ნაციონალისტების მიმართვის ტექსტი გაზეთ Corse Matin-ის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

## კატალონია ჯიუტად განაგრძობს ესპანეთიდან გამოყოფის პროცესს




**ესპანეთის მთავრობა აპირებს, საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანოს სარჩელი 27 ივლისს კატალონიის პარლამენტის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესის გაგრძელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გამო.**

27 ივლისს კატალონიის პარლამენტმა მხარი დაუჭირა დასკვნებს, რომლებიც გამოიტანა ესპანეთიდან ავტონომიის გამოყოფის შემსწავლელმა კომისიამ. ლაპარაკია დამოუკიდებლობის მოპოვების ვადაზე, აგრეთვე, „დემოკრატიული პროცედურის ცალმხრივ მექანიზმებზე“ რეფერენდუმის ჩატარებიდან ახალ კონსტიტუციამდე.

„ამ საკითხს მინისტრთა კაბინეტი განიხილავს და სასამართლოში სარჩელს შეიტანს. კატალონიის პარლამენტმა სხვების უფლება დაარღვია. მთავრობა დაიცავს სხვა ესპანელების უფლებას, გადაწყვიტონ, როგორი უნდა იყოს ქვეყანა. აქამდე ყველა სარჩელს, რომლებიც ესპანეთის მთავრობამ შეიტანა კატალონიის ხელისუფლების გადაწყვეტილებების გასაუქმებლად, საკონსტიტუციო სასამართლომ მხარი დაუჭირა“, — განაცხადა მთავრობის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელმა **სორაია საენს დე სანტამარიამ.**




დღეს ესპანეთის შემადგენლობიდან კატალონიის გამოსვლას მხარს უჭერს ამ ავტონომიურ ოლქში მცხოვრებთა 47%, წინააღმდეგია — 42%.

2015 წლის 9 ნოემბერს კატალონიის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია „რესპუბლიკური მმართველობის ფორმის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის პროცესის დაწყების შესახებ“.

კატალონიის მთავრობის მეთაურმა **კარლეს პუჩდემონმა** კი წარმოადგინა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის „საგზაო რუკა“, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი კანონების მიღებას, სახელმწიფო სტრუქტურების შექმნას და რეფერენდუმის გამართვას ახალი კონსტიტუციის დასამტკიცებლად.

**მასობრივ მკვლელობას ხშირად მოსდევს ანალოგიური დანაშაული. ამაზე მიუთითებს აშშ-ის სტატისტიკური მონაცემები, რომლებშიც ასეთი შემთხვევები იშვიათი არ არის. აშშ-ში მასობრივი მკვლელობა, როდესაც, სულ ცოტა, 4 ადამიანი იღუპება, ყოველ 12,5 დღეში ხდება. ხოლო ყოველ 32 დღეში ერთხელ მასობრივად ხოცავენ სკოლის მოსწავლეებს.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მიბაძვის ფენომენი, ანუ მასობრივი მკვლელობები ახალ დანაშაულებს იწვევს



**ანდერს ბრეივიკისა და მიუნხენელი ტერორისტის მსგავს მასობრივ მკვლელებს არც ისე ცოტა მიმბაძველი გამოუჩნდათ. მათ დანაშაულს ახალი დანაშაული მოსდევს და ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა, — ასეთია ექსპერტების თვალსაზრისი, რომელსაც „დოიჩე ველე“ ავრცელებს.**

ირანული წარმოშობის ტერორისტმა მიუნხენში ადამიანები 22 ივლისს დახოცა; ხუთი წლის წინათ ზუსტად ამ დღეს მემარჯვენე რადიკალმა ანდერს ბრეივიკმა ნორვეგიაში 77 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს და, გამორიცხული არ არის, რომ დევიდ ალი ს.-სთვის ბრეივიკი მისაბაძი იყო.

მასობრივ მკვლელობას ხშირად მოსდევს ანალოგიური დანაშაული. ამაზე მიუთითებს აშშ-ის სტატისტიკური მონაცემები, რომლებშიც ასეთი შემთხვევები იშვიათი არ არის. აშშ-ში მასობრივი მკვლელობა, როდესაც, სულ ცოტა, 4 ადამიანი იღუპება, ყოველ 12,5 დღეში ხდება, ხოლო ყოველ 32 დღეში ერთხელ მასობრივად ხოცავენ სკოლის მოსწავლეებს.

ამერიკელი მათემატიკოსი არიზონის უნივერსიტეტიდან — **შერი ტაუერსი** შეეცადა, გაერკვია, არსებობს თუ არა ამ დანაშაულებს შორის რაიმე ურთიერთკავშირი. ამისთვის მან 2005-2012 წლებში აშშ-ში მომხდარი მასობრივი მკვლელობების 438 შემთხვევა შეისწავლა.

## საბედისწერო ჯაჭვი

„ჩვენ გვაქვს მტკიცებულებები იმისა, რომ ოთხი და მეტი ადამიანის ცეცხლსასროლი იარაღით მომხდარი მკვლელობები პროვოცირებული იყო ადრე ჩადენილი ანალოგიური დანაშაულით“, — წერს შერი ტაუერსი. ყველაზე დიდი საფრთხე არსებობს დანაშაულის ჩადენიდან 30 დღის განმავლობაში. სწორედ ამ პერიოდში იზრდება დანაშაულის განმეორების რისკი 22%-ით.

ამასთანავე, **მკვლევარის აზრით, ჩადენილი მასობრივი მკვლელობები დიდად იყო დამოკიდებული იარაღის ხელმისაწვდომობაზე. აშშ-ში მოზარდების მკვლელობის საფრთხე 5-ჯერ მეტია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული 14 წლამდე მოზარდების 87% ამერიკელია.**



## სურათის ძალა

ამერიკელ ანთროპოლოგსა და სოციოლოგ **ლორენ კოულმანს** მიაჩნია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება. „ამიტომ, — ამბობს ის, — მასობრივი მკვლელობის გაშუქებისას ჟურნალისტები თითოეულ სიტყვას უნდა დაუკვირდნენ“. არ ღირს, მაგალითად, გამოყენება სიტყვებისა **„წარუმატებელი თვითმკვლელობა“** ან ისეთი იარლიყების მიწებება, როგორიცაა **„სანდომიანი მეზობელი ბიჭი“** ან **„მარტოხელა გიჟი“**, ხაზს უსვამს კოულმანი, რომელმაც წიგნი დაწერა მკვლელ-მიმბაძველებზე.

სურათის ძალაზე მიუთითებს სოციოლოგი **ზეინეპ თუფექჩიც** — პრინსტონის უნივერსიტეტის პედაგოგი. მისი აზრით, შეიარაღებული ტერორისტები თუ მასობრივი მკვლელები ქმნიდნენ ძალაუფლების შთაბეჭდილებას და ამით ხელს უწყობდნენ მათდამი მიბაძვის სურვილს, ამიტომ მასმედიამ განსაკუთრებული თავშეკავებულობა უნდა გამოიჩინოს ასეთ სურათებზე მუშაობისას, ისევე, როგორც დამნაშავის სახელის გამოქვეყნებისას. სახელის გასაჯაროება დამნაშავეს პოპულარობას მატებს და მიმბაძველებსაც ეს სურთ.

## დანაშაული კომპიუტერის მონიტორის წინ იწყება

დიდი ხანი არ არის, რაც გერმანიაში მასობრივი მკვლელობების პრობლემას იკვლევენ. ამ საკითხზე მუშაობა 2002 წლიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც ერფურტელმა მოსწავლემ **რობერტ შტაინჰოიზერმა** თავის გიმნაზიაში 16 მოზარდი მოკლა, შემდეგ კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. „მსგავსი დანაშაულის ჩადენის სურვილი ადამიანს, როგორც წესი, რამდენიმე თვის განმავლობაში უჩნდება, ამბობს კრიმინოლოგი **ბრიტა ბანენბერგი**, ის, უწინარესად, კომპიუტერის ეკრანის წინ ვითარდება, როდესაც მიმბაძველი იწყებს საკუთარი თავის იდენტიფიცირებას და ეძებს თავისი მომავალი დანაშაულის გამართლებას“. „და ის კვლავ და კვლავ კითხულობს სხვა დანაშაულების შესახებ, უყურებს დოკუმენტურ ფილმებს და ვიდეოჩანაწერებს.

თამაშობს „სროლებს“, რათა წარმოიდგინოს, თვითონ როგორ იმოქმედებს მწვავე სიტუაციაში“,— ამბობს ბანენბერგი და დასძენს, რომ ასეთ ადამიანებს სჭირდებათ მასმედია იმიტომ, რომ მათში არის ინფორმაცია ადრე ჩადენილ დანაშაულებზე.

Doutche Welle



# ამერიკელები გემს ჰომოსექსუალის სახელს დაარქმევენ

**აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ახალ ხომალდს ლგბტ-აქტივისტის — ჰარვი მილკის სახელს დაარქმევენ.**

ტანკერი ერთ-ერთია ხომალდების იმ სერიიდან, რომლებსაც ცნობილი უფლებადამცველების სახელები უნდა დაარქვან.

„ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გზავნილია მთელი მსოფლიოსთვის, როგორია ჩვენი ქვეყანა და რა ფასეულობებს ვაღიარებთ. როდესაც ჰარვი მილკი არმიაში მსახურობდა, არავისთვის შეეძლო გაემხილა, ვინ არის სინამდვილეში“, განაცხადა ამერიკელმა პოლიტიკოსმა **სტივ ვინერმა**, რომლის ინიციატივაცაა საზღვაო ხომალდისთვის მილკის სახელის დარქმევა.

ჰარვი მილკი პირველი ჰომოსექსუალია, რომელიც კალიფორნიის შტატში სახელმწიფო პოსტზე აირჩიეს. ახალგაზრდობაში ის აშშ-ის ფლოტში მსახურობდა და კორეის ომში მონაწილეობდა.



# რომის პაპი წაბორძიკდა

**რომის პაპი ფრანცისკე პოლონეთის ქალაქ ჩენსტოხოვაში მესის აღვლენისას წაბორძიკდა.** ვიდეოჩანაწერზე ჩანს, როდორ ეცემა რომის პაპი და მას წამოდგომაში სასულიერო პირები ეხმარებიან. ამის შემდეგ 79 წლის პონტიფიკოსი ფეხზე წამოდგა და განაგრძო მესა, რომელიც პოლონეთის გაქრისტიანებას 1050-ე წლისთავს ეძღვნებოდა.

ბოლო ხანს რომის პაპს საბედისწერო სიმბოლოები სდევნის. უკრაინაში ლოცვისას მის მიერ გაშვებულ მტრედებს თავს ყვავი დაესხა და დაგლიჯა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო უკრაინაში ომი.

ახლა პოლონეთში დაეცა და ეს იმ მომენტში, როდესაც ქვეყანაში ნატოს სამხედრო ტექნიკა და ჯარისკაცები უნდა გადაიყვანონ. თანაც ეს ხდება ამ ქვეყანაში რუსოფობიის გაძლიერების ფონზე.

# სირიაში მოკლეს «ბოევიკების» მეთაური, რომელმაც 12 წლის ბიჭს თავი მოჰკვეთა

**სირიის სამთავრობო ჯარებმა მოკლეს ტერორისტული დაჯგუფება „ნურედინ აზ-ზინკის“ ერთ-ერთი რაზმის მეთაური ომარ სალჰუ, რომელმაც ბავშვს თავი მოჰკვეთა.**



12 წლის ბიჭის სასტიკი მკვლელობის კადრები გასულ კვირაში გავრცელდა. ვიდეოზე ასახული იყო, როგორ მოჰკვეთეს თავი „ნურედინ აზ-ზინკის“ „ბოევიკებმა“ ბავშვს, რომელიც სირიის არმიის სასარგებლოდ ჯაშუშობაში დაადანაშაულეს.

აშშ-ის ხელისუფლება ორგანიზაციას, რომელმაც მოზარდს თავი მოჰკვეთა და ამ საშინელი აქტის ამსახველი ვიდეოკადრები გაავრცელა, ზომიერ ოპოზიციას უწოდებს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა **მარკ ტონერმა** „ნურედინ აზ-ზინკის“ „ბოევიკებს“ ამბოხებულები უწოდა და განაცხადა, რომ მათ ბიჭს თავი შეცდომით(?) მოაჭრეს.

# უკრაინელმა არტილერისტებმა წარმატებით დაბომბეს... თავიანთი პოზიციები. დაიღუპა 6 კაცი, დაიჭრა — 12

**„უკრაინის შეიარაღებული ძალების სამხედროებმა მიზნის კოორდინატების არასწორად გამოთვლის გამო შეცდომით დაბომბეს საკუთარი პოზიციები. დაიღუპა 6 მებრძოლი, დაიჭრა — 12“, განაცხადა ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის სახალხო პოლიციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, მაიორმა ანდრეი მაროჩკომ.**

უკრაინის შეიარაღებული ძალების 93-ე მექანიზებული ბრიგადის არტილერისტები, მიუხედავად დაბალი პროფესიონალიზმისა, მაინც განაგრძობენ სროლას. ამჯერად მათ საკუთარ პოზიციებს დაუშინეს ჭურვები, შედეგად დაიღუპა უკრაინის შეიარაღებული ძალების 59-ე ბრიგადის ბატალიონ „პოლესიეს“ 6 წევრი, 12 კი მძიმედ დაიჭრა.



მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მას შემდეგ, რაც დასავლეთმა შეძლო საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო სოციალისტური სისტემის განადგურება, მთავარ ამოცანად კანონიკური მართლმადიდებლობის მოსპობა გამოაცხადა.**


გიორგი კარპოვი

# «მართალი იცოცხლებს რწმენით»

## როგორ შეუწყო ხელი სტალინმა ათეისტური საბჭოთა კავშირის ქრისტიანი მრევლის მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში დაბრუნებას

**დღეს ქვეყნდება ერთი ისტორიული დოკუმენტი, რომელიც ამ საკითხთან არის დაკავშირებული. თავს უფლება მივეცი, რამდენიმე მოკლე კომენტარი ჩამერთო ამ საოქმო ხასიათის ჩანაწერში, რომელიც ასეა დასათაურებული:**
**გიორგი გრიგოლის ძე კარპოვის ჩანაწერი ი. ბ. სტალინის მიერ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქების მიღების შესახებ.**
**ცნობისთვის: გიორგი კარპოვი — საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე. დაამთავრა სასულიერო სემინარია, სწავლობდა პეტროგრადის უნივერსიტეტში, მუშაობდა მემანქანედ მექანიკურ ქარხანაში. 1918-1922 წლებში მსახურობდა წითელ ფლოტში. იყო უშიშროების გენერალ-მაიორი. აღნიშნული ჩანაწერის გაკეთების პერიოდისთვის პოლკოვნიკია.**


მღვდელმთავართა კრების მიერ 1943 წლის 8 სექტემბერს არჩეული წმინდა სინოდის წევრები (პირველ რიგში სხედან): მიტროპოლიტი ალექსი, მიტროპოლიტი სერგი, მიტროპოლიტი ნიკოლოზი

**04.09.43 წ.** გამომიძახეს ამხანაგ სტალინთან, სადაც დამისვეს შემდეგი შეკითხვები:

ა) რას წარმოადგენს, როგორც პიროვნება, მიტროპოლიტი სერგი (ასაკი, ფიზიკური მდგომარეობა, მისი ავტორიტეტი ეკლესიაში, მისი დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ),

ბ) მიტროპოლიტების — ალექსისა და ნიკოლოზის მოკლე დახასიათება,

გ) როდის და როგორ აირჩიეს პატრიარქი ტიხონი,

დ) რა კავშირი აქვს რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას საზღვარგარეთთან,

ე) ვინ არიან მსოფლიო, იერუსალიმისა და სხვა პატრიარქები,

ვ) რა ვიცი ბულგარეთის, იუგოსლავიის, რუმინეთის მართლმადიდებლური ეკლესიების ხელმძღვანელთა შესახებ,

ზ) როგორ მატერიალურ პირობებში ცხოვრობენ ამჟამად მიტროპოლიტები სერგი, ალექსი და ნიკოლოზი,

თ) მართლმადიდებლური ეკლესიების სამწყსოების რაოდენობა სსრკ-ში და ეპისკოპატების რაოდენობა.

მას შემდეგ, რაც ზემოთ დასახელებულ შეკითხვებს ვუპასუხე, სამი პირადი ხასიათის შეკითხვა დამისვეს:

ა) ვარ თუ არა რუსი,

ბ) რომელი წლიდან ვარ პარტიაში,

გ) რა განათლება მაქვს, რატომ ვარ გაცნობიერებული საეკლესიო საკითხებში,

**(სანამ ჩანაწერის თარგმანს გავაგრძელებ, მკითხველს ვთხოვ, ყურადღება მიაქციოს ერთ მომენტს, რომელიც აშკარად გამოიკვეთა: ანტისტალინელების მიერ გავრცელებული ბრალდების საწინააღმდეგოდ, თითქოს სტალინი აზრს არავის არასოდეს ეკითხებოდა და არც ითვალისწინებდა, ეს ისტორიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი (ჩანაწერი) კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბელადი განსახილველი საკითხების შესახებ კონსულტაციას პროფესიონალებთან გადიოდა, იმ ადამიანებთან, რომლებსაც უშუალოდ ეხებოდა ამ საკითხების (საქმის) განხორციელება, პრობლემების მოწესრიგება.**

**სხვათა აზრს კი არ უარყოფდა, არამედ საკუთარს შეაჯერებდა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოჰქონდა კორექტირებული (თუ საჭირო იყო) დასკვნები.**

**აი, ასეთი „დიქტატორი“ იყო სტალინი.**

**განვაგრძოთ. — ა.ს.).**

ამის შემდეგ ამხ. სტალინმა თქვა:

*— უნდა შევქმნათ სპეციალური ორგანო, რომელიც ეკლესიის ხელმძღვანელობასთან კავშირს განახორციელებს. რა წინადადებები გაქვთ?*

ვუპასუხე, რომ ამ საკითხზე ბოლომდე მზად არ ვარ, მაგრამ კარგი იქნებოდა, თუ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსთან შეიქმნებოდა კულტების საქმეთა განყოფილება. ჩემი წინადადება ემყარებოდა საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კულტების საქმეთა მუდმივმოქმედი კომისიის ფუნქციონირების ფაქტს.

ამხ. სტალინმა გამისწორა და მითხრა, რომ საჭირო არ არის საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოსთან კულტების საქმეთა კომისიის ან განყოფილების შექმნა, რადგან ლაპარაკია საკავშირო მთავრობასთან არსებულ სპეციალურ ორგანოზე. შეიძლება ვილაპარაკოთ ან კომიტეტის, ან საბჭოს შექმნაზე. მკითხა ჩემი მოსაზრება.

როცა ვუთხარი, რომ მიჭირს ამ საკითხზე პასუხის გაცემა, ამხ. სტალინი ოდნავ დაფიქრდა და თქვა:

**1) საჭიროა, მთავრობასთან, ე.ი., სახკომსაბჭოსთან შევქმნათ საბჭო, რომელსაც ვუწოდებთ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის საქმეთა საბჭოს;**

**2) საბჭოს დაეკისრება საკავშირო მთავრობასა და პატრიარქს შორის კავშირის განხორციელება;**

**3) საბჭო დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს არ მიიღებს, მოახსენებს მთავრობას და მისი მითითებებით იხელმძღვანელებს.**

ამის შემდეგ ამხ. სტალინი ეთათბირა ამხ. მალენკოვს, ბერიას, უნდა მიიღოს თუ არა მიტროპოლიტები სერგი, ალექსი, ნიკოლოზი, აგრეთვე, შემეკითხა, რას ვფიქრობ იმაზე, რომ მთავრობა მიიღებს მათ.

**(კვლავ — მოთათბირება, სხვათა აზრის მოსმენა და საჭიროების მიხედვით გათვალისწინება. — ა.ს.).**

სამივემ ვთქვით, რომ ეს დადებით ფაქტად მიგვაჩნია.

ამის შემდეგ აქვე, ამხ. სტალინის აგარაკზე, დამავალეს, დამერეკა მიტროპოლიტ სერგისთვის და მთავრობის სახელით გადამეცა შემდეგი: „გელაპარაკებათ სახკომსაბჭოს წარმომადგენელი. მთავრობას სურს, მიგიღოთ თქვენ, ასევე, მიტროპოლიტები ალექსი და ნიკოლოზი, მოისმინოს თქვენი საჭიროებანი და გადაწყვიტოს საკითხები, რომლებიც გაქვთ. მთავრობას შეუძლია მიგიღოთ დღესვე, ერთი საათის, საათნახევრის შემდეგ, ან თუ ეს დრო ხელს არ გაძლევთ, მიღება შეიძლება მოეწყოს ხვალ (კვირას) ან მომდევნო კვირის ნებისმიერ დღეს“.

**(სამამულო ომის ფრონტებზე ვითარება ურთულეს სტადიაშია შესული.**

**„ყველაფერი ფრონტისთვის, ყველაფერი გამარჯვებისთვის!“ ეს მოწოდება დროსაც გულისხმობს — ყოველი დღე, საათი, წუთი ომის პრობლემების გადაწყვეტაზე მუშაობს. ეს ეხება მთელ ქვეყანას, მაგრამ ყველაზე მეტად უმაღლესი მთავარსარდლის არაადამიანურად გადატვირთულ დღისა და ღამის სამუშაო რეჟიმს.**

**და სწორედ ასეთ ვითარებაში სტალინი მზად არის, შეხვდეს მღვდელმთავრებს მათთვის მისაღებ დროს. ეს კი, უწინარესად, მეტყველებს, რა დიდი პატივისცემა ჰქონდა ბელადს მათდამი და რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მართლმადიდებლური ეკლესიის განმტკიცებას ომის ურთულეს პერიოდში.**

**არა მგონია, რომ ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ პრაგმატული საჭიროებით იყო ნაკარნახევი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს შეხვედრაც და ყველაფერი, რაც ამ შეხვედრის დროს გადაწყდა და დაისახა, დასაწყისი იყო მართლმადიდებლობისკენ შემობრუნების, ერთგვარი გარდატეხა ათეისტური დოგმატის.**

**ჯერ ქვეტექსტის დონეზე. თუმცა ინფორმაცია ამ შეხვედრის შესახებ საბჭოთა მედიაში დაუყოვნებლივ გავრცელდა ოფიციალური შეტყობინებით.**

**ამაზე — ქვემოთ. — ა.ს.).**

აქვე, ამხ. სტალინის თანდასწრებით, დავურეკე სერგის, წარვუდექი, როგორც სახკომსაბჭოს წარმომადგენელი, გადავეცი ზემოთ აღნიშნული და ვთხოვე, მოთათბირებოდა მიტროპოლიტებს: ალექსისა და ნიკოლოზს, თუ ისინი იმ დროს მიტროპოლიტ სერგისთან იმყოფებოდნენ.

ამის შემდეგ **მოვახსენე ამხ. სტალინს, რომ მიტროპოლიტები სერგი, ალექსი და ნიკოლოზი მადლობას მოახსენებენ მთავრობის მხრიდან ასეთი ყურადღებისთვის და სურთ, ისინი მიიღონ დღეს.**

ორი საათის მოგვიანებით მიტროპოლიტები სერგი, ალექსი და ნიკოლოზი მიბრძანდნენ კრემლში, სადაც ამხ. სტალინმა ისინი საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში მიიღო. მიღებას ვესწრებოდით ამხ. მოლოტოვი და მე.

სტალინის საუბარი მიტროპოლიტებთან 1 საათსა და 55 წუთს გაგრძელდა.

ამხ. სტალინმა თქვა, რომ საკავშირო მთავრობამ იცის, რომ ომის დაწყების პირველივე დღეებიდან ისინი პატრიოტულ მუშაობას ეწევიან ეკლესიებში, რომ მთავრობამ ძალიან ბევრი წერილი მიიღო ფრონტიდან და ზურგიდან, რომლებშიც იწონე- ▶

**დეტალურად, აგურ-აგურ შეუდგა სტალინი სულიერების იმ მატერიალური ტაძრის აღდგენას, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებდა ადამიანების სიმტკიცესა და რწმენას, რომელიც ესოდენ საჭირო იყო გამარჯვებისთვის, უპირველეს ყოვლისა, სამამულო ომში, შემდეგ — ომით დანგრეული ქვეყნის აღსადგენად და წარმატებული წინსვლისთვის, საერთოდ**

## შიშის კონტინენტი: ევროპაში ტერორისტებმა ორი წლის განმავლობაში 443 ადამიანი მოკლეს

**დასავლელმა ჟურნალისტებმა დათვალეს, რომ 2014 წლიდან დღემდე ისლამისტებმა 18 ტერორისტული აქტი მოაწყვეს ევროპაში.**

გაზეთმა Daily Maail-მა საგანგაშო სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა ევროპაში ტერორისტთა ხელით დაღუპულთა შესახებ.

2014 წლიდან დღემდე ევროპაში, რომელსაც ჟურნალისტებმა „შიშის კონტინენტი“ უწოდეს, ისლამისტებმა 443 ადამიანი მოკლეს. ამ ხნის განმავლობაში ჯიჰადისტებმა სულ 18 შეტევა განახორციელეს და, თუ 2014 წელს მხოლოდ 4 ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს, 2015-ში მსხვერპლის რაოდენობა 267 იყო, მიმდინარე წლის მხოლოდ პირველ ნახევარში კი — 172.

აღნიშნულ პერიოდში ყველაზე სისხლისმღვრელი ტერაქტები მოაწყვეს პარიზში, ანკარასა და ნიცაში. პარიზში მსხვერპლის რაოდენობა 155 ადამიანი იყო, ანკარაში — 102, ნიცაში — 84.



მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

Приём тов. И. В. Сталиным Митрополита Сергия, Митрополита Алексия и Митрополита Николая

[illegible]

„ყველაფერი ფრონტისთვის, ყველაფერი გამარჯვებისთვის!“ — ეს მოწოდება დროსაც გულისხმობს — ყოველი დღე, საათი, წუთი ომის პრობლემების გადაწყვეტაზე მუშაობს. ეს ეხება მთელ ქვეყანას, მაგრამ ყველაზე მეტად უმაღლესი მთავარსარდლის არაადამიანურად გადატვირთულ დღისა და ღამის სამუშაო რეჟიმს. და სწორედ ასეთ ვითარებაში სტალინი მზად არის, შეხვდეს მღვდელმთავრებს მათთვის მისაღებ დროს.

◀ ბენ ეკლესიის მიერ სახელმწიფოს მიმართ დაკავებულ პოზიციას.

**ამხ. სტალინმა მოკლედ აღნიშნა ომის დროს ეკლესიის პატრიოტული საქმიანობის დადებითი მნიშვნელობა და სთხოვა მიტროპოლიტებს სერგის, ალექსისა და ნიკოლოზს, ესაუბრათ პატრიარქატსა და პირადად მათ წინაშე მდგარ მომწიფებულ, მაგრამ გადაუჭრელ საკითხებზე.**

**მიტროპოლიტმა სერგიმ ამხ. სტალინს უთხრა, რომ ყველაზე მთავარი და ყველაზე უფრო მომწიფებული საკითხი არის ეკლესიის ცენტრალური ხელმძღვანელობის საკითხი, რადგან (იგი) 18 წელიწადია, პატრიარქის ადგილმონაცვლეა, ფიქრობს, რომ საეჭვოა, სადმე კიდევ არსებობდეს ასეთი ხანგრძლივი სიძნელენი, რომ სინოდი საბჭოთა კავშირში არ არსებობს 1935 წლიდან, და ამიტომ სასურველად მიაჩნია, მთავრობამ ნება დართოს, მოიწვიონ მღვდელმთავართა კრება (არქიერების სობორო), რომელიც აირჩევს პატრიარქსაც, აგრეთვე, შექმნის ორგანოს 5-6 მღვდელმთავრის შემადგენლობით.**

მიტროპოლიტებმა ალექსიმ და ნიკოლოზმა, აგრეთვე, გამოთქვეს მოსაზრება სინოდის შექმნის თაობაზე და ეს წინადადება დაასაბუთეს იმით, რომ იგი იქნება ყველაზე უფრო სასურველი და მისაღები ფორმა. განაცხადეს ასევე, რომ პატრიარქის არჩევა მღვდელმთავართა კრებაზე მიაჩნიათ სავსებით კანონიკურად, რადგან 18 წლის განმავლობაში ეკლესიას ფაქტობრივად და უცვლელად განაგებს პატრიარქის ადგილმონაცვლე მიტროპოლიტი სერგი.

ამხ. სტალინმა მოიწონა მიტროპოლიტ სერგის წინადადებები და იკითხა:

*ა) რა დაერქმევა პატრიარქს,*

*ბ) როდის შეიძლება შეიკრიბოს მღვდელმთავართა კრება,*

*გ) სჭირდებათ თუ არა რაიმე დახმარება კრების წარმატებით ჩასატარებლად (არის თუ არა შენობა, სჭირდებათ თუ არა ტრანსპორტი, სჭირდებათ თუ არა ფული და ა.შ.).*

სერგიმ უპასუხა, რომ ეს საკითხები წინასწარ ჰქონდათ განხილული და სასურველად და სწორად მიიჩნევენ, თუ მთავრობა ნებას დართავს, პატრიარქს მიენიჭოს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ტიტული, მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქი **ტიხონი**, რომელიც 1917 წელს დროებითი მთავრობის დროს იყო არჩეული, იწოდებოდა „პატრიარქი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის“.

ამხ. სტალინი დაეთანხმა, თქვა, რომ ასე სწორია.

მეორე საკითხზე მიტროპოლიტმა სერგიმ უპასუხა, რომ მღვდელმთავართა კრების მოწვევა ერთი თვის შემდეგ იქნება შესაძლებელი. ამხ. სტალინმა გაიღიმა და თქვა: **„არ შეიძლება ბოლშევიკური ტემპების გამოვლენა?“** მომიბრუნდა და ჩემი აზრი მკითხა. განვაცხადე, რომ, თუ ჩვენ მიტროპოლიტ სერგის შესაფერისი ტრანსპორტით (თვითმფრინავებით) დავეხმარებით ეპისკოპატის მოსკოვში სწრაფად ჩამოსაყვანად, მაშინ კრება 3-4 დღის შემდეგ შეიძლება გაიმართოს.

მოკლე მოთათბირების შემდეგ შეთანხმდნენ, რომ მღვდელმთავართა კრება მოსკოვში 8 სექტემბერს გაიმართებოდა.

მესამე საკითხზე მიტროპოლიტმა სერგიმ უპასუხა, რომ კრების ჩასატარებლად სახელმწიფოს არავითარ სუფსიდიას არ სთხოვენ.

მიტროპოლიტმა სერგიმ მეორე საკითხად დააყენა, ხოლო მიტროპოლიტმა ალექსიმ განავრცო საკითხი სასულიერო მოღვაწეთა კადრების მომზადების შესახებ. ამასთანავე, ორივემ სთხოვა ამხ. სტალინს, ზოგიერთ ეპარქიასთან საღვთისმეტყველო კურსების გახსნის ნება დართონ.

ამხ. სტალინი დაეთანხმა და შეეკითხა, რატომ აყენებენ საკითხს საღვთისმეტყველო კურსების შესახებ, მაშინ, როცა მთავრობამ შეიძლება გადაწყვიტოს სასულიერო აკადემიის ორგანიზებისა და სასულიერო სემინარიების გახსნის საკითხები ყველა ეპარქიაში, სადაც ამის საჭიროებაა.

მიტროპოლიტმა სერგიმ, შემდეგ კი უფრო მეტად მიტროპოლიტმა ალექსიმ, თქვეს, რომ სასულიერო აკადემიის გახსნისთვის მათ საკმარისი

**მიტროპოლიტებმა ალექსიმ და ნიკოლოზმა მხარი დაუჭირეს სერგის, ამასთანავე, აღნიშნეს საბჭოთა კავშირში ეკლესიების არათანაბარი განაწილების შესახებ და გამოთქვეს სურვილი, პირველ რიგში ეკლესიები გაიხსნას იმ ოლქებსა და მხარეებში, რომლებშიც ეკლესიები ან სულ არ არის, ან ძალიან ცოტაა. ამხ. სტალინმა უპასუხა, რომ საკითხზე მთავრობის მხრიდან არავითარი დაბრკოლება არ ექნებათ**



ჩაფიქრებული ბელადი

ძალა არ აქვთ და აუცილებელია შესაბამისი მომზადება. სემინარიებთან დაკავშირებით კი განაცხადეს, რომ *(ამ სასწავლებლებში)* 18 წლამდე პირების ჩარიცხვა მიუღებლად მიაჩნიათ არსებული ვითარებიდან გამომდინარე და წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, რადგან იციან, რომ, სანამ ადამიანს არ ჩამოუყალიბდება გარკვეული მსოფლმხედველობა, მისი მოძღვრად მომზადება ფრიად სახიფათოა, ვინაიდან ხდება დიდი განთესვა. შესაძლებელია, შემდგომ, როცა ეკლესიას დაუგროვდება საღვთისმეტყველო კურსების მუშაობასთან დაკავშირებული გამოცდილება, დადგეს ეს საკითხი, მაგრამ მაშინაც კი სემინარიებისა და აკადემიების საორგანიზაციო საპროგრამო მხარე მკვეთრად უნდა იყოს სახეშეცვლილი.

ამხ. სტალინმა თქვა: **„მაშ, როგორც გნებავთ, ეს თქვენი საქმეა. თუკი საღვთისმეტყველო კურსები გსურთ, მათით დაიწყეთ, მაგრამ მთავრობა სემინარიებისა და აკადემიების გახსნის წინააღმდეგი არ იქნება“.**

მესამე საკითხად სერგიმ წამოაყენა მოსკოვის პატრიარქიის ჟურნალის გამოცემა, რომელიც გამოვიდოდა თვეში ერთხელ და რომელშიც გამოქვეყნდებოდა, როგორც საეკლესიო ქრონიკა, ასევე, საღვთისმეტყველო და პატრიოტული ხასიათის წერილები და სიტყვები.

ამხ. სტალინმა უპასუხა: *„ჟურნალის გამოცემა შეიძლება და უნდა გამოიცეს“.*

შემდეგ მიტროპოლიტი სერგი შეეხო რიგ ეპარქიებში ეკლესიების გახსნის საკითხს, თქვა, რომ ამის შესახებ მას სთხოვენ თითქმის ყველა ეპარქიის მღვდელმთავრები, ეკლესიები ცოტაა და რომ ძალიან ბევრი წელიწადია, ეკლესიები არ გახსნილა. ამასთანავე, მიტროპოლიტმა სერგიმ თქვა, რომ მას აუცილებლად მიაჩნია, ეპარქიის მღვდელმთავარს მიენიჭოს უფლება ეკლესიების გახსნის საკითხებზე სამოქალაქო ხელისუფლებასთან მოლაპარაკების საწარმოებლად.

**მიტროპოლიტებმა ალექსიმ და ნიკოლოზმა მხარი დაუჭირეს სერგის, ამასთანავე, აღნიშნეს საბჭოთა კავშირში ეკლესიების არათანაბარი განაწილების შესახებ და გამოთქვეს სურვილი, პირველ რიგში, ეკლესიები გაიხსნას იმ ოლქებსა და მხარეებში, რომლებშიც ეკლესიები ან სულ არ არის, ან ძალიან ცოტაა.**

**ამხ. სტალინმა უპასუხა, რომ საკითხზე მთავრობის მხრიდან არავითარი დაბრკოლება არ ექნებათ.**

შემდეგ მიტროპოლიტმა ალექსიმ ამხ. სტალინის წინაშე დააყენა საკითხი გადასახლებაში, ბანაკებში, ციხეებში და ა.შ. მყოფი ზოგიერთი მღვდელმსახურის გათავისუფლების შესახებ.

ამხ. სტალინმა მათ უთხრა: **„წარმოადგინეთ სია, ჩვენ განვიხილავთ“.**

სერგიმ აქვე წამოაყენა საკითხი, რათა ნება დაერთოს ყოფილ ღვთისმსახურებს, რომლებმაც მოიხადეს სასჯელი, თავისუფლად გადაადგილდნენ კავშირის ფარგლებში და მიეცეთ უფლება, აღავლინონ წირვა-ლოცვა ეკლესიებში, ანუ საკითხი დასმული იყო აკრძალვის, უფრო ზუსტად, შეზღუდვების მოხსნის შესახებ, რომლებიც საპასპორტო რეჟიმთან არის დაკავშირებული.

ამხ. სტალინმა შემომთავაზა ამ საკითხის შესწავლა.

მიტროპოლიტმა ალექსიმ ამხ. სტალინს ნებართვა სთხოვა და სპეციალურად შეჩერდა საკითხებზე, რომლებიც საეკლესიო სალაროსთან არის დაკავშირებული, კერძოდ კი:

**ა)** მიტროპოლიტმა ალექსიმ თქვა, რომ მას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, ეპარქიებს მიეცეთ უფლება ეკლესიის ცენტრალური აპარატის სალაროში მის (პატრიარქიის, სინოდის) შესანახად ეკლესიების სალაროებიდან და ეპარქიების სალაროებიდან გარკვეული თანხების გადარიცხვის. ამასთან ერთად, მიტროპოლიტმა ალექსიმ დაასახელა მაგალითი, რომ ლენინგრადის საბჭოს ადმინისტრაციული კონტროლის ინსპექტორმა ტატარინცევამ ასეთი გადარიცხვები აკრძალა;

**ბ)** ამ საკითხზე იგი, ასევე, მიტროპოლიტები: სერგი და ნიკოლოზი აუცილებლად მიიჩნევენ, შეიცვალოს დებულება ეკლესიის მმართველობის შესახებ, კერძოდ კი, ღვთისმსახურებს მიეცეთ უფლება, გახდნენ ეკლესიის ორგანოს წევრები.

ამხ. სტალინმა თქვა, რომ საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

* * *

**აი, ასე — დეტალურად, აგურ-აგურ შეუდგა სტალინი სულიერების იმ მატერიალური ტაძრის აღდგენას, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებდა ადამიანების რწმენას და ესოდენ საჭირო იყო გამარჯვებისთვის, უპირველეს ყოვლისა, სამამულო ომში, შემდეგ — ომით დანგრეული ქვეყნის აღსადგენად და წარმატებული წინსვლისთვის, საერთოდ.**

**ჩვენი განათლებული მკითხველისთვის ცნობილია, რომ მას შემდეგ, რაც დასავლეთმა შეძლო საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო სოციალისტური სისტემის განადგურება, მთავარ ამოცანად კანონიკური მართლმადიდებლობის მოსპობა დაისახა.**

**ამიტომაა, რომ ერთი ქვეყნის მსოფლიო ჰეგემონობისთვის მოწოდებული იდეოლოგიის ინდუსტრია დღეს ასე გამწარებით ებრძვის მართლმადიდებლობას, სტალინს, რომელმაც ჯერ კიდევ როდის განსჭვრიტა ასეთი პერსპექტივის შესაძლებლობა და აღმართა „რწმენის კედელი“ ამ გლობალური შემოტევის მოსაგერიებლად.**

**არმაზ სანებლიძე**

დასასრული მომდევნო ნომერში

**ანტისტალინელების მიერ გავრცელებული ბრალდების საწინააღმდეგოდ, თითქოს სტალინი აზრს არავის არასოდეს ეკითხებოდა და არც ითვალისწინებდა, ეს ისტორიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი (ჩანაწერი) კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბელადი განსახილველი საკითხების შესახებ კონსულტაციას პროფესიონალებთან გადიოდა, იმ ადამიანებთან, რომლებსაც უშუალოდ ეხებოდა ამ საკითხების (საქმის) განხორციელება, პრობლემების მოწესრიგება... აი, ასეთი «დიქტატორი» იყო სტალინი**

მოკლედ

## ინჯირლიყის სამხედრო ბაზასთან გამართული აქციის მონაწილეებმა აშშ-ის დროშა დაწვეს

**თურქეთში მდებარე ინჯირლიყის სამხედრო ბაზასთან ანტიამერიკული საპროტესტო აქცია გაიმართა. როგორც დასავლური მედია იუწყება, აქციაში ათასობით ადამიანი მონაწილეობდა. მათ აშშ-ის დროშა დაწვეს და თურქეთის ხელისუფლებისგან ბაზის დახურვა მოითხოვეს.** თურქული პრესა წერდა, რომ ამერიკელი თადარიგის გენერალი **ჯონ კემპბელი** ინჯირლიყის ბაზაზე სამხედრო გადატრიალების წევრებთან საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდა და დახმარებას უწევდა.

ინჯირლიყის ავიაბაზა თურქეთის სამხრეთში, პროვინცია ადანაში მდებარეობს. ავიაბაზაზე განლაგებულია საერთაშორისო კოალიციის თვითმფრინავები, რომლებიც „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლაში არიან ჩართულნი.



პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ კონტროლის ზონაში, დავუშვათ, გამოჩნდა მიზნები, რომელთა მახასიათებლები შეესაბამება 2 გამანადგურებლის, 4 გამანადგურებელ-ბომბდამშენისა და სტრატეგიული ბომბდამშენიდან გაშვებული 2 ფრთოსანი რაკეტის მახასიათებლებს, სწორედ კომპლექსმა „მოსკვამ“ უნდა განსაზღვროს, რომელი მიზანი უნდა დაამუშაოს პირველად და გასცეს შესაბამისი მითითება დაბრკოლებების შემქმნელი სადგურისთვის ან ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვით კომპლექსებისთვის, რომლებიც „მოსკვასთან“ არის დაკავშირებული და ერთობლივად მუშაობენ.**

# «მოსკვა 1» — რადიოელექტრონული ბრძოლის კომპლექსი «გრძელი ხელებით»

**რუსეთის შეიარაღებული ძალები წლის ბოლომდე მიიღებს რადიოელექტრონული ბრძოლის 10 კომპლექს „მოსკვა-1“-ს. თითოეულის ღირებულება 350 მლნ რუბლია (დაახლოებით 5,2 მლნ დოლარი).**





რადიოელექტრონული ბრძოლა ეს არის შეიარაღებული ბრძოლის ერთ-ერთი სახეობა, რომლის მიმდინარეობისას მოწინააღმდეგის კავშირგაბმულობისა და სადაზვერვო რადიოელექტრონულ საშუალებებზე ხორციელდება ზემოქმედება რადიოგამოსხივებით (რადიოდაბრკოლებებით), რათა შეიცვალოს ამ საშუალებებში არსებული ინფორმაცია. რადიოელექტრული ბრძოლის საშუალებები, აგრეთვე, იცავს თავის სისტემებს ანალოგიური ზემოქმედებისგან.

**რას წარმოადგენს კომპლექსი „მოსკოვი“**

რადიოელექტრონული კომპლექსი შედგება ავტომობილ „კამაზის“ ბაზაზე დამონტაჟებული სამი კომპონენტისგან:

**1. ენერგეტიკული მოწყობილობა;**

**2. რადიოელექტრონული დაზვერვის მოდული РЭР 1Л265, რომლის დანიშნულებაა UHF, L, S, C, X, KU რადიოსიხშირეების დიაპაზონში გამოსხივების საჰაერო წყაროების ძებნა, აღმოჩენა, პელენგირება, პარამეტრების გაზომვა და დევნა.**

**3. დაბრკოლებების შემქმნელი სადგურების (1Л266) ავტომატიზებული მართვის პუნქტი, რომლის დანიშნულებაა გამოსხივების საჰაერო წყაროების კოორდინატების განსაზღვრა, დევნა თანხლება ტრიანგულაციის მეთოდით, რადიოელექტრონული საშუალებების საბრძოლოდ გამოსაყენებლად ამოცანების დაგეგმვა.**

საბრძოლო ამოცანების დაგეგმვაში იგულისხმება არა მხოლო საჰაერო მიზნების კოორდინატების განსაზღვრა, არამედ მიზნების მახასიათებლების განსაზღვრა, კლასიფიკაციისა და მნიშვნელობის მინიჭება.

მაგალითად, რადიოელექტრონული ბრძოლის კომპლექს „კრასუხას“ შეუძლია, ამა თუ იმ საჰაერო მიზნის აღმოჩენა. განსაზღვროს, რომელ დიაპაზონში ასხივებს ეს მიზანი, და განახორციელოს ამ მიზნის ელექტრონული კომპონენტების ჩახშობა, მაგრამ ეს შეიძლება მაშინ, როდესაც მიზანი ერთია ან 2-3.

**მრავალი მიზნის გამოჩენის შემთხვევაში აუცილებელია ამ მიზნების ამოცნობა, მათთვის დაბრკოლებების შესაქმნელად ამოცანების რიგითობის განსაზღვრა და გადაცემა სადგურისთვის.**

**«მოსკვას» მოქმედების რადიუსი 400 კმ-ია, ხედვის კუთხე — 360 გრადუსი. მას შეუძლია ერთდროულად დაუსახოს ამოცანები რადიოელექტრონული ბრძოლისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის 9 კომპლექსს**

თუ კონტროლის ზონაში, დავუშვათ, გამოჩნდა მიზნები, რომელთა მახასიათებლები შეესაბამება 2 გამანადგურებლის, 4 გამანადგურებელ-ბომბდამშენისა და სტრატეგიული ბომბდამშენიდან გაშვებული 2 ფრთოსანი რაკეტის მახასიათებლებს, სწორედ კომპლექსმა „მოსკვამ“ უნდა განსაზღვროს, რომელი მიზანი უნდა დაამუშაოს პირველად და გასცეს შესაბამისი მითითება დაბრკოლებების შემქმნელი სადგურისთვის ან ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი კომპლექსებისთვის, რომლებიც „მოსკვასთან“ არის დაკავშირებული და ერთობლივად მუშაობს.

**„მოსკვას“ მოქმედების რადიუსი 400 კმ-ია, ხედვის კუთხე — 360 გრადუსი.**

**მას შეუძლია ერთდროულად დაუსახოს ამოცანები რადიოელექტრონული ბრძოლისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის 9 კომპლექსს.**

შეიძლება ითქვას, რომ **„მოსკვა“ — ეს არის რუსეთის შეიარაღებულ ძალებში დიდი ხნის განმავლობაში არსებული უზარმაზარი კომპლექსის — АКУБ-22-ის განვითარების შემდეგი საფეხური.**

საერთოდ კი, „კრასუხასგან“ განსხვავებით, „მოსკვას“ არ აქვს ავტომატურად გასაშლელი საანტენო ბლოკი და სხვა სპეცეფექტები, ყველაფერი ძალიან მოკრძალებულად გამოიყურება.

კომპლექსს აქვს ჰიდრავლიკური „ფეხები“, რომელთა მეშვეობითაც მოდულს შეუძლია მიწის ზედაპირზე აღიმართოს, მის ქვეშ მანქანა გამოვიდეს და 50-100 მეტრის მოშორებით დადგეს ან თავი ხევს შეაფაროს. ეს მოწინააღმდეგისთვის, რომელსაც ძრავის სითბოზე ორიენტირებული რაკეტის გაშვება აქვს განზრახული, არასასიამოვნო სიურპრიზი იქნება.

აღსანიშნავია, რომ „მოსკვა“ მუშაობს პასიური რადიოლოკაციის რეჟიმში, იჭერს მის მიერვე გაშვებულ სიგნალებს და, ამასთანავე, მოწინააღმდეგისთვის შეუმჩნეველია.

კომპლექს „მოსკვა1“-ს, რომლის მოყვანას საბრძოლო მდგომარეობაში 45 წთ სჭირდება, 4 კაცი ემსახურება.

# ამერიკული კოალიციის ავიადარტყმების შედეგად სირიაში 20 მშვიდობიანი მცხოვრები დაიღუპა

**სირიის ჩრდილოეთით, თურქეთის საზღვართან ახლოს მდებარე ქალაქ მანბიჯში ტერორიზმთან მებრძოლი ამერიკული კოალიციის ავიადარტყმების შედეგად 20 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.**



ადამიანის უფლებების დაცვის სირიის ობსერვატორიის თანამშრომელთა მონაცემებით, ალყაშემორტყმულ ქალაქ მანბიჯში, სადაც ამერიკელი სამხედროების მხარდაჭერით სირიის დემოკრატიული ძალები (ქურთებისა და არაბების სამხედრო ქვედანაყოფები) „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებს ებრძვიან, ავიადარტყმებმა 20 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

საინტერესოა, რომ სააგენტო „როიტერმა“ ამ ინფორმაციასთან ერთად ზემოაღნიშნული სადამკვირვებლო ჯგუფის ციტატაც გამოაქვეყნა:

**„მაისის ბოლოდან ქურთების ფართომასშტაბიანი შეტევების დაწყების შემდეგ, რომელთა მიზანი თურქეთის საზღვართან „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ დაკავებული ტერიტორიის გათავისუფლებაა, ქალაქსა და მის შემოგარენში აშშ-ის ავიადარტყმების შედეგად უკვე დაიღუპა 100-ზე მეტი ადამიანი“.**

მანბიჯის გათავისუფლების ოპერაცია — ეს არის „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლის აშშ-ის ამბიციური გეგმის განხორციელების მცდელობა. თუმცა ამ შეტევებს დიდი წარმატება არ მოჰყოლია, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები სამხედრო კამპანიას სირიაში, უკვე 2 წელიწადია, აწარმოებენ.

აშშ-ის ავიაციამ ადრეც არაერთხელ დაბომბა სამოქალაქო ობიექტები. ერთ-ერთი ასეთი ობიექტი იყო 2015 წელს ავღანეთის ქალაქ ყუნდუზის ჰოსპიტალი, რომლის დაბომბვის შედეგად საერთაშორისო ორგანიზაციის „ექიმები საზღვრებს გარეშე“ 3 თანამშრომელი დაიღუპა, დაიჭრა ამ სამედიცინო დაწესებულებაში მყოფი 30 ადამიანი.

# წყალბადისსაწვავიანი უპილოტო საფრენი აპარატები სირიის ცაზე

## რუსეთის არმიამ სირიაში მიმდინარე ბრძოლებში წყალბადისძრავიანი უპილოტო საფრენი აპარატები გამოცადა



**„სირიაში ჩვენი უპილოტო საფრენი აპარატები, ყველა არა, მაგრამ, საკმაო რაოდენობით, წყალბადის საწვავზე მუშაობს. ასეთი აპარატები დიდხანს ფრენენ ჰაერში. ისინი გამუდმებით გამოიმუშავებენ წყალბადს.**

უპილოტო საჰაერო აპარატი წყალბადისსაწვავიანი ძრავით ნაკლებად მოწყვლადია თვითდამიზნების სითბური რაკეტების შეტევისგან, რადგან ნაკლებ სითბოს გამოყოფს და, შესაბამისად, მათი გამოჭერის ალბათობა მცირეა“, — განუცხადა რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენელმა სააგენტო „რია ნოვოსტის“.



აღსანიშნავია, რომ ნავთისა და ბენზინის ძრავებთან შედარებით, მიუხედავად ერთნაირი მასისა, წყალბადზე მომუშავე უპილოტო საფრენი აპარატების ფრენის ხანგრძლივობა გაცილებით მეტია.

**ეს პატარა ნოველა, რომელიც ნაწილობრივ ალეგორიულია, ეხება იმ ადამიანების ცხოვრებას, რომელთათვის ეს ულამაზესი გრძნობა ხშირად აგვიანებს, ისევე, როგორც ხშირად აგვიანებს მათთვის განკუთვნილი სიკეთეები, რომლებიც ზოგისთვის მოდის, ზოგისთვის კი — არასოდეს.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უსასრულობა

**შვიდი წლის იყო. ცხოვრობდა და არსებობდა, როგორც ყველა იმ თაობის პატარა ბიჭი, მაგრამ სხვებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ ყოველთვის ოცნებობდა... მისი ცხოვრება სავსე იყო ფიქრებითა და ულამაზესი სიზმრებით. ესიზმრებოდა ყველაფერი, ესიზმრებოდა ისიც, რაც ჰქონდა ან არ ჰქონდა განცდილი, მაგრამ, რაც ერთ ღამეს მოხდა, განსხვავდებოდა ყველაფრისგან.**



**ახლაღა მიხვდა, რომ მას უცნაურად ეწვია ისეთი სიყვარული, რომლის მსგავსიც ცოტაა; რომელიც პირდაპირ სიზმრიდან გადმოვიდა, მრავალი წელი ალოდინა და ბოლოს მაინც ეწვია. ახლა მის წინ იდგა ქალი, გაცისკროვნებული ღიმილით განათებული, და მშვიდად შეჰყურებდა ჩვენს გმირს**

ღამით, როდესაც პატარა ბიჭს ღრმად ეძინა, მის საწოლთან ამოცურდა უზარმაზარი და ულამაზესი ვარდისფერი გამჭვირვალე ბურთი, რომლიდანაც გადმოვიდა მშვენიერი გოგონა და ბიჭის საწოლზე ჩამოჯდა. ერთმანეთს დიდი ხნის ნაცნობებივით ესაუბრებოდნენ. ბიჭი, მიუხედავად მცირეწლოვნებისა, გრძნობდა გოგონას თავბრუდამხვევ სილამაზეს და რაღაც ჯერ მისი ასაკისთვის უცხო, შეუცნობელი სასიამოვნო განცდა ეუფლებოდა, მაგრამ ვერაფრით აცნობიერებდა, რა იყო ეს. საუბრობდნენ ყველაფერზე. წლოვანების მიუხედავად, მოვლენებს მოწიფული ადამიანებივით აფასებდნენ. დრომ სწრაფად გაიარა. ბიჭს გამოეღვიძა. მიხვდა, რომ ყველაფერი სიზმარი იყო და საშინლად დასწყდა გული.

გავიდა წლები. პატარა ბიჭი დავაჟკაცდა, მიიღო კარგი განათლება, დაიწყო მუშაობა და მიაღწია ისეთ სიმაღლეებს, როგორიც იშვიათად ეღირსებათ ხოლმე მოკვდავ ადამიანებს. იმ ქვეყანაში, რომელშიც ცხოვრობდა, გახდა სხვადასხვა უმაღლესი თანამდებობის პირი. დაოჯახდა. შეეძინა შვილები, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში წარმატებული იყვნენ. ცხოვრება მიდიოდა თავისი გზით, მაგრამ ერთი სიზმრის განცდა არც ერთ დროს არ ასვენებდა უკვე ასაკოვან ჩვენს გმირს. სულ ახსოვდა ის ნუშისფერთვალებიანი საოცარი სილამაზის გოგონა, განსაკუთრებული, განუმეორებელი ღიმილით, რომლის მსგავსი თავის ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში არ ენახა.

სულ ფიქრობდა: რა იყო ეს? ნუთუ შეიძლება ასეთი სიზმარი არსებობდეს, რომ მოკვდავ ადამიანს ასე მკვეთრად და ხანგრძლივად ახსოვდეს და არც ერთი წუთით არ ტოვებდეს მის ცნობიერს?! ისევ გადიოდა წლები ზღაპრული სილამაზის გოგონას მოლოდინში, ერთხელ სიზმრად ნანახი ანგელოზის ტრფიალში, რომელსაც წლებმა ვერაფერი დააკლო და, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ვერც საუკუნეები დააკლებდა რამეს.

კიდევ გავიდა დრო. უკვე აღარ იყო თანამდებობის პირი და არც არანაირი მდგომარეობის მაძიებელი. ახლოვდებოდა ის ზღვრული გადასვლა სხვა განზომილებაში, როდესაც ადამიანზე არაფერია დამოკიდებული და ემზადებოდა უსასრულობასთან შესახვედრად. მუშაობდა რიგით მოხელედ ერთ-ერთ დაწესებულებაში. იგონებდა ყველაფერს, დაწყებული იმ ბობოქარი დღეებიდან, რომლებსაც ახალგაზრდობა, სიყვარული და ცხოვრების სილამაზე ჰქვია, დამთავრებული ყოველგვარი ცუდით და კარგით.

**ერთხელ ოთახში, სადაც მისი სამუშაო მაგიდა იდგა, შემოვიდა საოცარღიმილიანი, იშვიათი სილამაზის ქალბატონი და იცით, ვინ იყო ეს ქალბატონი?! — დიახ! თქვენ სწორად მიხვდით: ეს იყო სიზმრიდან გადმოსული პატარა გოგონა, რომელიც შევსებულიყო, ასაკი მომატებოდა, მაგრამ არა ისე, როგორც ბიჭს. გამოიყურებოდა ისე, როგორც შეეფერება შუახანზე გაცილებით პატარა ასაკის ქალს — ისევ ის ნუშისფერი თვალები, ისევ ის მწველი და სავსე ტუჩები და, რაც მთავარია, განუმეორებელი ღიმილი, ღიმილი, რომლის მსგავსიც არასოდეს უნახავს.**

ჩვენი გმირი **ახლაღა მიხვდა, რომ მას უცნაურად ეწვია ისეთი სიყვარული, რომლის მსგავსიც ცოტაა; რომელიც პირდაპირ სიზმრიდან გადმოვიდა, მრავალი წელი ალოდინა და ბოლოს მაინც ეწვია. ახლა მის წინ იდგა ქალი, გაცისკროვნებული ღიმილით განათებული, და მშვიდად შეჰყურებდა ჩვენს გმირს.**

— ყველაფერი ვიცი, — ბრძანა მან, — ვიცი, რომ ძალიან გიყვარვარ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს.

— კი, მაგრამ... — ამოილუღლუღა კაცმა, — მე ხომ მთელი ცხოვრება მიყვარდი, სულ შენზე ვფიქრობდი, ერთი დღე არ გასულა შენ გარეშე, გელოდებოდი, სულ გელოდებოდი...

— თუ მელოდებოდი, ცოლი რატომ მოიყვანე, რატომ ცდილობდი, რომ მაღალი მდგომარეობა შეგექმნა შენი თავისთვის?!

— მაგრამ შენ ხომ არსად ჩანდი, არც მეგონა, რომ არსებობდი...

— თუ არ იცოდი, რომ ვარსებობდი, როგორღა გიყვარდი?!

— მეგონა, რომ ყოველივე ეს სიზმარი იყო.

— ახლა ხომ დარწმუნდი, რომ სიზმარი არ არის?

— დიახ! დავრწმუნდი... მაგრამ მაინც ვერ გავიგე, რა საჭირო იყო ყოველივე...

— შენ მთელი ცხოვრების განმავლობაში ძალიან თავდაჯერებული იყავი და სულ გსურდა, ყველასთვის გეჯობნა; გინდოდა, ამ ცხოვრებისგან მიგეღო ყველაფერი.

— კი მაგრამ, 7 წლის ბიჭუნას რა სურდა, შენ საიდან იცი?!

ქალს გაეცინა, გაშალა მარჯვენა ხელის მტევანი და გამოაჩინა პატარა, მრგვალი, ბრჭყვიალა, ლამაზი ბურთი.

— აი აქ შენის ბედისა და ცხოვრების კარმაა, რომლის თანახმადაც შენ უნდა დაღუპულიყავი ძალიან ახალგაზრდა. მე გამოვთვალე შენი ცხოვრების მდინარება და მოვატრიალე შენი ბედისწერა უზენაესის ნებით. ჩვენ ორივეს უნდა განგვეცადა სიყვარული, ნამდვილი სიყვარული, რათა შენ გადარჩენილიყავი და შენ გადარჩი.

— კი, მაგრამ... — იდგა ჩვენი გმირი თავბრუდახვეული და ვერაფერს ამბობდა, ათასი კითხვა აწვალებდა, მაგრამ დამუნჯებულიყო ჯერ ქალის სილამაზით, შემდეგ მომხდარის იდუმალებით და, რაც მთავარია, ჯერ კიდევ ბოლომდე შეცნობილ-შეუცნობელი სიყვარულის განცდით; სიყვარულისა, რომელსაც 21-ე საუკუნეში უკვე ავადმყოფობასაც ეძახიან და ვერც ერთ საუკუნეში ვერ ახსნა ვერავინ. რა არის ეს?! საიდან მოდის და საით მიდის?! ჩვენს გმირს ვერაფრით გაეგო, როგორ დაიწყო ყოველივე, როცა 7 წლის იყო და აგერ, უკვე სიცოცხლის ბოლოს ისევ ისეა შეყვარებული, როგორც დასაწყისში. „სად არის გამოსავალი?! რა შეუძლია მას?! რა უთხრას ამ ქალს?!“ — მყისიერად გაიფიქრა. ამ დროს ქალმა რაღაც ზღაპრული სილამაზის ხმით მიმართა:

— იცი, როგორც მოგიყევი, ეს სიყვარული ჩემი ინიციატივით დაიწყო, ვინაიდან შენ ამას ნამდვილად იმსახურებდი. ეს კითხვები, რომლებიც დაგისვი და უხერხულობა შეგიქმენი, ემსახურებოდა იმას, რომ კიდევ ერთხელ შემეცნო შენი პიროვნება და საბოლოოდ მიმეღო გადაწყვეტილება. დიახ, მე მივიღე გადაწყვეტილება. მე ვარ უკვდავი და დღეს შენი სიყვარულისთვის ვთმობ ამ უდიდეს საჩუქარს და, სანამ შენ იცოცხლებ, ვიქნები შენ გვერდით, ხოლო შემდეგ შენთან ერთად გადავალ იმ სამყაროში. მე აღარ ვიქნები უკვდავი — მოვკვდები, როგორც უამრავი ადამიანი.

— სხვა რა მოხდება? — ჰკითხა ვაჟმა.

— დღესვე თუ შეელევი სიცოცხლეს, მე ისევ უკვდავი ვიქნები, ოღონდ შენი წასვლა ამ ქვეყნიდან ჩემთვის იქნება უდიდესი სასჯელი, რომელსაც ვერავითარი უკვდავება ვერ აანაზღაურებს.

თქვენ რას იზამდით, მკითხველო?

ეს პატარა ნოველა, რომელიც ნაწილობრივ ალეგორიულია, ეხება იმ ადამიანების ცხოვრებას, რომელთათვის ეს ულამაზესი გრძნობა ხშირად აგვიანებს, ისევე, როგორც ხშირად აგვიანებს მათთვის განკუთვნილი სიკეთეები, რომლებიც ზოგისთვის მოდის, ზოგისთვის კი — არასოდეს. მხოლოდ უზენაესის სურვილს შეუძლია სრულყოფილქმნას ყოველი. ამ შემთხვევაში რა მოხდა?! მოხდა ის, რომ ორივემ დათმო ყოველივე ამქვეყნიური და მარადიულ უსასრულობას შეუერთდა...

**ვაჟა აბაკელია**



## გიორგი კვირიკაშვილმა გენშტაბისა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს თავდაცვის ახალი მინისტრი ლევან იზორია წარუდგინა

**„თავდაცვის სამინისტრო არის უწყება, რომელშიც ყველაზე მეტად უნდა იგრძნობოდეს ქვეყნის ერთიანობა და ეს უწყება ყველასთვის უნდა იყოს იმის მაჩვენებელი, რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი სამშობლო და ჩვენი ქვეყანა“, — ასე მიმართა საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გენერალური შტაბისა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს, რომლებსაც თავდაცვის ახალი მინისტრი ლევან იზორია წარუდგინა.**

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ლევან იზორია არის უმაღლესი რანგის პროფესიონალი და ქვეყნის პატრიოტი, რომელიც, სამთავრობო და სამინისტროს გუნდთან ერთად, განაგრძობს თავდაცვის უწყებაში მიმდინარე მნიშვნელოვან რეფორმებს და შეძლებს ყველას პროფესიონალიზმის კონსოლიდაციას, რათა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა გაძლიერდეს.

თავდაცვის ახალმა მინისტრმა მზადყოფნა გამოთქვა, მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ პროცესში პროფესიონალთა ჩართულობა. ლევან იზორია დარწმუნებულია, რომ თითოეული ჯარისკაცის მხარდაჭერა უწყების სიძლიერის საწინდარი იქნება.

## თურქეთის პროვინციაში მომხდარ აფეთქებას ექვსი პოლიციელი ემსხვერპლა

**თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინცია ბინგელში მოწყობილი აფეთქების შედეგად ექვსი პოლიციელი დაიღუპა, ოთხი — დაშავდა.** აფეთქებაზე პასუხისმგებლობა ქურთისტანის მუშათა პარტიამ აიღო. მათ დისტანციურად ააფეთქეს ავტომობილში დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობა, როდესაც მას პოლიციელებმა ჩაუარეს. ოთხი დაშავებული პოლიციელიდან ორი მძიმე მდგომარეობაშია.

30 ივლისს თურქეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ ქურთებმა თურქეთის ერთ-ერთი პროვინციის აღება სცადეს, მაგრამ თურქებმა მოახერხეს და 35 თავდამსხმელი გაანადგურეს.

მსოფლიო



## «ქვას ნუ ესვრი, ბიჭო სესე», თორემ დაისჯები

**ცეცხლი მოიკიდეს მუსლიმებმა, მართალია, არა წყალში მდგომებმა, მაგრამ მაინც „წყლისა პირს“, ანუ ქალაქ გელდერნის აუზზე რეინ-ვესტფალიის მხარეში. რადიკალურად განწყობილმა ახალგაზრდა მამაკაცებმა ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ნუდისტების აუზზე მონებივრე შიშველ ქალებს, შემდეგ ქვები დაუშინეს და მიაფურთხეს.**

— **ფუი ეშმაკსო!**

ეს აუზი ნუდისტების ტრადიციული დასასვენებელი ადგილია.

თვითმხილველები ამბობენ, რომ ახალგაზრდები ხულიგნობდნენ, ურჯულოებს უწოდებდნენ და დახოცვით ემუქრებოდნენ გერმანელ ქალებს. მათი აზრით, ყველა ისინი მეძავები არიან. ამასთან, რადიკალები გერმანულად ძალიან კარგად ლაპარაკობდნენ, — იუწყება Junge Freiheit.

სამართალდამცავმა ორგანოებმა ამ ინციდენტის გამოძიება დაიწყეს.

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2040 წელს ჩვენ არ გვექნება კომპიუტერების საკვებად საკმარისი ელექტროენერგია. კაცობრიობა უახლოვდება იმ წერტილს, როცა ეკონომიკა კომპიუტერების ტექნოლოგიის განვითარების გზაზე წინააღმდეგობად იქცევა. დღესაც კი მსოფლიოს კომპიუტერული ინფრასტრუქტურა ელექტროენერგიის საკმაოდ დიდ ნაწილს მოიხმარს.**

# ნასა: ორი ახალი ეგზოპლანეტა, შესაძლოა, სიცოცხლისთვის გამოსადეგი აღმოჩნდეს



**მეცნიერებმა შეისწავლეს ეგზოპლანეტების — TRAPPIST-1c-სა და TRAPPIST-1b-ს ატმოსფეროები. ეს ეგზოპლანეტები დაახლოებით დედამიწის მოცულობისაა. მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ორივე პლანეტა, შესაძლოა, ჩაითვალოს „ზომიერად“. ეს კი ნიშნავს, რომ მათზე სრულიად შესაძლებელია სიცოცხლის არსებობა.**

ამ დასკვნამდე მეცნიერები მას შემდეგ მივიდნენ, როცა ატმოსფეროში აღმოაჩინეს აირის ღრუბლები. მკვლევარმა **ნიკოლე ლუისმა**, კოსმოსის კვლევის ინსტიტუტიდან, კოსმოსური ტელესკოპის საშუალებით დაადგინა, რომ, ჩვეულებრივ, ეგზოპლანეტები „გახვეულია“ ერთგვარი მხუთავი აირის გარსში. მაგრამ ზემოთ ნახსენებ კვლევის ორ ობიექტზე მსგავსი აირი არ აღმოუჩენიათ, პირიქით — მეცნიერთა მონაცემებით, ზემოაღნიშნული პლანეტების ატმოსფეროები შეიცავს წყლის ორთქლს.

პლანეტები მოძრაობენ ვარსკვლავ TRAPPIST-1-ის გარშემო, რომელიც მზიდან 39,5 სინათლის წლითაა დაშორებული. 2016 წლის მაისში ასტრონომებმა გაარკვიეს, რომ მის გარშემო ბრუნავს დაახლოებით დედამიწის მოცულობის, სულ ცოტა,სამი ეგზოპლანეტა. დაიწყეს მათი შესწავლა. აღმოჩნდა, რომ მათ შორის ორი მაინც, შესაძლოა, ნაწილობრივ გამოსადეგი იყოს სიცოცხლისთვის. მნათობთან ისინი უფრო ახლოს არიან, ვიდრე მზესთან — დედამიწა, მაგრამ TRAPPIST-1 მზეზე გაცილებით სუსტია, ამიტომ პლანეტები საკმარისად თბება საიმისოდ, რომ მათზე თეორიულად იყოს სიცოცხლე.

მეცნიერები იტყობინებიან, რომ სხვა მთელი რიგი პარამეტრებით ეგზოპლანეტები მზის სისტემის პლანეტებს ჰგავს. ოღონდ გასარკვევია, კონკრეტულად რომელს – ვენერას, მარსს, იქნებ დედამიწას? პლანეტა TRAPPIST-1c უფრო მეტად ჰგავს ვენერას, რადგან დაახლოებით იმდენივე სინათლეს იღებს; TRAPPIST-1d კი ცოტათი უფრო მეტადაა დაშორებული მნათობისგან, რითაც ის ენათესავება მარსს, მაგრამ მასზეც შეიძლება იყოს თხევადი წყალი.

გამოკვლევები მიმდინარეობს **ჟულიენ დე ვიტას** ხელმძღვანელობით. მუშაობაში ჩართულია „ჰაბლის“ ტელესკოპის კამერა. ამჟამად მეცნიერები ახალ მონაცემებს აგროვებენ, პარალელურად კი ახალ ეგზოპლანეტებსაც ეძებენ.

# დიდ ბრიტანეთში ენდოსკოპიული რობოტ-ქირურგის შექმნაზე მუშაობენ



**ენდოსკოპიული ქირურგია — ეს არის პროცესი, როდესაც ქირურგს შეუძლია, სხეულზე დიდი ჭრილობების ნაცვლად, მხოლოდ უმნიშვნელო ნახვრეტის გაკეთება, რომელშიც შეჰყავს მუშაობისთვის საჭირო ინსტრუმენტები. მიუხედავად იმისა, რომ ოპერაციის ამ მეთოდით ჩატარება შედარებით უსაფრთხოცაა და სწრაფიც და პაციენტს საშუალებას აძლევს, ოპერაციული ჩარევის შემდეგ გაცილებით ადრე წამოდგეს ფეხზე, ყველა ქირურგს როდი აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და შეუძლია მსგავსი ოპერაციების გაკეთება.**

იმისათვის, რომ ეს პრობლემა გადაიჭრას, კომპანია Cambridge Medicai Robotics-მა დაიწყო სპეციალური მანქანის შექმნაზე მუშაობა, რომელიც დაეხმარება ქირურგებს მსგავსი დელიკატური ოპერაციების გაკეთებაში. მთავარი მიზანია, შეიქმნას მოწყობილობა, რომელიც ექიმებს საშუალებას მისცემს, არ დაკარგონ დრო ენდოსკოპიული ქირურგიის ყველა წვრილმანის შესწავლაზე და ამის ნაცვლად გადავიდნენ პირდაპირ პრაქტიკულ საქმეზე, ისწავლიან რა მოწყობილობის მართვას და გაითავისებენ მთელ მის შესაძლებლობებს.

**მარტინ ფროსტი,** CMR-ის აღმასრულებელი დირექტორი, ყვება, რომ დღეს მსოფლიოში 12 მილიონ ადამიანს ესაჭიროება მსგავსი ოპერაცია, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ მათ ნახევარს გაუკეთდა იგი, რადგან მსგავსი ქირურგიული ჩარევა ქირურგისგან დიდ ოსტატობას მოითხოვს. რობოტები, რომლებიც თანამედროვე საავადმყოფოების არსენალში შედის, შექმნილია იმისათვის, რომ შეამსუბუქოს ქირურგის შრომა, მაგრამ ჩვეულებრივ ადაპტირებულია მხოლოდ რამდენიმე მსგავსი ტიპის ოპერაციაზე, რომლებიც ყველაფერთან ერთად ძალიან ძვირიცაა. ამდენად, ყველა საავადმყოფო თავს უფლებას ვერ აძლევს, ეს საოცარი ტექნიკა შეიძინოს.

მარტინის თქმით, მისი კომპანია ამუშავებს რობოტიზებულ სისტემას, რომელიც ქირურგებს არა მხოლოდ ნებისმიერ მცირე ინვაზიურ ჩარევაში დაეხმარება, არამედ სამუშაოს დიდ ნაწილსაც შეასრულებს.

კომპანიის ხელმძღვანელი მოწყობილობას აღწერს, როგორც მოდულის კონსტრუქციას, რომელსაც არსენალში აქვს სხვადასხვა მოწყობილობის ნაკრები, რომლებიც ასევე სხვადასხვა სახის პროცედურისთვისაა საჭირო. ადამიანის ხელთან შედარებით ეს ინსტრუმენტები გაცილებით მოქნილია, ამიტომ ქირურგს შეუძლია კონცენტრირება პროცესის დისტანციურ მართვაზე. მარტინ ფროსტს არ უთქვამს, კონკრეტულად როგორ უხელმძღვანელებს სპეციალისტი მანქანის მოქმედებას, მაგრამ, ალბათ, ეს იქნება ვიდეოთამაშების კონტროლიორის მსგავსი რაღაც.

არც ისე დიდი ხნის წინათ კომპანია CMR-მა 20 მილიონი დოლარი მიიღო ABB-სგან – ავტომატური სამედიცინო მოწყობილობების მსხვილი ევროპული მწარმოებლისგან.

ამჟამად მანქანის პროტოტიპის შექმნის სამუშაოები სრული სვლით მიმდინარეობს. პირველი სამუშაო პროტოტიპის ჩვენება ერთ წელიწადში იგეგმება, მაგრამ მსგავსი მოწყობილობის გაყიდვაზე ჯერ არ საუბრობენ.

# მზის ენერგია და ელონ მასკის ჭკვიანური სვლა

**ინჟინერ-გამომგონებელს, მილიარდერ ილონ მასკს სურს, მზის ინფრასტრუქტურა ბრწყინვალე გახადოს. ის ამბობს, რომ „შექმნის ხარისხიან ინტეგრირებულ და ბრწყინვალე პროდუქტს მზის პანელითა და ბატარეით“.**



ეს კარგი იდეაა, თუმცა ძნელია დარწმუნებით იმის თქმა, კონკრეტულად რა ჰქონდა მასკს მხედველობაში, მაგრამ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მოწყობილობა, რომელიც აგროვებს მზის ენერგიას.

ადამიანები ათწლეულების განმავლობაში ქმნიდნენ ტექნოლოგიებს მზის ენერგიის გამოსაყენებლად. ბევრს ეს მოსწონდა, ბევრს — არა. „არიან ადამიანები, რომლებიც ყოველთვის მიესალმებიან ტიპური მზის პანელების ტექნოსიმბოლიზმს, — ამბობს **აარონ დორფი**, არქიტექტორი, რომელიც მუშაობს ეკოლოგიურ პროექტებზე, — მაგრამ საბოლოოდ ის იქნება პირველი თაობის რელიქტი, როგორც მობილური“. ახლო მომავალში, ამბობს დორფი, დანადგარის ღირებულება და მზის ბატარეების ეფექტიანობა აღარ იქნება დამაბრკოლებელი ფაქტორი. „მაქსი შეგნებულად გადადის იმას, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზღურბლი იყოს სილამაზემდე“.

„ტესლა“ არ იქნება ესთეტიკის სფეროში პრემიის ერთადერთი პრეტენდენტი კომპანია. რამდენიმე წელია, მზის პანელები არამხოლოდ ხელმისაწვდომი გახდა, არამედ გამჭვირვალეც, ნათელიც, დრეკადიც და საკმაოდ შენიღბულიც. მაგ., ბრუკლინის კომპანია Pvilion-ი აპროექტებს ისეთი სტრუქტურის კარვებსა და ტექსტილის ნაწარმს, რომლებიც შეძლებს მზის ენერგიის გამოყენებას. Sistine Solar-ის პანელები, რომლებიც გაისად გამოვა ბაზარზე, თქვენი სახლის სახურავის დიზაინსაც კარგად შეერწყმება და თან მასში იქნება ფოტოელემენტები. **გამჭვირვალე ორმხრივი პანელები, რომლებშიც ფოტოელემენტები ჩაპრესილია მინის დიდ პანელებს შორის, უკვე ტრადიციულ მზის ბატარეებზე უფრო პოპულარულია. ასეთი დიზაინი შუქს საშუალებას აძლევს, ყველა მხრიდან დაეცეს პანელს, რითაც გაიზრდება მოწყობილობის ეფექტიანობა**. მათზე მოთხოვნა განსაკუთრებით დიდ ქალაქებში გაიზრდება, ყველაზე მეტად იქ, სადაც არქიტექტორების წინაშე ხშირად დგას შენობის მზიანი ინფრასტრუქტურით მოდერნიზების საკითხი. „რამდენადაც სახურავი გადავსებულია თანამგზავრული ანტენებით, ქალაქური ბაღებითა და სხვ., მოგვიწევს ისეთი პანელების შექმნა, რომელთა განთავსება შესაძლებელი იქნება ვერტიკალურად“, — ამბობს **ბრაიან ლეინი**, Koning Ezenberg Architecture-ს გენერალური დირექტორი. ლეინი და მისი ფირმა ისტორიულ სახლებს ენერგოეფექტიან და ხელმისაწვდომ საცხოვრებელ კომპლექსებად გარდაქმნის.

მზის კრეატიული ინფრასტრუქტურის შექმნის გზაზე კომპანიას ბევრი წინააღმდეგობა ხვდება. მშენებლობის ნორმები ხომ ყველასთვის ერთნაირია. ასე რომ, „როცა სახანძრო სამსახურს ელაპარაკები სახლის სახურავის მზის პანელებით დაფარვაზე, ისინი გეკითხებიან: ხომ შეიძლება ხანძარი გაჩნდეს? როგორ უნდა ებრძოლონ ამ ხანძარს ჩემმა ბიჭებმა?“ — ამბობს ლეინი.

ენერგიის შენახვა იურიდიულ პრობლემებსაც აჩენს. ბატარეების დაწვა შესაძლებელია, ამიტომ დიდ ქალაქებში პრაქტიკულად შეუძლებელია ნებართვის მიღება მათ გამოყენებაზე. ამას დავუმატოთ ისიც, რომ, რაც უფრო რთულდება მზის ბატარეების ტექნოლოგიები, მით უფრო რთულდება მათი გამძლეობის საკითხიც.

ბოსტონის უნივერსიტეტის ელექტროფიზიკის პროფესორი **მალაი მაზუნდარი** აღნიშნავს, სახურავები ტრადიციულად კეთდებოდა ისე, რომ 50 წელი გაეძლო. არსებული მზის პანელები კი ყოველ 25 წელიწადში უნდა შეიცვალოს. „თუკი მზის პანელი ინტეგრირებული იქნება სახლის სახურავთან, განა საჭირო იქნება მისი მთლიანად გამოცვლა?“ — აღნიშნავს მაზუნდარი. თუკი „ტესლას“ უნდა მზიანი სახურავების შექმნა, რომლებიც ხარისხიანად იქნება ინტეგრირებული, ისინი გამძლეც იქნება. ბოლოსდაბოლოს, ისეთი მაინც უნდა იყოს, რომ ადვილად გამოიცვალოს.

არის სხვა წინააღმდეგობებიც, რომლებიც ყოველთვის განსაზღვრავდა მზის ტექნოლოგიებს, როგორიცაა ფოტოელემენტების ორიენტაცია მზეზე; დაძაბულობა, რომელიც გამოწვეულია ძველ შენობებზე მზის ბატარეების დამონტაჟებით; ფასისა და ეფექტიანობის შესაბამისობა.

გარკვევით შეიძლება იმის თქმა, რომ მასკი ყველაფერ ამაზე დიდხანს ფიქრობდა. ამდენად, მით უფრო საინტერესოა, როგორ გაუმკლავდებიან მისი კომპანიები მასკისავე გამოწვევას.

# 2040 წლისთვის კომპიუტერები იმაზე მეტ ელექტროენერგიას მოიხმარენ, ვიდრე კაცობრიობა შეძლებს წარმოებას

**ჩვენს ცხოვრებაში კომპიუტერებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. უზარმაზარი სისწრაფით იზრდება მათი გაყიდვა, აქედან გამომდინარე, მატულობს ამ მოწყობილობების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობაც. ასე რომ, კაცობრიობას ნამდვილად აქვს დაფიქრებისა და შეშფოთების სერიოზული მიზეზი, თუ ამას მივუმატებთ ძლიერი სუპერკომპიუტერების უზარმაზარ სერვისებს, რომლებიც პირდაპირ შავი ხვრელივით შთანთქავს ელექტროენერგიას.**

ახლახან ჩატარებულმა კვლევამ ბევრი სპეციალისტი დააფიქრა იმაზე, შევძლებთ თუ არა ჩვენი კომპიუტერების კვების უზრუნველყოფას ახლო მომავალში. 1990 წლიდან ინდუსტრიის წამყვანი ექსპერტების კომისიამ, რომელშიც შედიოდა მიკროპროცესორების მწარმოებელი 19 წამყვანი კომპანია, წარმოადგინა ერთგვარი სურათი შესაბამისი ტექნიკის მიერ ელექტროენერგიის მოხმარების. დღეს ასოციაციაში ჩიპების მწარმოებელი მხოლოდ ოთხი წარმომადგენელია დარჩენილი. ესენია: Intel-ი, TSMC-ი, Samsung-ი და Global Foundries-ი.

კომისიის ბოლო ანგარიშით, **2040 წელს ჩვენ არ გვექნება კომპიუტერების საკვებად საკმარისი ელექტროენერგია. კაცობრიობა უახლოვდება იმ წერტილს, როცა ეკონომიკა კომპიუტერების ტექნოლოგიის განვითარების გზაზე წინააღმდეგობად იქცევა. დღესაც კი მსოფლიოს კომპიუტერული ინფრასტრუქტურა ელექტროენერგიის საკმაოდ დიდ ნაწილს მოიხმარს.**

ცხადია, პროგნოზი ყოველთვის არ მართლდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ადამიანებს მაინც მოუწევთ, ან რაიმე შეცვალონ კომპიუტერულ მოწყობილობებში, ან ელექტროენერგიის წარმოებაში.

დაბალკალორიული დიეტის დაცვას არანაირი აზრი არ აქვს და არ არის საჭირო უარის თქმა დესერტზე. მთავარი მიღებული საკვების, კალორიები კი არა, რაოდენობაა. სხეულის ფორმაში მოსაყვანად საკვებზე შეზღუდვების დაწესება საჭირო არ არის — მიირთვით ყველაფერი, ოღონდ — ცოტა!

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მეცნიერებმა ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ მითების მსხვრევა დაიწყეს

**როგორც ცნობილია, დღევანდელობის ძირითადი ტრენდი – მავნე ჩვევებზე უარის თქმა, კვების სწორ რეჟიმზე გადასვლა და სპორტში ინტენსიური ვარჯიშია. თუმცა გაირკვა, რომ ბევრი რამ, რაც ჩვენ ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ვიცოდით, მთლად სწორი არ ყოფილა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევის შედეგად დამტკიცდა, რომ „იდეალური“ არსებობის ზოგიერთი წესი არაეფექტიანია და კორექტირებას საჭიროებს. ამ სფეროში ჩატარებულმა ახალმა აღმოჩენებმა ჩვენში წლების განმავლობაში დამკვიდრებული ზოგიერთი მითის მსხვრევა გამოიწვია:**



## მითი 1. დესერტი მავნებელია

**დაახლოებით ნახევარი წლის წინათ ისრაელელმა მეცნიერებმა უარყვეს გახდომის მთავარი პრინციპი – უარის თქმა ტკბილეულზე. იმის გასარკვევად, ყველაზე მეტად თუ რომელი საკვები უწყობს ხელს წონის დაკლების პროცესს, მათ ექსპერიმენტი ჩაატარეს.**

ექსპერიმენტში ერთნაირი წონის ადამიანები მონაწილეობდნენ, რომლებიც ორ ჯგუფად გაყვეს. ორივე დაბალკალორიული დიეტის კურსს გადიოდა: პირველ ჯგუფს ამ დიეტისთვის ტრადიციული რაციონი ჰქონდა: ხილი, ბოსტნეული, ლობიო, ხორცი და კვერცხი; ხოლო მეორეს, ხსენებულ რაციონთან ერთად, საუზმეზე დესერტსაც აძლევდნენ. ექსპერიმენტის შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა: ორივე ჯგუფში ყველა მონაწილემ თითქმის ერთნაირად დაიკლო წონა, იმის მიუხედავად, ჭამდნენ თუ არა დილით ნამცხვარს ან ტორტის ნაჭერს. ამასთანავე, ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ მათ, ვინც I ჯგუფში იყო, ისევ დაიწყეს გასუქება, ხოლო II ჯგუფის მონაწილეების წონა არ შეცვლილა.

ამრიგად, ექსპერიმენტის შედეგად დამტკიცდა, რომ **დაბალკალორიული დიეტის დაცვას არანაირი აზრი არ აქვს და არ არის საჭირო უარის თქმა დესერტზე. მთავარი მიღებული საკვების, კალორიები კი არა, რაოდენობაა.**

სხეულის ფორმაში მოსაყვანად საკვებზე შეზღუდვების დაწესება საჭირო არ არის – მიირთვით ყველაფერი, ოღონდ — ცოტა!



## მითი 2. ჯანსაღი ცხოვრების წესის ერთ-ერთი პრინციპი დილით ადრე ადგომაა

**ბრიტანელმა მეცნიერებმა გამოაქვეყნეს კვლევის ანგარიში, რომელშიც ნათქვამია, რომ დილით ადრე ადგომა უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე.**

მათ განაცხადეს, რომ 6:00-დან — 8:00 საათამდე სტრესის ჰორმონის — კორტიზოლის მაქსიმალური რაოდენობით გამოყოფა ხდება და ადრე გაღვიძებულ ორგანიზმს არ აქვს ამ მაჩვენებლის ნორმალიზების უნარი, ამიტომ კორტიზოლის დონე მთელი დღის მანძილზე მაღალი რჩება, რაც ადამიანის ცუდი განწყობის, სტრესისა და დეპრესიის მიზეზი ხდება.



## მითი 3. უცხიმო საკვები სწორი კვება არ არის

**ცხიმებზე უარის თქმა ნეგატიურად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე.** ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები, მას შემდეგ, რაც ათეულობით ჩატარებული ექსპერიმენტის მასალები შეისწავლეს. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, **უცხიმო საკვების მიღება უარყოფითად მოქმედებს გულის მუშაობაზე.**

იმისთვის, რომ უცხიმო საკვები გემრიელი იყოს, მწარმოებელი კომპანიები მასში მავნე ნივთიერებებს ამატებენ.

ცხიმი (მცენარეული, ცხოველური) საჭიროა ჩვენი ორგანიზმისთვის და მათი საკვებში გამოყენება ჯანსაღი ცხოვრებისთვის ახალი წესი არის.



## მითი 4. სუფთა ჰაერზე გასეირნება სასარგებლოა

**მონრეალის (კანადა) უნივერსიტეტის თანამშრომლების აზრით, სუფთა ჰაერი ყოველთვის არ არის სუფთა (მაგ., ქალაქში), რადგან მასში შეიძლება იყოს მავნე ნივთიერებები.** ჭარბი წონის ადამიანებმა ნაკლები დრო უნდა გაატარონ გარეთ — სუფთა ჰაერზე, რადგან გარეთ ისინი უფრო ღრმად სუნთქავენ; შესაბამისად, ორგანიზმში ჰაერის ჭარბი რაოდენობა ხვდება, რომელიც ნეგატიურად მოქმედებს მათ ორგანიზმზე.

სუფთა ჰაერი — ეს არის ქიმიურად სუფთა ჰაერი და არა ჰაერი სახლის გარეთ.



## მითი 5. სირბილი ჯანმრთელობის საწინდარია

**პენსილვანიის შტატის მეცნიერებმა (აშშ), ჯერ კიდევ 2 წლის წინათ განაცხადეს, რომ ინტენსიური სპორტული დატვირთვა ან საერთოდ მასზე უარის თქმა ერთნაირად მოქმედებს ორგანიზმზე. ამასთან, სპორტული ვარჯიშით მეტისმეტი გატაცება უფრო მავნებელია, ვიდრე პასიური ცხოვრების წესი.** ჯანმრთელობაზე კარგად მოქმედებს მხოლოდ ზომიერი დატვირთვა. კვლევის თანახმად, ადამიანმა არაუმეტეს 32 კმ უნდა გაირბინოს კვირის მანძილზე (დღეში — 4,5 კმ).

მხოლოდ ზომიერი დატვირთვაა სასარგებლო ჩვენი ჯანმრთელობისთვის.

# რატომ გვერევა გული ტრანსპორტში?

**მგზავრობის დროს ვესტიბულარული სისტემა და მხედველობა იტყობინება, რომ ორგანიზმი მოძრაობს, ხოლო კუნთების რეცეპტორები იტყობინებიან, რომ გაჩერებულია. ტვინი ცდილობს რეცეპტორების ჩვენების შეთანხმებას, რაც იწვევს მისი მუშაობის დარღვევას.**

რყევისგან ცუდად გახდომა ძლიერდება, თუ ადამიანი გვერდით ფანჯარაში იყურება და თვალები ცდილობს, რამეზე დაფიქსირდეს, მაგრამ ობიექტი მხედველობის არედან ქრება. თვალების ხტომა აღიზიანებს ვესტიბულარულ სისტემას. ის მას აღიქვამს, როგორც წონასწორობის დარღვევის სიგნალს; მაშინ, როცა მისი საკუთარი რეცეპტორები საწინააღმდეგოზე მეტყველებს.

იმდენად, რამდენადაც ვესტიბულარული აპარატი დაკავშირებულია ვეგეტატიური ფუნქციის მმართველ განყოფილებებთან, ეს იწვევს მათი მუშაობის ჩაშლას, რაც გამოიხატება გულისრევასა და ოფლიანობაში.

**ასე რომ, ტრანსპორტში გული გვერევა ტვინში მიწოდებული ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციის გამო.**

# გაახალგაზრდავება უჯრედების დონეზე — უნიკალური რეცეპტი

**სავარაუდოდ, ყველას გსმენიათ ხორბლის ჩანასახის შესახებ. თუ ხორბალს წყალში ერთი დღე-ღამის განმავლობაში დატოვებთ, მისი სიცოცხლის ძალა 100-ჯერ იზრდება.**



**მაგრამ ცოტამ თუ იცის გაღივებული კაკლის უნიკალურ რეცეპტზე, რომლის სიცოცხლის ძალა, თუ მას წყალში 2 კვირის განმავლობაში გააჩერებთ, 1000-ჯერ იმატებს.**

1 კგ კაკალს დაასხით ცივი წყალი ისე, რომ სრულად დაფაროს და 2 კვირით ფანჯრის რაფაზე დადგით. წყალი დღე გამოშვებით გამოუცვალეთ. დღეში 2-ჯერ მოურიეთ.

2 კვირის შემდეგ კაკალი მოხმარებისთვის მზადაა. უნდა შეინახოთ მაცივარში, იმავე წყალში. **დღიური ნორმაა 3 გასუფთავებული კაკალი დილით, 3 – საღამოს. მისი მიღება გამოიწვევს თქვენი ორგანიზმის განახლებას, უჯრედების დონეზე გაახალგაზრდავებას, იმუნური სისტემის აღდგენას, ნერვული სისტემის სტაბილიზაციას, სისხლძარღვოვანი სისტემის შლაკებისგან გაწმენდას, ორგანიზმის ძვლოვანი ქსოვილის საკვები ნივთიერებით მომარაგებას.**



კუჭქვეშა ჯირკვლის (პანკრეასი) ფუნქციის დარღვევის შემთხვევაში მიიღეთ ექიმის კონსულტაციის შემდეგ.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჰიუდაის“ ავსტრალიურმა შტომ, FIA-ს (საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია) რეგლამენტის შესაბამისად, კუპე (ჰეჩბეკ) „ველოსტერის“ სარბოლი ვერსია — „ველოსტერ რეის კონცეპტი“ მოამზადა, რომლითაც როგორც წრიულ, ასევე გრუნტზე რბოლებში მონაწილეობაა შესაძლებელი.**

# ავტომობილი ადამიანის საუკეთესო მეგობარია

ავტომობილი, ალბათ, უმაღლესი ტექნოლოგიების ყველაზე დიდი მიღწევაა. ერთ ლითონის კოლოფში იმალება ასობით დიზაინერის, ინჟინრის მონდომების ნაყოფი, ისტორია, გემოვნება...
ზოგჯერ ავტომწარმოებლებს საკუთარ შესაძლებლობებზე მეტის გაკეთება უწევთ, რათა შექმნან რაღაც ნამდვილად საოცარი და დიდებული.




## «ჰიუნდაი ელანტრა»

**„ჰიუნდაიმ“ ამა წლის მარტში ბაქოში ახალი „ჰიუნდაი ელანტრას“ პრეზენტაცია მოაწყო. ახალი „ელანტრა“ გაცილებით ევროპულად გამოიყურება, უფრო სწორად ისე, რომ ევროპელებსაც მოეწონოთ, ამერიკელებსაც და აზიელებსაც.**

ახლა კი — მთავარი: როგორია, რას გვთავაზობს და რა შეუძლია ახალ **„ჰიუნდაი ელანტრას“**?

ეს „ელანტრას“ ახალი, რიგით მეოთხე თაობაა, თუმცა გააჩნია, საიდან დავიწყებთ ათვლას — მას შემდეგ, რაც ავტომობილს „ელანტრა“ ეწოდება, ეს მეოთხე თაობაა; მანამდე, 1990-იან წლებში, ორი თაობა იწარმოებოდა, სახელწოდებით Lantra. Elantra სწორედ მისი შთამომავალია და ახალ მოდელს, რომელსაც ფოტოზე ხედავთ, ზოგი მეოთხე თაობას უწოდებს, ზოგიც — მეექვსეს.

თუმცა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს — მთავარი ის არის, რომ ახალ „ელანტრაში“ „ჰიუნდაიმ“ უამრავი სიურპრიზი შემოგვთავაზა. ის, როგორც ვიზუალურად, ასევე თავისი შესაძლებლობებით, კიდევ უფრო მდიდარია.

სრულიად შეცვლილია ავტომობილის დიზაინი — მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია ინტერიერი, გამოყენებულია ახალი მასალები და ტექნიკა. დიზაინის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი დიდი ზომის 6-კუთხიანი რადიატორის ცხაურაა — ერთი შეხედვითაც შეატყობთ ცნობილი დიზაინერის, **პეტერ შრაიერის** ხელწერას, რომელიც კორეელებმა თავის დროზე „აუდიდან“ გადაიბირეს და რომლის ხელშიც „ჰიუნდაიმ“ ისეთი პროგრესი განიცადა, რომ შრაიერი დღეს უკვე კონცერნის ერთ-ერთი ხელმძღვანელია.

ახალი „ელანტრას“ თვლების ბაზა უცვლელი დარჩა, მაგრამ ავტომობილი სიგრძეში 20 მილიმეტრით გაიზარდა, სიგანეში კი — 25 მილიმეტრით.

„ელანტრას“ ძარა უფრო აეროდინამიკური გახდა: წინაალმდეგობის კოეფიციენტი (CW) ახლა უკვე 0,27-ია, რამაც საწვავის ხარჯი შეამცირა. ავტომობილი, თავისი რანგისა და კლასის გათვალისწინებით, სპორტულობისა და კომფორტულობის მშვენიერ შერწყმას გვთავაზობს. ჩვეულებრივ რეჟიმში სავალი ნაწილი იდეალურად რბილია და მშვენივრად უმკლავდება გზის უსწორმასწორობებს. არის ეკორეჟიმიც, რომლის დროსაც გადაცემები დაბალ ბრუნებზე ირთვება, რაც საწვავის ხარჯს ამცირებს. და, რა თქმა უნდა, სპორტული რეჟიმი, რომლის დროსაც ახალი „ელანტრა“ ხისტდება, მოხვევა უფრო მგრძნობიარე ხდება, ავტომატური კოლოფი კი ძრავას მაღალ ბრუნებზე ამუშავებს. აქვე აღვნიშნოთ ძალიან კარგი, წინამორბედზე გაცილებით უკეთესი ხმაურის იზოლაცია და მაქსიმალურად უხმაურო ძრავა.

ახალი სერვისებიდან აღსანიშნავია **სავარძლების გათბობა და ვენტილაცია, საბარგულის ავტომატური გახსნა, მკვდარი წერტილებისა და ზონების კონტროლი გარეთა სარკეებში, პრემიუმხარისხის აუდიოსისტემა Infiniti** და კიდევ უამრავი რამ.

**თუკი წინა „ელანტრაში“ პატარა და ძველმოდური ეკრანი იყო, ახალ მოდელში სრულიად თანამედროვე მულტიმედია და დიდი ზომის სენსორული ეკრანია, რომელსაც მარტივად უკავშირებ სმარტფონს.** ზედაპირებზე გამოყენებული მასალები გაცილებით უკეთესი ხარისხისაა. ცენტრალური კონსოლი მძღოლისკენაა გადმოხრილი და არ არის ღილაკებით გადატვირთული — ყველაფერს მარტივად აღიქვამ და წვდები. ნებისმიერ მძღოლს მოეწონება მცირე საინფორმაციო ეკრანი სპიდომეტრსა და ტაქომეტრს შორის, სადაც თითქმის ყველაფერს აკონტროლებ — საწვავის ხარჯს, წნევას საბურავებში, ააქტიურებ, თიშავ ან პროგრამას ამახსოვრებინებ არაერთ ფუნქციას.

ახალი „ელანტრა“ ბენზინის ორი ძრავით იქნება ხელმისაწვდომი: 1,6-ლიტრიანი აგრეგატით (127 ცხენის ძალა) და 2-ლიტრიანით (152 ცხენის ძალა). ორივე ვერსია ხელმისაწვდომია როგორც მექანიკური, ისე 6-საფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფით.



## «შოუვან BHCD-1»

**გუანჯოუს ავტოშოუზე „ჰიუნდაიმ“ სრულიად ახალი ბრენდი წარადგინა, რომელიც სპეციალურად ჩინური ბაზრისთვის არის შექმნილი და რომელსაც „შოუვანი“ დაარქვეს. ეს არის ერთობლივი კომპანია, რომელშიც კორეული კომპანიის თანამეწილე ჩინური „ბეიძინ ავტომოტივია“ (BAIC). „შოუვანი“ ხელმისაწვდომი და ეკოლოგიური ავტომობილების წარმოებაზე იქნება სპეციალიზებული.**

ჯერჯერობით კორეელ და ჩინელ პარტნიორებს არ დაუზუსტებიათ, რომელ მოდელებს გამოუშვებს „შოუვანი“ ან როდის დაიწყებს წარმოებას. თუმცა, მან პირველი კონცეფციური ავტომობილი შოუზევე წარადგინა. ავტომობილს „შოუვან BHCD–1“ ეწოდება. აბრევიატურაში პირველი ორი ასო ბეიძინს და ჰიუნდაის ნიშნავს, CD სამოდელო ხაზს, რიცხვი კი — კომპანიის პირველ ავტომობილს. **„ჰიუნდაის“ განცხადებით, ეს ავტომობილი ჰიბრიდული სისტემითაა აღჭურვილი,** თუმცა კორეულ კომპანიას მისი ტექნიკური მახასიათებლები არ გამოუქვეყნებია. როცა მისი სერიული წარმოება დაიწყება, ის მხოლოდ ბენზინის ძრავით აღიჭურვება.

„შოუვან BHCD–1“ ოთხკარიანი სედანია და მისი გაბარიტების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ის „სონტას“ ან „ეკუსის“ ბაზაზეა შექმნილი.

ბოლო ხანს, ჩინეთში სულ უფრო მეტი უცხოური კომპანია ხსნის ერთობლივ კომპანიას, რაც ამ ქვეყნის მთავრობის მოთხოვნაა — ცისქვეშეთში ვერც ერთი უცხოური კომპანია ვერ იმუშავებს, თუ მას ადგილობრივი კომპანიონი არ ეყოლება.



## «ჰიუნდაი ველოსტერ ტურბო»

**რამდენიმე წელია, „ჰიუნდაი“ ლას ვეგასის შოუ SEMA-ს არ აცდენს და ამ ტრადიციის დარღვევას არც წელს აპირებს. ტუნინგის უდიდეს გამოფენაზე კორეული კომპანია თავის პოპულარულ კუპე „ველოსტერ ტურბოს“ განსაკუთრებულ ვერსიას წარადგენს.**

ამ ავტომობილს სახელად „ველოსიტი“ უწოდეს. მის შემუშავებაში მონაწილეობდნენ „ჰიუნდაის“ ამერიკული შტოს ირვაინის (შტატი კალიფორნია) ტექნიკური ცენტრის საინჟინრო და დიზაინის დივიზიონები. აღსანიშნავია, რომ ადრე ასეთ პროექტზე მუშაობისას კორეულ კომპანიას პარტნიორობას ტუნინგზე სპეციალიზებული კომპანია „AEK პერფორმენსი“ და სარბოლი ავტომობილების მწარმოებელი „კოსუორტი“ უწევდნენ, რომლებთან ერთადაც „ჯენეზის კუპეს“ სპეცვერსიები შემუშავდა.

პროექტში მონაწილეობა „კოსუორტის“ სპეციალისტებმაც მიიღეს, რომლებმაც „ველოსტერის“ 1.6-ლიტრიანი ტურბოძრავი ნამდვილ მხეცად აქციეს. მათ დგუშები, ბარბაცები, ტურბოკომპრესორი, ტურბოსისტემის საშუალედო გამაგრილებელი, შემშვები სისტემა, საწვავის მიწოდების სისტემა და ძრავის მართვის კომპიუტერული პროგრამა დაამუშავეს. შედეგად, სიმძლავრე 201 ცხენის ძალიდან 400 ცხენის ძალამდე გაიზარდა.

მთლიანად გამოცვალეს საკიდარი, რომელიც „ბილშტაინის“ წარმოების ამორტიზატორებით აღიჭურვა. მუხრუჭების სისტემა „ბრემბოსია“ და ოთხცილინდრიან სუპორტებზეა აწყობილი. ახალ, 19-დუიმიან ბორბლებზე კი „კუმიოს“ წარმოების 275/35R19 საბურავები დააყენეს, რომლებიც მაღალი სიჩქარით მოძრაობისთვისაა გამიზნული.

რა თქმა უნდა, შეიცვალა აეროდინამიკური პაკეტი — ძარა თითქმის მთლიანად გადაკეთდა. ავტომობილმა ერთგვარი აგრესიული იერი მიიღო.





## «ველოსტერ სიტი კონცეპტი»

**ერთი თვის წინათ სიდნეის ავსტრალიის საერთაშორისო მოტორ შოუზე „ჰიუნდაიმ“ თავის პოპულარულ კუპე „ველოსტერის“ ბაზაზე შექმნილი კონცეპტუალური ავტომობილი „ველოსტერ სიტი კონცეპტი“ წარადგინა. ავტომობილი ისეა გაფორმებული, თითქოს ლას ვეგასის SEMA-ს გამოფენისთვის იყოს შექმნილი.**

„ველოსტერ სიტი კონცეპტი“ სერიული „ველოსტერის“ ბაზაზეა შექმნილი, თუმცა ავსტრალიურ სატუნინგო კომპანია „კონკორდ კასტომზის“ სპეციალისტების მონაწილეობით მას საფუძვლიანი მოდიფიკაცია ჩაუტარდა. გარეგნულად ავტომობილს ცვლილება, პირველ რიგში, ფერთა განსხვავებულ შეთანწყობაზე ეტყობა. ძირითადი ტანი მქრქალ რუხ ფერშია გაწყობილი, ზოგიერთი ელემენტი კი, მათ შორის, ემბლემა, წინა სპოილერი, ბორბლები, ზღურბლები, ნისლსაწინააღმდეგო ფარების ფოსოები და სხვა, ნარინჯისფერით გააფორმეს. ამასთანავე, ავტომობილს გარს ევლება წვრილი წითელი ზოლი.

სიახლეებია აეროდინამიკაშიც: გაგანიერებული საბორბლე თაღები, წინა სპოილერი, უკანა დიფუზორი, სახურავის უკანა კიდეში მოთავსებული ანტიფრთა. **მანქანა დააყენეს „ტენსოს“ წარმოების 18-დუიმიან ბორბლებზე, რომლებიც 215/40/18 ზომის რეზინითაა შემოსილი.**

ინტერიერი, ძირითადად, მელნისფერ ტყავშია გაწყობილი, რომელთანაც ისევ ნარინჯისფერი დეტალები შეახამეს. **სალონი შუქდიოდებით ნათდება.** გარდა ამისა, სალონში გამოყენებულია მაღალი კლასის აუდიო სისტემა, რომელიც 8650 ვატის სიმძლავრის ხმას გამოსცემს.

**დაიხვეწა ძრავაც.** მას გამოუცვალეს გამოსაბოლქვი, საშუალედო გამაგრილებელი ალუმინისგან დამზადდა, ჰაერის ფილტრი სპორტული ანალოგით შეიცვალა, დაიხვეწა ძრავის მართვის ელექტრონული პროგრამა.

**დაიხვეწა საკიდარი.** სტანდარტული ამორტიზატორები უფრო ხისტით შეიცვალა. დრეკადი ელემენტები ერთმანეთს სპეციალური ბერკეტით დაუკავშირდა, რომელიც მანქანის წინა ნაწილს დამატებით სიხისტეს ანიჭებს. შეიცვალა სამუხრუჭე დისკოები, რომლებზეც გასაგრილებელი ნახვრეტები გაუკეთეს.



**„ჰიუნდაი I30 ტურერმა“ ყველაზე კარგი შეფასებები მცირეწლოვანი და ზრდასრული მგზავრების უსაფრთხოებაში დაიმსახურა — ორივეში 90-პროცენტიანი შეფასება მიიღო. კარგი შედეგები აღინიშნა ქვეითებთან შეჯახების ასპექტშიც. ამ მხრივ, შეფასება ზუსტად ისეთივეა, როგორიც ჰეჩბეკ I30-ს აქვს.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## «ჰიუნდაი ჯენეზის კუპე»

**„ჰიუნდაის“ უკვე დაწყებული აქვს თავის სპორტულ მოდელ „ჯენეზის კუპეს“ ტესტირება, რომლის ჩვენება გაისად უნდა გაიმართოს.** რა თქმა უნდა, ტესტების დროს, ავტომობილი კარგადაა შენიღბული — ეს ავტომწარმოებელთა ტრადიციაა. ახლახან ინტერნეტგამოცემა „დიქარბლოგერმა“ გამოაქვეყნა ამ ახალი ავტომობილის ფოტო, რომლის მიხედვითაც, მის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნა უკვე შესაძლებელია.

ავტომობილი წინა მარცხენა კუთხიდანა გადაღებული და ამგვარად, მხოლოდ მის წინა ნაწილზე შეიძლება მსჯელობა. **უპირველესად, ყურადღებას იქცევს მისი რადიატორი, რომელსაც კორეული კომპანიის კორპორატიული სტილის შესაბამისად, ექვსკუთხა ფორმა აქვს, მასში კი ბამპერია და სანომრე აბრაა მოთავსებული. ამგვარად, ის თავის უმცროს ნათესავ „ველოსტერს“ დაემსგავსა.**

კაპოტის უკანა ნაწილში, ძრავის სეგმენტის ორი სასუნთქი „ლაყუჩი“ მოუთავსებიათ, რომლებსაც ერთმანეთისგან მსხვილი ამონატვიფრი ჰყოფს. მანქანის დანარჩენი ნაწილი ცუდად ჩანს, თუმცა იმის თქმა მაინც შეიძლება, რომ უკანა სარკმელს ჩაღრმავებული ფორმა შეუნარჩუნეს, რაც პირველი თაობის „ჯენეზის კუპეს“ მთავარი განმასხვავებელი ნიშანია.

რა თქმა უნდა, გასაიდუმლოებულია კაპოტქვეშა სივრცის შიგთავსი. სავარაუდოდ, აქ ოთხ და ექვსცილინდრიან ძრავებს ჩადგამენ.

„ჰიუნდაი ჯენეზის კუპეს“ პირველი ჩვენება დეტროიტის საერთაშორისო საავტომობილო შოუზე ჩატარდება.



## «ჰიუნდაის» პატარა კროსოვერი HB20X სან პაულუში

**ახლახან „ჰიუნდაიმ“ ბრაზილიურ ბაზარზე ახალი სუბკომპაქტური ჰეჩბეკი HB20 (HB — ჰიუნდაი ბრაზილ) წარადგინა და იქაურ მყიდველს უკვე ამავე ავტომობილის ბაზაზე შექმნილი პატარა კროსოვერი HB20X უჩვენა. ორივე ავტომობილის პრემიერა სან პაულუს საერთაშორისო მოტორ შოუზე ჩატარდა.**

ორივე ახალი ავტომობილი, კორეული კომპანიის მიერ სპეციალურად, ბრაზილიის ბაზრისთვისაა შემუშავებული. ამასთანავე, ორივეს ბრაზილიაშივე, ქალაქ პირაკიკაბას ახალ ქარხანაში გამოუშვებს, რომელიც „ჰიუნდაის“ მეშვიდე უცხოური ქარხანაა (თურქული, ინდური, ჩინური, ამერიკული, ჩეხური და რუსული ქარხნების შემდეგ). ამავე ქარხანაში მომავალში სედანსაც დაამზადებენ.

კროსოვერი HB20X ზემოთ ნახსენებ ჰეჩბეკზეა ბაზირებული. მათ მხოლოდ გარეგნობა და ზოგიერთი დეტალი, მაგალითად, აწეული კლირენსი განასხვავებს. გარეგნული ცვლილებების წყალობით, ავტომობილი ქროსოვერისთვის შესაფერისი, ცოტა უხეში შესახედავი გახდა. მას კორეული კომპანიისთვის უცხო, რთული მოყვანილობის რადიატორი და მასში ასიმილირებული ბამპერი (უფრო სწორედ, ბამპერის ნარჩენები) გამოარჩევს.

ავტომობილის ძირს მთელს პერიმეტრზე, მათ შორის, საბორბლე თაღებზეც, შავი პლასტიკის არშია გასდევს, სარკეები მთლიანად ქრომირებულია. მანქანა 15-დუიმიან ბორბლებზე დააყენეს, რომლებიც ალუმინისგანაა ჩამოსხმული. სახურავს გარე საბარგულის ორი მოქრომილი ღერძი გაუყვება. სიახლეებია ინტერიერშიც. მაგალითად, „სპორტული“ პედლები და ქრომირებული დეტალები.

კროსოვერი HB20X -ის ძრავა — ეს არის 1.6-ლიტრიანი ოთხცილინდრიანი აგრეგატი, რომელსაც სპირტშერეულ საწვავზე მუშაობაც შეუძლია. ამ აგრეგატის სიმძლავრე 128 ცხენის ძალას ავითარებს. მყიდველს 5-საფეხურიანი მექანიკური ან 4-საფეხურიანი ავტომატური კოლოფით აღჭურვილ ვერსიებს შესთავაზებენ.

სან პაულუში „ჰიუნდაიმ“ გამოაცხადა, რომ ბრაზილიელ მყიდველს მალე ამავე პლატფორმაზე შექმნილ „სედანსაც“ წარუდგენს.



## «ველოსტერ რეის კონცეპტი»

**„ჰიუდაის“ ავსტრალიურმა შტომ, FIA-ს (საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია) რეგლამენტის შესაბამისად, კუპე (ჰეჩბეკ) „ველოსტერის“ სარბოლი ვერსია — „ველოსტერ რეის კონცეპტი“ მოამზადა, რომლითაც როგორც წრიულ, ასევე გრუნტზე რბოლებში მონაწილეობაა შესაძლებელი.**

კორეული კომპანიის ავსტრალიური შტოს განცხადებით, სახელში არსებული სიტყვა „კონცეპტის“ მიუხედავად, ეს არ არის უბრალო კონცეპტუალური ავტომობილი და ის ავსტრალიის რბოლებში მომავალი სეზონიდან გამოჩნდება. **ეს უპირატესად რბოლებისთვის განკუთვნილი ავტომობილია, რომლითაც GT კლასის ავსტრალიურ წრიულ რბოლებში (სერიული ავტომობილების), ავსტრალიის და აზია წყნარი ოკეანის რეგიონის რალის ჩემპიონატებში იასპარეზებენ.**

„ჰიუნდაი ავსტრალიას“ სპეციალისტებმა „ველოსტერზე“ მუშაობისას ავტომობილს ყველაფერი „ზედმეტი“ მოაშორეს და შემდეგ მას სპორტული მოდიფიკაციები ჩაუტარეს. **დამუშავდა 1.6-ლიტრიანი ტურბო ძრავი, რომლის მახასიათებლებიც ჯერჯერობით არ გამოუცხადებიათ. ამ აგრეგატის „სამოქალაქო“ ვერსიის სიმძლავრე 204 ცხენის ძალას აღწევს. ძრავთან 6-საფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფია შეწყვილებული.**

გარდა ამისა, ავტომობილი დააყენეს საკიდარზე, რომელიც რეგულირდება. სამუხრუჭე სისტემაში წინ 355-მილიმეტრიანი დისკოები და ოთხცილინდრიანი სუპორტები გამოიყენეს, უკან კი — 300-მილიმეტრიანი დისკოები და ორცილინდრიანი სუპორტები. ძრავის გამოსაბოლქვი სისტემა უჟანგავი ფოლადისგან დაამზადეს, მუხრუჭებსა და საწვავის მიწოდების სისტემაში კი კარბონის კომპოზიტისგან დამზადებული მილები გამოიყენეს. ავტომობილი 18-დუიმიან ბორბლებზე დააყენეს, რომლებზეც „პირელის“ საბურავები (P-ზერო) დააყენეს.

რა თქმა უნდა, სარბოლო „ველოსტერი“ შესაფერისი აეროდინამიკური პაკეტითაც შეიმოსა. ამ პაკეტში ყველაზე თვალსაჩინო უკანა ზორბა ანტიფრთა და უკანა დიფუზორია. აეროდინამიკური ელემენტები კარბონისგან დამზადდა. **სალონში „რეკაროს“ სარბოლი სავარძლები ჩადგეს, რომლებიც ხუთწერტილოვანი ღვედებითაა აღჭურვილი.** ასევე „სპარკოს“ წარმოებისაა საჭის რგოლიც. რა თქმა უნდა, სალონი უსაფრთხოების კარკასითაა აღჭურვილი.



## «ჰიუნდაი i30 ტურერი»

**მას შემდეგ, რაც ჰეჩბეკმა „ჰიუნდაი i30-მა“ ევრო NCAP-ის უსაფრთხოების რეიტინგში ხუთი ვარსკვლავი დაიმსახურა, ეჭვის შეტანაც არ ღირდა იმაში, რომ ასეთივე აღიარებას მალე ამ ავტომობილის უნივერსალურძარიანი ვერსიაც მიიღებდა. ასეც მოხდა, კორეული კომპანიის ხუთვარსკვლავიანების სიას კიდევ ერთი ავტომობილი „ჰიუნდაი I30 ტურერი“ შეემატა.**

უფრო ადრე, ანალოგიური შეფასება ჰეჩბეკებმა — i30-მა და i20-მა, ქროსოვერმა ix35-მა, მიკროვენმა ix20-მა, „ველოსტერმა“ და პირველი თაობის i30-მა მიიღეს. ამათგან, ახალი ჰეჩბეკი i30 თავის კლასში ყველაზე უსაფრთხო ავტომობილადაა მიჩნეული.

„ჰიუნდაი i30 ტურერმა“ ყველაზე კარგი შეფასებები მცირეწლოვანი და ზრდასრული მგზავრების უსაფრთხოებაში დაიმსახურა — ორივეში 90-პროცენტიანი შეფასება მიიღო. **კარგი შედეგები აღინიშნა ქვეითებთან შეჯახების ასპექტშიც. ამ მხრივ, შეფასება ზუსტად ისეთივეა, როგორიც ჰეჩბეკ I30-ს აქვს.**

„i30 ტურერს“ უსაფრთხოების დამხმარე სისტემების მხრივაც მაღალი შედეგები აქვს. განსაკუთრებით აღინიშნა სტაბილურობის ელექტრონული პროგრამის ეფექტიანი მუშაობა. **სპეციალისტებმა ასევე მოიწონეს უსაფრთხოების ღვედების სისტემა, რომელსაც ეგრეთ წოდებული შეკვრის შემხსენებელი ემსახურება. აღნიშნული სისტემა ხუთივე სავარძელს ემსახურება.**

„ჰიუნდაი მოტორ იუროპის“ მთავარი აღმასრულებელი ალან რუშფორტი ამბობს: „ხუთვარსკვლავიანი რეიტინგი იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ ევროპის ბაზრისთვის სპეციფიკური ავტომობილების შემუშავებას დიდ ყურადღებას ვაქცევთ. ჩვენი ავტომობილების მომხმარებლებს ყოველთვის უმაღლესი დონის უსაფრთხოებას ვთავაზობთ. ჩვენი სტრატეგიაა — ევროპისთვის და ევროპელებისთვის ავტომობილები ევროპაშივე ვაწარმოოთ. დრომ აჩვენა, რომ ამ სტრატეგიას წარმატება მოაქვს. ამის უტყუარი ნიშანი ისაა, რომ „ჰიუნდაის“ დიზაინი, ხარისხი, უსაფრთხოება და ღირებულება სულ უფრო მეტ მომხმარებელს იზიდავს“.



## «ჰიუნდაი i40»

**ევრო NCAP-მა (ევროპის ახალი მანქანების შეფასების პროგრამა) ქრეშ ტესტების ახალი სერიის შედეგები გამოაქვეყნა. სიაში მოხვდა „ჰიუნდაის“ ახალი ჰეჩბეკი და უნივერსალი i40, რომელმაც უმაღლესი, ხუთვარსკვლავიანი შეფასება დაიმსახურა. ტესტები 1.7-ლიტრიანი GSD დიზელით აღჭურვილ i40-ს ჩაუტარდა.**

ავტომობილმა ყველაზე მეტი, 92 ქულა, ზრდასრულ მგზავრთა დაცულობის შეფასებისას დაიმსახურა. 86 ქულით შეფასდა ბავშვთა უსაფრთხოების დონე. შედარებით დაბალი შეფასება მიიღო კაპოტის წინა ნაწილმა, რომელიც ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებას არასაკმარისად უზრუნველყოფს. სამაგიეროდ, დადგინდა, რომ ბამპერი მინიმალურად აზიანებს ფეხებს. შესაბამისად, ამ ნაწილმა უმაღლესი შეფასება მიიღო.

ევრო NCAP-ის განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ეს ორგანიზაცია ყველა მწარმოებლისგან მოითხოვს, სალონში თანაბრად დაცული იყოს, როგორც ზრდასრული, ასევე არასრულწლოვანი მგზავრების უსაფრთხოება. „ჩვენ ბავშვთა უსაფრთხოებას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, როცა ვარსკვლავების მინიჭებაზე ვმსჯელობთ. უფრო მეტიც, ამ კომპონენტში მოთხოვნების გამკაცრება იგეგმება“, — ამბობს ევრო NCAP-ის გენერალური მდივანი მიქაელ ფან რატინგენი.



რაც შეეხება უსაფრთხოების აქტიურ ელემენტებს, i40-ის სტანდარტულ აღჭურვილობაში სტაბილურობის ელექტრონული კონტროლიც (ESC) შედის. საბაზო ვერსიის შემთხვევაში, დამატებით კომპლექტაციაში შედის სიჩქარის შემზღუდველი სისტემა, რომელსაც მძღოლი აკონტროლებს. იგივე სისტემა უფრო მაღალი დონის ვერსიებისთვის საბაზო კომპლექტაციაში შედის. ასევე სტანდარტულია სისტემა, რომელიც უსაფრთხოების ღვედის შეკვრას გახსენებთ.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*** 11 აგვისტო შამპანურის დაბადების დღეა.** 1668 წლის 4 აგვისტოს საფრანგეთში, შამპანის ცენტრში მდებარე სააბატოში ბენედიქტელმა ბერმა პიერ პერინიონმა, რომელიც სააბატოს მარანს განაგებდა, ბერებს წარუდგინა საოცარი სასმელი: ბოკლის ფსკერიდან ვერცხლისფერი ბუშტუკები ზედაპირზე ამოდიოდა და გამჭვირვალე ქაფს ქმნიდა, რომელიც შხეფებს ყრიდა. ეს შუშხუნა ღვინო აღიარებულია, როგორც შამპანურის მშობელი. სახელი „პერინიონი“ კი პრემიუმ კლასის ფრანგულ შამპანურს მიენიჭა.




რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოჩენილ ადამიანებზე.

# ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები



*** 1945 წლის 9 აგვისტოს ქუთაისში დაიბადა ქართველი კალათბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, კლუბ თბილისის „დინამოსა“ და სსრკ-ის საკალათბურთო ნაკრების წევრი ზურაბ საკანდელიძე.**

მას საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მოპოვებული აქვს უამრავი უმაღლესი ჯილდო: არის 1972 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, 1967 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის ოთხგზის ჩემპიონი; 1967 წელს დასახელებული იყო ევროპის საუკეთესო მცველად.

გარდაიცვალა 2004 წლის 25 იანვარს.



*** 1899 წლის 6 აგვისტოს ქუთაისში დაიბადა თეატრისა და კინოს მსახიობი და რეჟისორი, სსრკ-ისა და საქართველოს დამსახურებული არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი აკაკი ვასაძე.**

1916 წლიდან დაიწყო სასცენო მოღვაწეობა ქუთაისის თეატრში; 1920-1958 წლებში მოღვაწეობდა რუსთაველის თეატრში; 1935-1955 წლებში იყო ამავე თეატრის, ხოლო 1958-1968 წლებში ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი; 1923 წლიდან მოღვაწეობდა კინოში.

მის მიერ ნათამაშები როლებიდან აღსანიშნავია: შაჰაბასი („გიორგი სააკაძე“); მამასახლისი („მაგდანას ლურჯა“); ფარსმან სპარსი („დიდოსტატის მარჯვენა“); ყანდური („დათა თუთაშხია“) და სხვ.

გარდაიცვალა 1978 წლის 23 მარტს.



*** 1932 წლის 3 აგვისტოს თბილისში დაიბადა თეატრისა და კინოს მსახიობი საქართველოს დამსახურებული არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი თენგიზ არჩვაძე.**

შესრულებული აქვს როლები ფილმებში: „ანთიმოზ ივერიელი“ (ანთიმოზის მამა); „სპირალი“ (მღვდელი); „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“ (გრაფი); „წიგნი ფიცისა“ (მეფე ერეკლე); „დათა თუთაშხია“ (მუშნი ზარანდია); „დიდოსტატის მარჯვენა“ (კონსტანტინე არსაკიძე); „მალე გაზაფხული მოვა“ (ბიძინა); „ვედრება“ (ალუდა); „შეხვედრა მთაში“ (ვახტანგი); „ხევსური ბალადა“ (იმედა); „მე ვხედავ მზეს“ (დათიკო) და სხვ.



*** 1901 წლის 4 აგვისტოს ახალ ორლეანში (ლუიზიანა, აშშ) დაიბადა ამერიკელი მუსიკოსი, ჯაზის ვირტუოზი მესაყვირე და ვოკალისტი ლუი არმსტრონგი — მეტსახელად საჩმო.**

მას დიდი წვლილი მიუძღვის ჯაზის პოპულარიზაციაში დიუკ ელინგტონთან, ჩარლი პარკერთან, მაილს დეივისსა და ჯონ კოლტრეინთან ერთად. ლუი არმსტრონგის კომპოზიციები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია პოპულარული.

ის გადაღებულია 50-ზე მეტ მუსიკალურ ფილმში. განსაკუთრებით პოპულარულია მის მიერ ჯაზის სტილში შესრულებული (ელა ფიტცჯერალდთან ერთად) ჯორჯ გერშვინის ოპერა „პორგი და ბესი“.

გარდაიცვალა 1971 წლის 6 ივლისს.



*** საუკუნის ძარცვა. 1963 წლის 8 აგვისტოს ინგლისში, საგრაფო ბაკინგჰემშირში, 15-კაციანი ბანდა ბრუს რეინოლდსის ხელმძღვანელობით სარკინიგზო ხიდზე თავს დაესხა გლაზგოდან ლონდონში მიმავალ საფოსტო მატარებელს და ფულით სავსე 120 ტომარა გაიტაცა. ტომრებში 2 631 643 გირვანქა სტერლინგი იყო, რაც ამჟამინდელი 46 გირვანქა სტერლინგის ექვივალენტია.**

გატაცებული ფულის დიდი ნაწილი დღემდე არ არის ნაპოვნი.

1964 წლის 20 იანვარს გამართულ სასამართლო პროცესზე ბანდის 11 წევრს 30-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, 4-ს — 3-დან 24 წლამდე. რამდენიმე თვის შემდეგ ბანდის ხელმძღვანელი რეინოლდსი და კიდევ 4 წევრი ციხიდან გაიქცნენ. რეინოლდსი კვლავ დააპატიმრეს. ყველაზე ცნობილმა წევრმა რონი ბიგსმა კი პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა და ჯერ ავსტრალიაში, შემდეგ ბრაზილიაში გადასახლდა. 2001 წელს კი 71 წლისა ნებაყოფლობით დაბრუნდა ინგლისში. ბიგსი დააპატიმრეს, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო 2009 წელს გაათავისუფლეს, გარდაიცვალა 2013 წელს.



*** 1945 წლის 6 აგვისტოს, 8 საათსა და 15 წუთზე, აშშ-მა 10 კმ სიმაღლეზე მფრენი ბომბდამშენ B-29-იდან („ენოლა გეი“) ატომური ბომბი ჩამოაგდო იაპონიის ქალაქ ჰიროსიმაში.** ბომბი, სახელად „ბიჭუნა“ მიწის ზედაპირიდან 600 მ-ზე აფეთქდა (სიმძლავრე — 13-დან 18 კილოტონა ტროტილის ეკვივალენტი), დაიღუპა და უგზოუკვლოდ დაიკარგა 200 ათასი ადამიანი, 160 ათასი რადიოაქტიური დასხივების შედეგად დაავადდა. უმრავლესობა მშვიდობიანი მოქალაქე იყო. 92 ათასი სახლიდან სრულიად დაინგრა 62 ათასი.

9 აგვისტოს კი ამერიკელმა ბომბდამშენმა B-29-მ (Bocscar-მა), რომელსაც პილოტი **ჩარლზ სუინი** მართავდა, კიდევ ერთი ატომური ბომბი ჩამოაგდო იაპონიაში, ამჯერად ნაგასაკიში, შედეგად მყისვე დაიღუპა 80 ათასი კაცი, სულ კი დღემდე დაღუპულია 162 ათასი ადამიანი.



*** 2008 წლის 8 აგვისტოს დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი სამაჩაბლოში (ე.წ. სამხრეთ ოსეთში) საქართველოსა და ოს სეპარატისტებს, აგრეთვე, რუსეთის შეიარაღებულ ძალებს შორის.**

7 აგვისტოს მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა სამხედრო ოპერაცია დაიწყეს ქალაქ ცხინვალის ასაღებად, რომელსაც ოსი სეპარატისტები აკონტროლებდნენ. მომდევნო დღეს რუსეთმა, რომლის სამშვიდობო ნაწილებიც ამ რეგიონში იყვნენ განლაგებულნი, ქართული ჯარის შეტევის საპასუხოდ საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ტექნიკა და ჯარისკაცები შემოიყვანა. ბრძოლა სამ დღეს გაგრძელდა. რუსეთის სამხედრო ხომალდებმა საქართველოს შავიზღვისპირეთი დაბლოკეს და დასავლეთ საქართველოში დესანტი გადმოსხეს. 9 აგვისტოს რუსულმა და აფხაზურმა ძალებმა კოდორის ხეობას შეუტიეს. მოგვიანებით კი რუსმა სამხედროებმა დაიკავეს ქალაქები — ფოთი და გორი.

12 აგვისტოს რუსეთის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის შუამავლობით ხელი მოაწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. რუსეთმა ჯარები გაიყვანა, მაგრამ ე.წ. ბუფერული ზონები შექმნა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გასწვრივ.



*** 1942 წლის 9 აგვისტოს კინოეკრანზე პირველად აჩვენეს უოლტ დისნეის მულტიპლიკაციური ფილმი „ბემბი“.**

პრემიერა ფილმისა, რომელიც გადაღებულია ავსტრიელი მწერლის, ფელიქს ზალტანის მოთხრობის მიხედვით, 1942 წლის 9 აგვისტოს გაიმართა ლონდონში, სამი დღის შემდეგ კი „ბემბი“ ნიუ იორკში აჩვენეს.

ფილმი ძალიან პოპულარულია მსოფლიოში.



*** 1881 წლის 6 აგვისოს დარველში (დიდი ბრიტანეთი) დაიბადა ბაქტერიოლოგი, ლიზოციმისა (ანტიბაქტერიული ფერმენტი, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი გამოიმუშავებს) და პენიცილინის აღმომჩენი, ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი ალექსანდრე ფლემინგი.**

გარდაიცვალა 1955 წლის 11 მარტს.

**კარგი პერიოდია დაშვებული შეცდომების გასაანალიზებლად და გამოსასწორებლად. წარმატებას მიაღწევენ ვერძის, ლომისა და მშვილდოსნის ნიშნებით დაბადებულები.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**3 – 9 აგვისტოს ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი – 20 აპრილი**

ბევრ მაცდუნებელ წინადადებას შემოგთავაზებენ და თქვენ მკაფიოდ უნდა განსაზღვროთ ორიენტირები, რისი უფლება შეიძლება მისცეთ თავს და რაზე უნდა თქვათ „არა“.

ნუ ისესხებთ და გაასესხებთ ფულს. ახლა ამისთვის სასიკეთო პერიოდი არ არის. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწევენ ვერძები, რომლებიც მომსახურების სფეროში მოღვაწეობენ — საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, სამედიცინო და სავაჭრო დაწესებულებებში.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა შესანიშნავად წარიმართება. თქვენი ცხოვრების მეგზურის ხასიათში ბევრ ახალ სასიამოვნო შტრიხს აღმოაჩენთ.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, მაგრამ კარგი იქნება, თუ ორგანიზმს გაიწმენდთ მავნე ნივთიერებებისგან.

**დადებითი დღე: 7 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 3 აგვისტო.**

## კურო
**21 აპრილი – 21 მაისი**

სხვადასხვა გარემოების გამო შეიძლება მოგიწიოთ მშობლიური კერის მიტოვება და უცხო ადგილას გადაბარგება. კარგი პერიოდია იმ კუროებისთვის, რომლებსაც სამუშაო ადგილის გამოცვლა სურთ.

უარი თქვით იმ ადამიანებთან ურთიერთობაზე, რომლებისგანაც კრიტიკის მეტს არაფერს ელით.

მარტოხელა კუროებს ელით რომანტიკული თავგადასავალი საწინააღმდეგო სქესის ახალგაცნობილ წარმომადგენელთან. მათ ეს შეხვედრა დიდ სიხარულს მოჰგვრით.

მაღალია ტრავმირების ალბათობა — ყურადღებით მართეთ სატრანსპორტო საშუალებები — ველოსიპედი, მოტოციკლი თუ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 6 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 4 აგვისტო.**

## ტყუპი
**22 მაისი–21 ივნისი**

კარიერული მისწრაფებების რეალიზებისა და აქტიური მუშაობის პერიოდია. მუხლჩაუხრელი შრომით შეძლებთ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კარგი პერიოდია, აგრეთვე, უძრავი ქონების შესაძენად.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის ბევრი წარმომადგენლის ყურადღებას მიიპყრობთ. არ არის გამორიცხული, რომ თავი შეგახსენოთ ძველმა სიყვარულმა და გრძნობამ ახალი ძალით იფეთქოს.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, კარგი იქნება, თუ მეტ დროს გაატარებთ სუფთა ჰაერზე.

**დადებითი დღე: 5 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 7 აგვისტო.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი–22 ივლისი**

მოგეცემათ შესაძლებლობების სრულად გამოვლენის შანსი, რომელიც ხელიდან არ უნდა გაუშვათ.

თქვენი პროფესიული და ფინანსური წარმატება დამოკიდებული იქნება განათლების დონესა და მზადყოფნაზე, კიდევ უფრო გაიღრმავოთ ცოდნა იმ სფეროში, რომელშიც მოღვაწეობთ. წარმატებას მიაღწევენ ის კირჩხიბები, რომლებიც დაკავებულნი არიან შემოქმედებითი საქმიანობით: მხატვრები, მწერლები, იურისტები, პედაგოგები.

მარტოხელა კირჩხიბებისთვის ეს კვირა დატვირთული იქნება ღრმა განცდებით. არ არის გამორიცხული, მათ კარდინალურად შეცვალონ პირადი ცხოვრება.

შესაძლოა, გაგიმწვავდეთ კუჭ-ნაწლავის ქრონიკული დაავადება. დაიცავით კვების რეჟიმი და რაციონიდან ამოიღეთ ცხარე და ცხიმიანი საკვები.

**დადებითი დღე: 6 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 4 აგვისტო.**

## ლომი
**23 ივლისი –22 აგვისტო**

სასიკეთო პერიოდია. შეძლებთ საუკეთესო თვისებების გამოვლენას და გავლენის სფეროს გაფართოებას. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებთ ფინანსურ მდგომარეობას.

დაქორწინებული ლომები, მიუხედავად დაძაბული სამუშაო გრაფიკისა, უნდა შეეცადონ, მეტი იზრუნონ ოჯახის უმცროს წევრებზე. მარტოხელა ლომებმა კი შეიძლება რადიკალურად შეცვალონ დამოკიდებულება იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც უკვე, კარგა ხანია, ის მოსწონს.

მაღალია გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. გაესინჯეთ ექიმს და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 4 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 8 აგვისტო.**

## ქალწული
**23 აგვ. –23 სექტემბ.**

აქტიური მოქმედების დაწყებამდე, იმედით, რომ წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ, განსაზღვრეთ, რომელ ფრონტზე უნდა იბრძოლოთ, ანუ რამდენიმე საქმეს ერთდროულად ნუ შეეჭიდებით. გახსოვდეთ: ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ნორმალურად წარიმართება, თუ გულწრფელი იქნებით. ტყუილის თქმამ შეიძლება მწვავე კონფლიქტი გამოიწვიოს.

ამ პერიოდში მოწყვლადია ძვლებისა და სახსრების სისტემა, კბილები. თუ ამ მხრივ პრობლემები გაქვთ, აუცილებლად გაესინჯეთ ექიმს.

**დადებითი დღე: 6 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 9 აგვისტო.**

## სასწორი
**24 სექტ. – 23 ოქტ.**

საქმე თავზე საყრელად გექნებათ, მაგრამ შეუპოვარი, მიზანდასახული მოქმედებით ყველა პრობლემას გაუმკლავდებით. შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

მარტოხელა სასწორებმა, შესაძლოა, განაახლონ ძველი სასიყვარულო ურთიერთობა და არ არის გამორიცხული, დაქორწინდნენ კიდეც.

დაოჯახებულ სასწორებს მეტი ყურადღების გამოჩენა მართებთ შვილების პრობლემების მიმართ.

ახლა თქვენი იმუნიტეტი დაქვეითებულია და გონებრივმა და ფიზიკურმა დაძაბულობამ შეიძლება ცუდად იმოქმედოს ორგანიზმზე. შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 3 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 5 აგვისტო.**

## მორიელი
**24 ოქტ. – 22 ნოემბ.**

დაძაბული პერიოდია. დასახული გეგმების განხორციელება ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ, მაგრამ ბოლოს მაინც კმაყოფილი დარჩებით.

რთული გადაწყვეტილების მიღების წინ რჩევა გამოცდილ ადამიანებს დაეკითხეთ. თავი აარიდეთ საეჭვო კომერციულ გარიგებებსა და ფინანსურ ოპერაციებს.

დაოჯახებულ მორიელებს საწინააღმდეგო სქესის ახალგაცნობილ წარმომადგენელთან ფლირტი უსიამოვნებას მოუტანს. დაფიქრდით, ღირს კი საყვარელი ადამიანის განაწყენება წინდაუხედავი საქციელით?!

მაღალია სასქესო ორგანოების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 7 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 3 აგვისტო.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. – 21 დეკ.**

ნაყოფიერი პერიოდია. ყველა საქმეს, რომელთაც ხელს მოჰკიდებთ, წარმატებით დაასრულებთ. ოღონდ გახსოვდეთ: თუ კარიერაში წინსვლა გსურთ, ხელმძღვანელობასთან კამათში ნუ ჩაებმებით, ენას კბილი დააჭირეთ და მხოლოდ საქმეზე იფიქრეთ.

აგრესიულად ნათქვამმა სიტყვამ ან წინდაუხედავმა საქციელმა, შესაძლოა, საყვარელი ადამიანი გაანაწყენოს. შეეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ ოჯახის უფროს წევრებზე ზრუნვას.

დიდია ტრავმირების ალბათობა. თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს და ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 5 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 8 აგვისტო.**

## თხის რქა
**22 დეკემ. – 20 იან.**

დასახული მიზნებისკენ სავალ გზაზე ბევრი წინაღობის გადალახვა მოგიწევთ. შეეცადეთ, რადიკალური გადაწყვეტილებები არ მიიღოთ. თუ სამსახურიდან წასვლის სურვილი გაგიჩნდებათ, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ.

ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეძებეთ შემოსავლის დამატებითი წყაროები.

პირად ცხოვრებაში მოსალოდნელია კარდინალური ცვლილებები — საყვარელ ადამიანთან წარმოქმნილი კონფლიქტის გამო დიდია ურთიერთობის გაწყვეტის ალბათობა. გადაწყვეტილება ინტუიციით მიიღეთ.

გუნება-განწყობილებას გამოგიკეთებთ სრულფასოვანი დასვენება. შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 4 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 9 აგვისტო.**

## მერწყული
**21 იან. – 19 თებ.**

ინტუიცია და ფსიქოლოგიის ცოდნა ბევრი პრობლემის მოგვარებაში დაგეხმარებათ. გაგიჩნდებათ იდეა, რომლის რეალიზაცია ფინანსურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. თავი შეიკავეთ გარშემო მყოფების გაკრიტიკებისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტს თავიდან ვერ აიცილებთ და რეპუტაციაც შეგელახებათ.

დაქორწინებული მერწყულების ურთიერთობა მეუღლესთან პოზიტიურად წარიმართება. მარტოხელები კი მაგნიტივით მიიზიდავენ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებს.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება. ოღონდ შეეცადეთ, გააკონტროლოთ მუშაობის გრაფიკი და მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 8 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 5 აგვისტო.**

## თევზები
**20 თებ. – 20 მარტი**

ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს, სჯობს, დაწყებულის დასრულებაზე იფიქროთ. ნაჩქარევმა და წინდაუხედავმა მოქმედებამ შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოგიტანოთ. მზად იყავით ცვლილებებისთვის, რომლებიც შეიძლება თავიდან საეჭვოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ სამომავლოდ კარიერაში წინსვლაში შეგიწყობთ ხელს.

დაქორწინებული თევზების ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან შეიძლება გამწვავდეს. უთანხმოებას გამოიწვევს მეტისმეტი მოთხოვნების წაყენება და უკმაყოფილების გამოხატვა მეუღლის მიმართ.

დიდია ტრავმირების ალბათობა, საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების გამოყენებისას დაიცავით უსაფრთხოების წესები.

**დადებითი დღე: 6 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 8 აგვისტო.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# «სლატ ფრანსი»: გერმანელებს ლტოლვილებისა და ტერაქტების ერთნაირად ეშინიათ



**გერმანიის მთავრობას ძალიან სურს, აირიდოს პასუხი შეკითხვაზე — უკავშირდება თუ არა გერმანიაში მომხდარი ტერაქტები ანგელა მერკელის პოლიტიკას, რომელსაც იგი ლტოლვილების მიმართ განახორციელებს. „სლატ ფრანსი“ ეჭვობს, რომ იგი (მთავრობა) ამას ვერ შეძლებს.**

იმ უბედურების ფონზე, რომელიც 22 ივნისს მიუნხენში სროლის შემდეგ შეიქმნა (მაშინ, საერთო ჯამში, 10 ადამიანი დაიღუპა), თითქოს შვებით ამოისუნთქეს: ბოროტმოქმედი პოლიტიკური მოტივებით არ ხელმძღვანელობდა, ამიტომ მომხდარი სიგიჟედ შერაცხეს და არა „ისლამური სახელმწიფოს“ მოწოდებით განხორციელებულ ტერაქტად. იგივე დასკვნა გაკეთდა 24 ივლისს მაჩეტეთი თავდასხმის შემთხვევაზეც: პოლიციის მიერ გავრცელებული პირველი ინფორმაციის თანახმად, ამის მიზეზი იყო 45 წლის პოლონელ ქალსა (მსხვერპლის) და ახალგაზრდა სირიელ ლტოლვილს შორის მომხდარი უსიამოვნება.

მაგრამ დამშვიდებამდე ჯერ ადრეა. კვირა დღეს, საღამოს, ბავარიის ანსბახში, მუსიკალური ფესტივალის მიმდინარეობისას, 27 წლის სირიელმა თავი აიფეთქა რესტორნის წინ, თვითონ დაიღუპა, 12 ადამიანი დაიჭრა (მათგან ოთხი მძიმე მდგომარეობაშია).

„ისლამურმა სახელმწიფომ“ განაცხადა, რომ ის სირიელი — **მუჰამად დ.** მისი „ჯარისკაცი“ იყო. მანვე (ამ „სახელმწიფომ“) იკისრა პასუხისმგებლობა ვიურცბურგის მახლობლად (ისევ ბავარიაში) მატარებლის მგზავრებზე ნაჯახით თავდასხმის ორგანიზებაზე.

პოლიტიკოსების პირველი რეაქცია ფრთხილი იყო: „ბავარიამ საშინელი დღეები გადაიტანა, მაგრამ სამართლებრივი სახელმწიფო არ დასუსტდება“, — განაცხადა ბავარიის მიწის პრემიერმინისტრმა **ჰორსტ ზეეჰოფერმა.** ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა **თომას დე მეზერმა** მოსახლეობას სიმშვიდის შენარჩუნებისკენ მოუწოდა: „მე მგონია, რომ საერთაშორისო ტერორიზმთან კავშირი ისევე თვალშისაცემია, როგორც ამ ადამიანის არასტაბილურობა“.

პასუხისმგებლობას მერკელის მთავრობა ვერ აიცდენს.

# რელიგიური იდეოლოგია და ფსიქიკური არასტაბილურობა

**გარემო, ადამიანები და მათი მოტივები ყველა კერძო შემთხვევაში განსხვავებულია, მაგრამ ერთმანეთის მიყოლებით და, ფაქტობრივად, ერთდროულად რომ ხდება, საგანგაშოა.**



კანცლერ მერკელს ანსბახში მომხდარი ტერაქტის შემდეგ ოპერატიულად სიტყვა არ დასცდენია. ხოლო მიუნხენში სროლიდან 20 საათი იყო გასული, როცა განცხადება გააკეთა. ამჯერად მისმა პრესმდივანმა აღნიშნა, რომ ტერორისტების უმრავლესობა, რომლებმაც ბოლო თვეებში ტერაქტები მოაწყვეს, არ იყვნენ ლტოლვილები, მით უფრო, მათ შორის არავინ იყო ახალი ჩამოსული. მგზავრებზე ნაჯახით თავდამსხმელი ავღანელი გერმანიაში 2015 წლის ივნისში ჩავიდა, ანუ ზაფხულ-შემოდგომის უდიდეს ტალღამდე გაცილებით ადრე, ანსბახელი სირიელი კი ქალაქში 2014 წლიდან ცხოვრობდა.

ოფიციალური წრეები აღნიშნავენ, რომ დანაშაულის მაჩვენებელი იმიგრანტთა შორის იმაზე მეტი არ არის, რაც, საერთოდ, მოსახლეობის. 2015 წელს ჩასული მილიონი ლტოლვილიდან პოლიციის აღრიცხვაზე მხოლოდ 600-ია. ამასთან, ერთი მესამედი დეპრესიისგან ან პოსტრავმული შოკის გამო იტანჯება.

ასეთი არგუმენტებით მოსახლეობის დამშვიდება, საეჭვოა, ეფექტიანი იყოს. პოპულისტური ევროსკეპტიკური პარტიის **„ალტერნატივა გერმანიისთვის“** წარმომადგენელმა განაცხადა: „პასუხისმგებლობის მქონე მთავრობას უფლება არ აქვს, მშვიდად უცქიროს გერმანიაში შიდა უშიშროების თანდათანობით განადგურებასა და წესრიგის მოშლას მულტიკულტურიზმის იდეოლოგიის ზეგავლენით“.

ამ თემატიკას არა მხოლოდ მემარჯვენეები იყენებენ. რადიკალური მემარცხენე პარტია **„მემარცხენეს“** თანათავმჯდომარემ **სარა ვაგენკნეხტმა** კრიტიკულად შეაფასა ანგელა მერკელის ქარაფშუტული პოლიტიკა ლტოლვილების მიღების საკითხში, რომლის ლოზუნგია „ჩვენ თავს გავართმევთ!“ და რომელიც მისი პარტიის პოზიციას არ გამოხატავს.

მეზობლები ზემოთ ნახსენებ ალეპოელ მუჰამად დ.-ს წყნარ და მშვიდ ახალგაზრდად მოიხსენიებენ, მაგრამ ტერაქტის გამოძიების დროს პოლიციელებმა მის მობილურ ტელეფონში აღმოაჩინეს ჩანაწერი, რომლის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი პოლიტიკური მოტივებით მოქმედებდა. იგი თავს „ისლამური სახელმწიფოს“ აქტივისტად წარმოგვიდგენს და აცხადებს, რომ ისწრაფვის, „სამაგიერო მიუზღოს გერმანელებს, რომლებიც მუსლიმებს კლავენ“.

ლაპარაკია პირველ ტერაქტზე, რომელიც გერმანიაში განახორციელა ჯიჰადისტმა ისლამის სარჩულით. **აქ აშკარად წარმოჩნდა რელიგიური იდეოლოგიის, პოლიტიკისა და ფსიქიკური გაუწონასწორებლობის ნაზავი, რომლითაც უკანასკნელ წლებში ევროპაში განხორციელებული ტერაქტები ხასიათდება.** ეს ყველაფერი გერმანიას საშუალებას არ აძლევს, დაივიწყოს ის, რისი დავიწყებაც სურს.

# პრეზიდენტმა ოლანდმა შური მშვიდობიან სირიელებზე იძია

**საფრანგეთის სამხედრო ავიაციამ დაბომბა ქალაქ მანბიჯის მახლობლად სოფელი თოხარი. დაიღუპა 164 ადამიანი, მათ შორის: მოხუცები, ქალები და ბავშვები. ეს ინფორმაცია გაეროს მიაწოდა სირიის წარმომადგენელმა ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში — ბაშარ ჯააფარიმ.**



„ამ დაბომბვამ ნიცაში დაღუპულებზე ორჯერ მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. საფრანგეთის პრეზიდენტმა მოისურვა, სამაგიერო გადაეხადა ნიცაში ტერაქტის მოწყობის გამო და დახოცა ამ სირიული სოფლის 164 მშვიდობიანი მცხოვრები“, — განაცხადა სირიელმა დიპლომატმა.

ჯააფარის თქმით, მოთარეშეებმა თოხარი ავიადარტყმამდე დატოვეს, რადგან შეიტყვეს, რომ საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდს გადაწყვეტილი ჰქონდა, შური ეძია ნიცის ტრაგედიის გამო, — იტყობინება **საკდესი.**

სირიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაეროს მოსთხოვა, დაეგმო ავიადარტყმა, რომელიც 19 ივლისს განხორციელდა ქალაქ მანბიჯის მახლობლად.

რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროში **ვიტალი ჩურკინმა** მოითხოვა, განემარტათ, ვინ იკისრებს პასუხისმგებლობას სოფელ თოხარის მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვის გამო.

ფრანგმა დიპლომატმა არ ისურვა, გაეკეთებინა კომენტარი, ხოლო გაეროში აშშ-ის მუდმივმა წარმომადგენელმა **სამანტა პაუერმა** აღნიშნა, რომ ვაშინგტონი და მისი მოკავშირეები მზად არიან, იკისრონ პასუხისმგებლობა, თუ, რა თქმა უნდა, დამტკიცდება მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვა.

ამერიკის წარმომადგენელი შეეცადა, პასუხისმგებლობა ამ ტრაგედიის გამოძიების ობიექტურობაზე დაეკისრებინა სირიის არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რამაც გააოცა ვიტალი ჩურკინი. „მაშასადამე, სირიაში არ არის არც ამერიკული დრონები (მცირე მოცულობის უპილოტო საფრენი აპარატები), არც ამერიკელების სპეცრაზმი, არც ამერიკელების მოკავშირეთა სპეცრაზმები; აშშ-ს არ აქვს თანამგზავრული დაზვერვის საშუალებები, არ არსებობს არც ვიდეოჩანაწერები, რომლებსაც ყველა თანამედროვე ბომბდამშენი აფიქსირებს ავიადარტყმის დროს. არ მსურს, დავიჯერო, რომ ასე მწირია აღჭურვილობა კოალიციის, რომელსაც აშშ უდგას სათავეში“, — განაცხადა ჩურკინმა.

მსოფლიო პრესა მაინც და მაინც თავს არ იკლავს თოხარის ფაქტის გახმაურებით. სირიელი პუბლიცისტის — **ჰასუუფ ქარსაის** აზრით, ევროპისა და აშშ-ის წამყვანი მედიის ასეთი პოლიტიკა აღმაშფოთებელია.

„ერთი წუთით წარმოიდგინეთ, ჩამოგდებული A-321-ის გამო რუსეთს შური რომ ეძია და ეგვიპტური სოფელი დაებომბა, 200 მშვიდობიანი მცხოვრები რომ დაეხოცა, რა ამბავი ატყდებოდა მსოფლიო პრესაში. წარმოუდგენელი სკანდალი! მესმის, რომ ცნობები რეგიონიდან, სადაც ომი მიმდინარეობს, თუ ეს ტეხასის შტატი არ არის და არც ევროპული ქვეყანაა, საინტერესო არ არის არც აშშ-ისთვის და არც ევროკავშირისთვის; საინტერესო არ არის არც ობივატელების უმრავლესობისთვის, ჩვენც არ ვკითხულობთ, რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა სომალის სასაკლაომ და ტომების ბრძოლამ აფრიკაში, მაგრამ, როცა ევროპული ბირთვული სახელმწიფო შურს იძიებს თავის ქვეყანაში მომხდარი ტერაქტის გამო და კლავს ორჯერ მეტ მშვიდობიან მოქალაქეს სირიაში, ეს მსოფლიოს გაზეთების პირველ გვერდებზე უნდა იყოს გამოქვეყნებული. მაგრამ არის ორმაგი სტანდარტები და ამიტომაც არაფერი არ არის!“ — ასკვნის ქარსაი გამოცემა **„პოლიტონლაინისთვის“** მიცემულ ინტერვიუში.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

**კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.**

**ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.**

**გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.**

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


# პერის ჰილტონმა განაცხადა, რომ მის მოკვლას ცდილობენ «ისლამური სახელმწიფოს» წარმომადგენლები



**აშშ-ის ერთ-ერთი უმდიდრესი ოჯახის მემკვიდრე, ოცდათხუთმეტი წლის პერის ჰილტონი სერიოზულად არის შეშფოთებული, რადგან აშკარად გრძნობს, რომ ტერორისტების სამიზნე გახდა.**

**ეს ახალგაზრდა ქალი ამჟამად იბიცაში დიჯეიდ მუშაობს.**

— მე ძალიან შემაშინა ტერაქტებმა საფრანგეთსა და გერმანიაში, — განუცხადა პერის ჰილტონმა ჟურნალისტებს, — ცნობილი ადამიანი ვარ, ტერორისტებს ჩემი მოკვლა სურთ. მეშინია, მაგრამ არ ვაპირებ მცველებით გარშემორტყმულმა ვიარო, ისე, როგორც ამას ჩემი კოლეგები აკეთებენ.


საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge



**მთავარი რედაქტორი ირაკლი თოღუა**
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894